

178
1973



საგჭოთა სამართალი

საქართველოს კვანძრალური კომიფევიის გემომხელობა

1973

1

საბჭოთა სამართალი

№ 1

იანვარი-თებერვალი

1973 წელი

გამოცემის XX წელი

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურორისა და
შემაღლესი სასამართლოს ორგანო
ო რ თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ე ლ ი

შინაარსი

შ. პაპიძე — საბჭოების როლი კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე	3
ს. ჯაფარიძე — დროებით წასული პირებისათვის საცხოვრებელი ფართობის შენახვის წესი და პირობები	11
ე. ნეიძე — საბჭოთა პროფკავშირების სამართლებრივი მოქმედების სფერო	19
გ. იოსავა, მ. ხუციშვილი — კანონის ზუსტად გატარებისათვის	25
მ. კომახიძე — სანოტარო ორგანოების საქმიანობის სრულყოფისათვის	30
მ. კიკოწავილი — პროფილაქტიკური მუშაობის ზოგიერთი საკითხი წინასწარ გამოძიებასა და მოკვლევაში	34

პუბლიცისტიკა

ლ. ბახტრიონელი — ფიქრები დანაშაულის პროფილაქტიკაზე	43
რ. ცინცაძე — ზედამხედველობის წესით საქმეთა განხილვის კანონმდებლობის განვითარების ისტორიისათვის (1917—1938 წლები)	52
მ. დოლიძე — მშენებლობის ძირითადი ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის	57
რ. თალაქვაძე — ქართველი ადვოკატები დიდ სამამულო ომში	65

მურიდიული კონსულტაცია მოსახლეობას

თბილისში საცხოვრებელი ფართობის განაწილების ახალი წესი 68

ს. ჯორბენაძე — ილია ზურაბიშვილის დეაწლი ქართული საკანონმდებლო ენის განვითარებაში	72
მ. კვესელავა — დამოკლეს მახვილი	78

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ა. ხოჭოლავა — შრომა საბინაო კოოპერაციის შესახებ	82
მოკლე ცნობები	92
ნეკროლოგი	93
ბიბლიოგრაფია	94

12.232



СОДЕРЖАНИЕ

Ш. Панидзе — Роль Советов на современном этапе коммунистического строительства	3
С. Джапаридзе — Порядок и условия сохранения жилищной площади за временно отсутствующими лицами	11
Е. Нейдзе — Сфера правовой деятельности советских профсоюзов	19
Г. Иосава, М. Хуцишвили — За точное соблюдение закона	25
М. Комахидзе — За совершенствование деятельности нотариальных органов	30
М. Кикозашвили — Некоторые вопросы профилактической работы в предварительном следствии и дознании	34

ПУБЛИЦИСТИКА

Л. Бахтрионели — Мысли о профилактике преступления	43
Р. Цинцадзе — К истории развития законодательства о рассмотрении дел в порядке надзора	52
М. Долидзе — За улучшение основных экономических показателей строительства	57
Р. Талаквადзе — Адвокаты Грузии в Великой отечественной войне	65

ЮРИДИЧЕСКАЯ КОНСУЛЬТАЦИЯ ДЛЯ НАСЕЛЕНИЯ

Новый порядок распределения жилой площади в г. Тбилиси	68
С. Джорбенадзе — Заслуга Ильи Зурабишвили в развитии грузинского законодательного языка	72
М. Квеселава — Домоклов меч	78

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

А. Хочелава — Работа о жилищной кооперации	82
Краткие заметки	92
Некролог	93
Библиография	94

1992

სარედაქციო კოლეგია

შპვ. № 603
 ტირაჟი 17.900
 № 01802

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, თ. დადიანი, გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე, მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, ზ. რატიანი, ა. ტაკიძე, ს. ქაჯაია, ვ. ქვაჩაზია, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი — 99-09-62.

ვალდებული წარმოებას 14/II-73 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/III-73 წ., ქალაქის ზომა 70×108^{1/16}; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,87.

საქ. კვტკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
 Типография изд-ва ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



საბჭოების როლი კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე

შ. პაპიძე,

ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი

საბჭოები — სოციალისტური საზოგადოების განვითარების სუბიექტური ფაქტორის მნიშვნელოვანი ელემენტია. მისი როლი კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე კიდევ უფრო იზრდება.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების როლის ამაღლება ყველაზე უფრო ნათლად შედგენდება მათი მოღვაწეობის შინაარსისა და მასშტაბების გაღრმავება-გაფართოებით, რასაც საფუძვლად უდევს ობიექტური ფაქტორები. საბჭოებს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური განვითარების სულ უფრო მნიშვნელოვანი და რთული საკითხების გადაჭრა უხდებათ. ეს თავის მხრივ, უფრო გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს წარმომადგენლობით დაწესებულებებს, რომლებიც როგორც პოლიტიკური სელმძღვანელობის ორგანოები მოწოდებული არიან მასების კოლექტიური გამოცდილების განვითარების ანალიზის საფუძველზე გადაჭრან ყველა საკითხს და უზრუნველყონ სახელმწიფო მართვის შესაბამისი რგოლების მოღვაწეობის მიმართულება და კოორდინირება.¹

მართვის სუბიექტი — ამ შემთხვევაში საბჭოები — უნდა ასახავდეს ობიექტს, გამოხატავდეს მის სპეციფიკას, სტრუქტურულ და ფუნქციონალურ თავისებურებებს და ქმნიდეს პირობებს სისტემის ოპტიმალური ფუნქციონირებისათვის². ამასთან გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს არსებობა ეფექტური მართვის აუცილებელი პირობებისა ან ამ პირობებისა, რომლებიც ხელს უწყობენ თვით მმართველობის სუბიექტის — სოციალისტური სისტემის³ — ე. ა. ჩვენი წარმომადგენლობითი ორგანოები-

სათვის დამახასიათებელი უპირატესობების მაქსიმალურ რეალიზაციას პრაქტიკაში.

საბჭოების როლის ზრდა, სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის განვითარებასთან ერთად, შედეგია ზოგადი ეკონომიური და სოციალური პროცესებისა, რომლებიც დამახასიათებელია თავდაპირველად სოციალისტური, ხოლო შემდგომ კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობებისათვის. წარმატებებმა კომუნისტურ მშენებლობაში, საწარმოო ძალების სწრაფმა ზრდამ, საბჭოთა საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში მომხდარმა ცვლილებებმა, ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის აღმავლობამ, მმართველობაში მშრომელთა მონაწილეობის სულ უფრო მზარდმა რეალურმა შესაძლებლობამ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ღრმა და გადამწყვეტი გავლენა არ მოახდინოს ჩვენი წარმომადგენლობითი ორგანოების მოღვაწეობის შინაარსზე, მათი მუშაობის ფორმებსა და მეთოდებზე, მათი როლის ზრდის ტენდენციის დინამიკაზე. ხოლო ყოველივე ამან, თავის მხრივ, უნდა მოახდინოს და ახდენს კიდევაც დიდ გავლენას ეკონომიკის წარმატებებზე, გეგმარეალიზაციის განვითარებაზე⁴. ეს იორთიანი პროცესი — სოციალისტური საზოგადოების ობიექტური კანონზომიერება⁵ ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ სოციალისტური დემოკრატიკში გავლენას მოახდენს ეკონომიკაზე, უბიძგებს მას გარდაქმნისაკენ, და თავადაც განიცდის ეკონომიური განვითარების გავლენას⁶.

რა არის თანამედროვე ეტაპზე საბჭოების როლის ზრდის მიზეზი?

¹ იხ. Политическая организация советского общества, изд-во «Наука», 1967, стр. 101.


² В. Г. Афанасьев. Научное управление обществом, изд-во политической литературы, М., 1968, стр. 147.

³ Д. М. Гвишиани. Проблемы управления социалистической промышленностью, «Вопросы философии», 1966, № 11, стр. 6.

⁴ К. Ф. Шеремет. Компетенция местных Советов, изд-во Московского университета, М., 1968, стр. 5.

⁵ В. М. Морозов. Партия и Советы в условиях строительства коммунизма. В кн.: КПСС и массовые организации трудящихся в период строительства коммунизма, М., 1967, стр. 24.

⁶ В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 33, стр. 79.



პირველი — კომუნისტური მშენებლობის ამოცანების და მასშტაბების სირთულე. ჩვენი საზოგადოება — რთული სოციალური ორგანიზაცია, რომელსაც ჰქმნის აბასობით უჯრედი და ორგანო (საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროები, ეკონომიკის დარგები, საწარმოები, დაწესებულებები და ა. შ.). საბჭოები — მნიშვნელოვანი საინტეგრაციო ძალაა, რომელიც კონსტრუქციული პარტიის ხელმძღვანელობით აერთიანებს საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფუნქციონირების სხვადასხვა სფეროებს და წარმართავს მათ ერთიანი მიზნისაკენ.

მეორე — სოციალისტური დემოკრატიის განვითარება, მასების ინიციატივის არნახული აღმავლობა, სახელმწიფოს მართვაში მილიონობით ახალი მშრომელის ჩართვა. საბჭოები სოციალისტური დემოკრატიის გაშლის მთავარი არეა, მართვის ჩვევების გამოუმუშავების სკოლაა მილიონთათვის.

მესამე — საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შეუწყობელი ზრდა, კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს გაფართოება, საზოგადოებრივი მოხმარების ფონდების მატება. მშრომელთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნების მასივობის დაკმაყოფილება, ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, საზოგადოებრივი ფონდების რაციონალური გამოყენება — საბჭოების ერთ-ერთი ძირითადი საზრუნავია.

მეოთხე — კომუნისტური აღზრდის როლის ზრდა. კომუნისმს ადამიანები ჰქმნიან, და რაც უფრო შეგნებული, განათლებული, კარგად აღზრდილი იქნებიან ისინი. მით უფრო წარმატებით წავა კომუნისტური მშენებლობის საქმე. განსაკუთრებით დიდია ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის მნიშვნელობა. რამდენადაც სახელმწიფოს ვამეგობრებათა განათლებისა და აღზრდის მთელი სისტემა. მადიდება საბჭოების როლი კომუნისტურ მშენებლობაში. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ განათლებისა და აღზრდის მნიშვნელობის ზრდა გაპირობებულია თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მოთხოვნისაგან.

საბჭოების როლის ზრდა ხდება არა მარტო ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური და ეკონომიკური პროცესების პრაქტიკულ ხელმძღვანელობაში. მათი ფუნქციებისა და უფლებამოსილების გაფართოების გზით, არამედ აგრეთვე საბჭოების. როგორც მშრომელთა მასობრივი ორგანიზაციების. შემდგომი დამკვიდრებისა და განვითარების საშუალებით, მათი

ორგანიზაციულ-მასობრივი და პოლიტიკური საფუძვლების განმტკიცებით, მასების უფრო აქტიური და ფართო ჩაბმით მათს მოღვაწეობაში. ე. ი. შემდგომ დემოკრატიზაციაში. რაც უფრო მეტი გაქანება არსებობს, რაც უფრო ფართოა ისტორიული პროცესების ასპარეზი, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — მით უფრო მეტია ადამიანთა რიცხვი, რომლებიც ჩაბმულნი არიან ამ პროცესებში. და, პირაქით, რაც უფრო ღრმად ის გარდაქმნა, რომლის მოხდენასაც ჩვენ ვაპირებთ, მით უფრო უნდა ავამაღლოთ ინტერესი და შეგნებული დამოკიდებულება მისადმი, დავარწმუნოთ ამის აუცილებლობაში მილიონობით ახალი მასები“.⁷

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისებში ოქტომბრის რეგულაციის 50 წლისთავთან დაკავშირებით, ნათქვამი იყო — საბჭოების როლის ამაღლება წარმოადგენს სოციალისტური დემოკრატიისა და სოციალისტური სახელმწიფოს განვითარებისა და სრულყოფის კონკრეტულ გამოხატულებას. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოები განვითარებენ და განამტკიცებენ კავშირს მშრომელთაგან, გააღრმავებენ მოღვაწეობის დემოკრატიულ პრინციპებს, შეძლებენ ისინი მათ წინაშე დასმული დიდი და რთული ამოცანების გადაჭრას, სოციალისტური სახელმწიფოს ძალაუფლების ფუნქციების სრულ განსორციელებას, კომუნისტურ მშენებლობაში თავისი როლის ამაღლებას.⁸

საბჭოების მოღვაწეობას, სისტემასა და სტრუქტურას საფუძვლად უდევს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი, რომლის თანმიმდევრობითი რეალიზაცია, ე. ი. ცენტრალიზმისა და დემოკრატიის ღონისძიებათა ოპტიმალური შეხამების მიღწევა, საზოგადოების მართვაში საბჭოების როლის შემდგომი ამაღლების ერთ-ერთი გადაწყვეტი პირობაა კომუნისტური მშენებლობის პროცესში.

დემოკრატიული ცენტრალიზმის, როგორც მართვის პრინციპის, არნი საბჭოების სტრუქტურის, სისტემისა და მოღვაწეობის თვალსაზრისით მდგომარეობს დემოკრატიზმის განუყოფელ ერთიანობაში, შესამებაში, წარმომადგენლობითი ორგანოების სრულყოფილებიანობაში, მათს საყოველთაო ინიციატივაში, საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანების შესრულებასა და ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეების გადაჭრაში და ა. შ.

დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი გამოიხატება სოციალისტური წყობილების

⁷ В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 42, стр. 140.
⁸ К. Ф. Шермет. Компетенция местных Советов, изд-во Московского университета, М., 1968, стр. 6.



ცენტრალიზებული და ამავე დროს დემოკრატიული ხასიათით, რომელიც ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ცენტრალიზებას და გეგმიანობას, ხალხი, მეორე მხრივ, ფართო ინიციატივას, დემოკრატიზმს, მშრომელთა მილიონობით მასების მონაწილეობას საზოგადოებრივი სისტემის განვითარებაში. ეს პრინციპი წარმოადგენს მთელისა და ნაწილის დიალექტიკის კონკრეტულ გამოხატულებას საზოგადოებრივ განვითარებაში — მთელის წამყვან განსაზღვრელ როლს და მისი ნაწილების შეფარდებით დამოკიდებულებას.⁹

ვ. ა. ლენინმა დაახლოება მართვის მრავალმხრივი დემოკრატიული ფორმების შეთავსება ცენტრალიზაციასა და ერთგვარობასთან სახელმწიფო პოლიტიკის ძირეულ საკითხებში. „დემოკრატიული და სოციალისტურ ცენტრალიზმთან, აღნიშნავდა ვ. ა. ლენინი, საერთო არაფერი აქვს არც გაშვებულს და არც ერთფეროვნების დამყარებას ზევადან. ერთიანობას ძირითადად, მთავარში, არსებითში, კი არ არღვევს, არამედ უზრუნველყოფს მრავალგვარობა წვრილმანებში, ადგილობრივ თავისებურებებში, საქმისადმი მიდგომის ხერხებში, კონკრეტული განხორციელების საშუალებებში...“¹⁰

ცენტრალიზებული სახელმწიფო მართვა-გამგეობა შეხამებულია ფართო სოციალისტურ დემოკრატიზმთან და უზრუნველყოფს ადგილობრივ ორგანოების ინიციატივასა და დამოუკიდებლობას საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ამოცანების გადაჭრაში ადგილობრივ და ეროვნული თავისებურებების აუცილებელი გათვალისწინების საფუძველზე. ვ. ა. ლენინი ხაზს უსვამდა: „...ცენტრალიზმი, ნამდვილად დემოკრატიული აზრით გაგებული, გულისხმობს ისტორიის მიერ პირველად შექმნილ შესაძლებლობას არა მარტო ადგილობრივი თავისებურებების, არამედ ადგილობრივ თაოსნობის, ადგილობრივი ინიციატივის, საერთო მიზნისაკენ მიმართული მოძრაობის სხვადასხვაგვარი გზების, წესებისა და საშუალებების არსებობას და შეუფერხებელი განვითარებისათვის“.¹¹

თანამედროვე პირობებში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების როლის ზრდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. საბჭოები უფრო აქტიურად მონაწილეობენ კომუნისტური მშენებ-

ლობის ძირითადი პრობლემების გადაჭრაში — კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შემდგომ განვითარებასა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფაში. ჩვენი ეპოქის ახალი ადამიანის აღზრდაში წარმომადგენლობითი ორგანოების მოღვაწეობა ადის ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ახალი ისტორიული პირობებისა და კომუნისტური მშენებლობის მზარდი ამოცანების შესაბამისად.

ყოველივე ეს ახალ მოთხოვნებს უყენებს საბჭოების მოღვაწეობასა და ორგანიზებას. დასახული ამოცანა მივადწიოთ საბჭოების როლის ისეთ ზრდას, რომ მათ შეეძლოთ განიხილონ და გადაწყვიტონ სახელმწიფო მართვა-გამგეობის, ეკონომიური, სოციალ-პოლიტიკური და კულტურული მშენებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

აღნიშნა რა, რომ საბჭოების მუშაობა საერთოდ უფრო აქტიური და მრავალმხრივი გახდა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ მათ ახალი, უფრო რთული ამოცანები დაუსახა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების რეზოლუციაში აღნიშნულია: „ყრილობას მიაჩნია, რომ საბჭოებმა კიდევ უფრო სრულად უნდა განხორციელონ თავიანთი ფუნქციები, მოახდინონ ქმედითი ზეგავლენა ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაზე, ხალხთა კეთილდღეობის ამაღლებაზე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსახლეობის სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების, საზოგადოებრივი წესრიგის რეაგირების საკითხებს“.¹²

საბჭოების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნული აზრი იმ საფუძველზე ემყარება, რომ ადგილობრივი საბჭო არის „სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო თავის ტერიტორიაზე. ქალაქისა და დაბის პატრონი და ის უნდა იყოს კარგი, მომკირნე პატრონი. მისი მოვალეობაა იფიქროს და იზრუნოს ყველაფერზე, ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ ადამიანებმა კარგად იცხოვროს, იმუშაონ და დაისვენონ“.¹³

პარტია იქითკენ მიისწრაფვის, რომ საბჭოები აქტიურად მონაწილეობდნენ მეურნეობათა კომპლექსურ განვითარებაში მათდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე, ხელს უწყობდნენ წარმოების რაციონალურ სპეციალიზაციას და

⁹ В. Г. Афанасьев. Научное управление обществом, изд-во политической литературы. М., 1968, стр. 250.
¹⁰ ვ. ა. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 480.
¹¹ ვ. ა. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 239.
¹² სკკპ XXIV ყრილობის მასალები, 1971, გვ. 204.
¹³ ვაზ. „პრავდა“, 1970 წლის 13 ივნისი.



კონცენტრაციას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებას, ადგილობრივი რესურსების მობილიზაციას წარმოების გაფართოებისათვის, განსაკუთრებით კი სახალხო მოხმარების საქონლის სიუფისათვის. საბჭოებს ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობისათვის, საბინაო და საგზაო მშენებლობისათვის.

ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასკომების უპირველეს მოვალეობას შეადგენს აქტიურად მონაწილეობდნენ პარტიის მიერ წამოყენებული საერთო სახალხო ამოცანების გადაჭრაში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ისინი უფრო ღრმად უნდა იჭრებოდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოება-თა მართვაში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკაში, საქმის ცოდნით უნდა წვევტიდნენ მიწის ნაყოფიერების გადიდების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების, საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის საქითხვის და სხვ.

თანამედროვე პირობებში, როდესაც პარტია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ფორმების ხელმძღვანელობისადმი მეცნიერულ მიდგომას მოითხოვს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე საბჭოების მიერ მმართველობითი მოღვაწეობის მეცნიერული ორგანიზაციის პრობლემების გადაჭრას, რაიონების, ქალაქების, სოფლებისა და მუშათა დაბების განვითარების სოციალური გეგმების შემუშავებისა და განხორციელებისადმი მეცნიერულ მიდგომას.

ახლა როდესაც პარტიისა და ხალხის ყურადღების ცენტრში დგას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელება, საბჭოების მთავარი ამოცანაა პარტიის ხელმძღვანელობით გააძლიერონ თავიანთი გავლენა წარმოებაზე, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეებზე, უფრო ფართოდ, თანამედვერულად, დაუინებით გამოიყენონ მათ განკარგულებაში არსებული შესაძლებლობები და უფლებები, რათა უზრუნველყონ კომუნისმის მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრა ეკონომიკის, სოციალურ ურთიერთობათა და კულტურის შემდგომი განვითარების სფეროებში.

საბჭოების როლისა და ავტორიტეტის შემდგომი ამაღლებისა და მათი მოღვაწეობის ზრდის გადამჭრელი პირობაა მათდამი მუდმი-

ვი ყურადღება პარტიული ორგანიზაციის მხრივ. ხელმძღვანელობს რა ვ. ი. ლენინის მითითებით, კომუნისტური პარტია სოციალისტური მშენებლობის არც ერთ ეტაპზე არ ანელებს ყურადღებას საბჭოების მოღვაწეობისადმი. როგორც ი. მ. სვერდლოვი აღნიშნავდა, რევოლუციის პირველი დღეებიდანვე „ჩვენმა პარტიამ საბჭოებს მთელი სული ჩააქოვია. საბჭოების მეშვეობით და საბჭოებში იგი აწარმოებდა თავის მთავარ საქმიანობას“.¹⁴

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდიანმა აშხ. ლ. ი. ბრუნენმა მოსკოვის ბაუმანის სახელობის რაიონის ამომარჩეველთა წინაშე 1970 წლის 12 ივნისს წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: „...ყველაფერი რაც დაკავშირებულია საბჭოებთან, საბჭოთა ხელისუფლებასთან — იყო და რჩება პარტიის სისხლსორცეულ საქმედ“.¹⁵

პარტიის ყოველდღიური ზრუნვის წყალობით საბჭოების უფლებები გაუწყვეტილად ფართოვდება და მათი შესაძლებლობები განუზრტლად იზრდება. პარტია დიდ ყურადღებას უთმობს საბჭოების როლის ამაღლებას საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებასა და განვითარებაში, მათი მუშაობის მეთოდებისა და სტილის სრულყოფას, მასებთან მათი კავშირის განმტკიცებასა და გაფართოებას, საბჭოთა მუშაკების, დეპუტატებისა და აქტივის აღზრდას მაღალი იდეურობისა და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის პრინციპებით. იგი განსაზღვრავს ძირითად მიმართულებას საბჭოების მოღვაწეობაში, უზრუნველყოფს ერთიან პოლიტიკურ ხაზს მათს მუშაობაში, გეგმავს მიერებას, მიზანსწრაფულობასა და კოორდინირებას სხვადასხვა საფეხურების საბჭოების ფუნქციონირებაში. საბჭოების როლის ზრდაში, მასებთან მათი კავშირის განმტკიცებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხედავს სოციალისტური სახელმწიფოებრიობის, სოციალისტური დემოკრატიის განვითარების შემდგომი განმტკიცების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას.

1967 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“, — ხოლო 1971 წელს „მშრომელთა დეპუტატების სარაიონო და საქალაქო საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომელთა შესაბამისლად მიღებულია სხრ კავშირის

¹⁴ Я. М. Свердлов. Избранные статьи и речи, 1917 — 1919. Госполитиздат, 1944, стр. 48.
¹⁵ ვაზ. „პრავედა“, 1970 წლის 13 ივნისი.



უმადლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო, რაიონულ, საქალაქო და ქალაქების რაიონული საბჭოების ძირითად უფლებათა და მოვალეობათა შესახებ. გაფართოებულ იქნა საბჭოების უფლებები სამეურნეო და სხვა საკითხებში, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან დარგშიც, როგორცაა მათ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის კოორდინირება თავისი კომპეტენციის ფარგლებში. განმტკიცდა ადგილობრივი საბჭოების მატერიალურ-ფინანსური ბაზა.

ზრუნავს რა საბჭოების როლის შემდგომი ამაღლებისათვის საზოგადოების მართვაში, პარტია ვანუწყებულ ურადლებას აქცევს ჩვენი წარმომადგენლობითი ორგანოების მოღვაწეობასთან დაკავშირებულ საკითხებს, სრულყოფს საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობას, ზრდის პარტიული კომიტეტების პასუხისმგებლობას საბჭოების მუშაობისადმი. და ეს შემთხვევითი როლია. არც თუ იშვიათად მშრომელები საბჭოების მუშაობის დონის მიხედვით მსჯელობენ საბჭოთა სახელმწიფოს მთელ პოლიტიკაზე, ჩვენი საზოგადოებრივი წყობის დემოკრატიზმზე. პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა ორგანოების განმტკიცებას კვალდიციურებული კადრებით, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვას. პარტიული კომიტეტები სწავლობენ და განსაზღვრებენ საბჭოების მოღვაწეობას, ეხმარებიან მათ მუშაობაში არსებული ხარვეზების, კერძოდ ბიუროკრატიაში ელიმენტების, მშრომელების მოთხოვნებისადმი უწყურადღებობის, თავიდან აცილებაში, ამაღლებენ საბჭოთა მუშაკების პასუხისმგებლობას დავალებული საქმისადმი.

ბოლო წლებში საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო გააძლიერეს ურადლება ადგილობრივი საბჭოების მუშაობისადმი. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საოლქო, საქალაქო კომიტეტები და რაიონები სისტემატურად სწავლობენ ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების მუშაობის გამოცდილებას, ეხმარებიან წარმომადგენლობით ორგანოებს ხარვეზებისა და ნაკლის გამოსწორებაში.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ ხანს მიღებულ დადგენილე-

ბებში, საქმიანად არის განხილული რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების ყველა რგოლის მოღვაწეობა, გამომუდგენებულია ხარვეზები, წარმომადგენლობით ორგანოებს ეძლევათ ზუსტი მამართლებათა მათი როლის შემდგომი განტკიცებისათვის პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში. დებუტატების, საბჭოთა მუშაკების ურადლება მახვილდება საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებაზე, მასებთან კავშირის განმტკიცებაზე. საბჭოების მიერ მათი უფლებების უფრო ეფექტურ გამოყენებაზე. დასახულია ქმედითი ღონისძიებანი საბჭოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფისათვის, მკაფიოდაა გამოიჭნული პარტიული და საბჭოთა ორგანოების ფუნქციები, მითითებულია წვრილმანი მეურვეობის დაუშვებლობაზე და სხვ.

პარტია ყოველთვის გვასწავლიდა, რომ აუცილებელია პარტიული და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის სწორი შეხამება, საბჭოთა და პარტიული ორგანოების ფუნქციების მკაფიო გამოიჭნა. საბჭოების და პარტიის ურთიერთმართება ასე განისაზღვრა პარტიის VIII ყრილობაზე: პარტია ცდილობს უხელმძღვანელოს საბჭოების მოღვაწეობას, მაგრამ არ ცვლიდეს მათ.¹⁶

ჭერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ვ. ი. ლენინი ყოველივე ამას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და მოითხოვდა „უფრო ზუსტად გაემიჯნათ პარტიისა (და მისი ცაკის) და საბჭოთა ხელისუფლების ფუნქციები, აემაღლებინათ საბჭოთა მუშაკებისა და საბჭოთა დაწესებულებების პასუხისმგებლობა და დამოუკიდებლობა, ხოლო პარტიისათვის დაეტოვებინათ საერთო ხელმძღვანელობა ერთად ყველა სახელმწიფო ორგანოების მუშაობაზე, ამჟამად მეტად ხშირი, არარეგულარული, უშედეგად წვრილმანი ჩარევის გარეშე“.¹⁷

ასრულებს რა ვ. ი. ლენინის მითითებებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყველა ღონისძიებებს იღებს საბჭოთა და პარტიული ორგანოების ფუნქციების უფრო მკაფიო გამოიჭნისათვის, მათს მუშაობაში დუბლირებისა და პარალელიზმის ელიმენტების დასტევისათვის. ასეთი დუბლირება ჭერ ერთი პარტიული კომიტეტების ურადლება აშორებს თავისი უშუალო ამოცანების შესრულებას, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოშობს ცალკეული საბჭოთა მუშაკების უპასუხისმგებლობას.

ჭერაც არ არის აღმოფხვრილი ფაქტები, როდესაც, — როგორც ეს აღნიშნულია სკკპ ცკ დადგენილებაში „მშრომელთა დეპუტატების

¹⁶ «КПСС в резолюциях и решениях...» ч. I, стр. 446.
¹⁷ В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 45, стр. 61.



რაიონული და საქალაქო საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ“ — პარტიული კომიტეტები ენაცვლებიან საბჭოთა ორგანოებს, წვრილმან მეურვეობას უწევენ, ერევან მათს ობერატიულ-განკარგულებით მოღვაწეობაში. სამწუხაროდ, ჭერ კიდევ იშვიათი არ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი პარტიული კომიტეტი ბიუროს სხდომებზე, და ზოგჯერ პლენუმებზეც, იხილავს საკითხებს, რომლებიც საბჭოების კომპეტენციაში შედის. შენაცვლებისა და მეურვეობის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს პარტიული და საბჭოთა ორგანოების ერთობლივი დადგენილებები წვრილმან სამეურნეო საქმეებზე, რომელთა გადაჭრაც საბჭოთა ორგანოებს შეეძლოთ. ეს იწვევს ზღვარის მოშლას პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს შორის. ხელს უშლის საბჭოებს მუშაობაში. ზღუდავს მათს ინიციატივას, ასუსტებს პარტიული ორგანიზაციების, როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელის როლს.¹⁸

სკკპ — მმართველი პარტიაა, და მას ეკისრება პასუხისმგებლობა საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების მუშაობისათვის, რომელთაც იგი ხელმძღვანელობს. მაგრამ თავის ხელმძღვანელ როლს პარტია ახორციელებს სპეციალური მეთოდებითა და ფორმებით, კადრების სწორი შერჩევითა და განაწილებით, იმის შემოწმებით, თუ როგორ ატარებენ კადრები პარტიის ხაზს. აგრეთვე მასებთან ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობით. სწორედ პარტიული ორგანიზაციების გამოყენება, ორგანიზატორული, აღმზრდელითი მუშაობა, შესრულების შემოწმებაა ის, რაშიც გამოიხატება პარტიის ხელმძღვანელი როლი საბჭოების მიმართ. შეიმუშავენ და ახორციელებს რა თავის პოლიტიკას, პარტია ეყრდნობა კომუნისტ დეპუტატებს, საბჭოთა მუშაკებსა და აქტივისტებს. საბჭოებთან არსებულ პარტიულ ჯგუფებს, საბჭოთა ორგანოების პირველად პარტიულ ორგანიზაციებს.

ახორციელებს რა საბჭოების ხელმძღვანელობას, პარტია ხდის მათს მუშაობას უფრო ეფექტურს. ავითარებს და სრულყოფს საბჭოთა წყობილებებს დემოკრატიულ საფუძვლებსა და პრინციპებს, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი საქმეების მართვაში აბამს ადამიანთა სულ ახალ და ახალ მანებს. ამით მტკიცდება პარტიის კავშირი მასებთან, პარტიისა და ხალხის ერთიანობა, უფრო წარმატებით

სრულდება კომუნისტური მშენებლობის ამოცანები.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის სფერო გააფართოვეს. ახლა ისინი უფრო კონკრეტულად და ობერატიულად ეკიდებიან თავიანთ კომპეტენციაში შემავალ საკითხების გადაწყვეტას, უფრო ღრმად და საფუძვლიანად სწავლობენ სახალხო მეურნეობის, კულტურის, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა საწარმოებისა და ცალკეული დარგების მოღვაწეობას.

მაგალითისათვის გავაცნობთ ზოგიერთ საკითხს, რომელიც განხილულია საქართველოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების სესიებზე: „1971 წელს ქ. ფოთის წარმოებების მიერ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ“, „ქალაქის საბინაო ფონდისა და კომუნალურ მეურნეობათა ობიექტების ექსპლუატაციის გაუმჯობესების შესახებ“, „ამომრჩეველთა მიერ წინასწარჩევნო კრებებზე წამოყენებულ წინადადებათა შესრულების ღონისძიებების შესახებ“, „იმი საშუალებათა ერთობლივი გამოყენების შესახებ, რომლებიც გამოყოფილია საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებას მიერ კულტურულ-საყოფაცხოვრებო საქაროებისათვის“.¹⁹

ბოლო დროს, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების სესიებსა და სხდომებზე განხილული და გადაჭრილი საკითხების სფეროს გაფართოებასთან ერთად, მნიშვნელოვნად ამაღლდა აღმასკომების სესიებისა და სხდომების მომზადებისა და ჩატარების ხარისხი.

საბჭოების მთელ მოღვაწეობას საფუძვლად უდევს საჯაროობის ლენინური პრინციპი, რომლის შემდგომი განვითარება და გაფართოება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საზოგადოებრივ მართვაში წარმომადგენლობითი ორგანოების როლის გაზრდისათვის.

საჯაროობა საბჭოებისა და სოციალისტური საზოგადოების მართვის მთელ სისტემაში საშუალებას იძლევა უკეთ შევიგრძნოთ საზოგადოებრივი პუბლიკის იგი მილიონობით მშრომელს საშუალებას აძლევს ყველაფერი იცოდეს, ყველაფერზე მსჯელობდეს შეგნებულად, აქტიურ გავლენას ახდენდეს სახელმწიფოებრივი საქმეების გადაჭრაში, ეხმარება მათ არსებული სარწევებისა და შეცდომების თავიდან აცილებაში. ვ. ი. ლენინი წერდა, რომ საჯაროობის

¹⁸ Б. М. Морозов. Партия и Советы в условиях строительства коммунизма. В кн.: КПСС и массовые организации трудящихся в период строительства коммунизма, М., 1970, стр. 21.

¹⁹ იხ. მშრომელთა დეპუტატების ფოთის საქალაქო, ხაშურის, მანარაძის, მცხეთის, გურჯაანის რაიონების საბჭოების აღმასკომების მიმდინარე აქტივია.



გარეშე სასაცილო იქნებოდა დემოკრატიაზე ლაპარაკი,²⁰ — რომ საჯაროობა, — ნაწი უხვამდა იგი, — არის მასველი, რომელიც თავადვე კურნავს მისით მიუყენებულ ჭრილობებს.²¹

ჩვენში კარგ დემოკრატიულ ტრადიციად და წესად იქცა კანონების პროექტებისა და სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მასობრივი განხილვა, დეპუტატების, საბჭოების აღმასკომების, მათი განყოფილებებისა და სამმართველოების, ხელმძღვანელების ანგარიშგება სესიებისა და ამომრჩევლების წინაშე.

ასე მაგ., 1971 წელს ჩვენს ქვეყანაში საბჭოების წინაშე ანგარიშგებით წარსდგა 49.417 აღმასკომი, ანუ 99,1 პროცენტი, ხოლო მოსახლეობის წინაშე — 48.799 აღმასკომი (97,8 პროცენტი). ჩატარდა მოქალაქეთა 230 ათასი კრება, რომლებმაც მოსმინეს აღმასკომების ანგარიშები. ამ კრებებს 42 მილიონზე მეტი კაცი ესწრებოდა. აქას გარდა, გაიმართა 70 ათასი კრება განყოფილებებისა და სამმართველოების ანგარიშგებით, რომლებსაც დაესწრო 13 მილიონი კაცი.²²

საბჭოები, მართვის ორგანოები მოსახლეობას ფართო ინფორმაციას აწვდიან თავიანთი მუშაობის, მიღებულ გადაწყვეტილებათა და მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ პრესის, რადიოსა და ტელეხედვის საშუალებით.

საბჭოები მუშების, გლეხების, ინტელიგენციის ფენებიდან დებულობენ დიდძალ წინადადებებს, რჩევებს, კრიტიკულ შენიშვნებს. უკველი მათგანი, რომელიც ყურადღებას იმსახურებს, განიხილება, მხედველობაში მიიღება და ხორციელდება.

ყოველივე ამის წყალობით დეპუტატები სულ უფრო აქტიურად მონაწილეობენ სესიებზე განხილულ ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტაში (1971 წლის მეორე ნახევარში სესიებზე წარმოდგენილი საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღო 26.001 დეპუტატმა ანუ რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების საერთო რაოდენობის 53,4 პროცენტმა),²³ შესაბამისად, სესიებზე მათი გამოხვლა თვით ამომრჩევლთა ხმად იქცევა, და საბჭოების გადაწყვეტილებები უფრო და უფრო იღებს ხალხის მასების კოლექტიური ნების გამოხატვის ნამდვილ ხასიათს.

დებაში, რომლებიც განიხილება საბჭოების სესიებისა და აღმასკომების სხდომებზე, უფრო გულბეულად სწვდებიან ეკონომიკისა და კულტურის საკითხებს, აკონტროლებენ, თუ როგორ ასრულებენ საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს მართვის ორგანოები, საწარმოები და დაწესებულებები. თავის მუშაობაში აბამენ მშრომელთა ფართო მასებს და ამოწმებენ შემდგომი ორგანოების დადგენილებათა შესრულებას.

1972 წლის მონაცემების მიხედვით ჩვენი ქვეყნის ყველა ადგილობრივ საბჭოსთან მოქმედებდა 326.245 მუდმივი კომისია, რომლებშიც დასაქმებული იყო 1.749.029 დეპუტატი, ანუ დეპუტატების საერთო რიცხვის 80,9 პროცენტი. მუდმივ კომისიებში მუშაობდა 2,4 მილიონი აქტივისტი. 1969 წლის მონაცემებთან შედარებით მუდმივი კომისიების რიცხვი 1971 წელს გაიზარდა 4.468 ერთეულით.

არჩევნების შემდეგ 1971 წლის მეორე ნახევრის განმავლობაში საბჭოების სესიებზე მოხსენებებით და თანამონხსენებებით გამოვიდა 206.655 კომისია, ანუ 63,3 პროცენტი. მათ გააკეთეს 268 ათასზე მეტი მოხსენება და თანამონხსენება. აღმასკომებისათვის 1971 წელს მუდმივმა კომისიებმა მოაშაადეს 558.567 საკითხი, მათ შორის საგეგმო და საბიუჯეტო-ფინანსურმა კომისიებმა — 89.919, სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის კომისიებმა — 82.142, სოფლის მეურნეობის კომისიამ — 154.446, სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიებმა — 116.815, ჯანდაცვისა და სოციალურ-ვეთლეოების კომისიებმა — 26.789, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო და კეთილმოწყობის კომისიებმა — 61.970, სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისიებმა — 63.512, ახალგაზრდობის საქმეთა კომისიამ — 8.982 და სხვა კომისიებმა — 4.092 საკითხი.²⁴

საბჭოების ცენტრალური ფიჯურაა — დეპუტატი. იგი ხალხის სრულყოფილებიანი წარმომადგენელია, დამაკავშირებელი და მართვანი-სებელი ბირთვია საბჭოებისა, როგორც ხელისუფლების ორგანოებსა და ამომრჩეველთა მასებს შორის.

დეპუტატის პირად და საქმიან თვისებებზე. მის განათლებაზე, შრომისმოყვარეობაზე. ამომრჩევლებთან მჭიდრო კავშირზე, ბევრად არის

მონაწილეობენ სხვადასხვა საკითხების მომზადებაში.

²⁰ ვ. ი. ლენინი, თხ., ტ. 6, გვ. 138.

²¹ ვ. ი. ლენინი, თხ., ტ. 23, გვ. 53.

²² Демократия в действии. «Советы депутатов трудящихся», 1972, № 6, стр. 85.

²³ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმდინარე აქტივი, 1972 წელი.

²⁴ Демократия в действии. «Советы депутатов трудящихся», 1972, № 6, стр. 86—87.



დამოკიდებული საბჭოების მოღვაწეობა საზოგადოების მართვის საქმეში.

ადგილობრივი საბჭოების დებუტატთა უმეტესობა აქტიურად მონაწილეობს სესიების მუშაობაში, აღმასკომებისა და მუდმივი კომისიების სხდომებში, დიდ მუშაობას ეწევა ხაარჩევნო ოლქებში, დებუტატთა ჯგუფებში და საბჭოებში. დებუტატობენ მოქალაქეებს, ეხმარებიან მათ წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტაში, სესიებზე შეკითხვებით მიმართავენ აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებს, წარმოებებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს, სისტემატურად ხვდებიან ამომრჩევლებს, გამოდიან თავიანთი საანგარიშო მოხსენებებით და ა. შ.

1971 წლის არჩევნების შემდეგ ადგილობრივი საბჭოების სესიებზე საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღო 1.298.616 დებუტატმა, ანუ საერთო რიცხვის 60,1 პროცენტმა. დებუტატებმა სესიებზე 89.249 შეკითხვით მიმართეს აღმასრულებელი ორგანოების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს. ამომრჩევლებთან საანგარიშო მოხსენებით წარდა 2.057.094 დებუტატი ანუ 65,2 პროცენტი.²⁵

ამომრჩეველთა მკაცრად უღვებთან დებუტატების მუშაობის შეფასებას. ისინი საქირო შემოხვევებში იყენებენ დებუტატის ვადამდე გამოწვევის უფლებას. მაგალითად, 1971 წელს გადარჩეულ იქნა 197 დებუტატი, რომლებმაც ვერ გაამართლეს ამომრჩეველთა ნდობა, მათ რიცხვში: 2 საოლქო საბჭოს დებუტატი, 23 რაიონული, 11 — საქალაქო, 8 — ქალაქის რაიონის, 142 — სოფლის და 16 — სადაბო საბჭოების დებუტატი.²⁶

საბჭოების როლის შემდგომი ამაღლების მნიშვნელოვანი პირობაა დებუტატთა შემადგენლობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, მათი მოღვაწეობის აქტიუზაცია, დებუტატთა და საბჭოების აქტივის ძალთა სწორი გაერთიანება, მათი მუშაობის მიზანშეწონილი ორგანიზაცია და წარმართვა, ამომრჩევლების წინაშე პასუხისმგებლობის გაძლიერება.

სკკ XXIV ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო დებუტატების როლის შემდგომ ზრდას. ყრილობაზე მიზანშეწონილად ჩაითვალა კანონით განსაზღვრულიყო დებუტატების სტატუსი, მათი უფლებამოსილება, თანამდებობის პირთა ვალდებულებები დებუტატთა მიმართ.²⁷

პარტის ეს მოთხოვნა უკვე შესრულდა. როგორც ცნობილია, სსრკ უმაღლესი საბჭოს IV

სესიამ გასული წლის სექტემბერში მიიღო სსრკ კავშირის კანონი „სსრკ კავშირში მშრო-

მელთა დებუტატების საბჭოების დებუტატთა სტატუსის შესახებ“²⁸ რომელშიც განსაზღვრულია ძირითადი დებულებები ყველა სსრის საბჭოების დებუტატების უფლება-მოვალეობების შესახებ. მასში გათვალისწინებულია ლენინური იდეები წარმომადგენლობით სისტემაზე, სსრკ კავშირის კონსტიტუციითა დებულებები, ყველაფერი საუკეთესო, რაც გამოიმუშავებულია საბჭოების, მათი დებუტატების, თითქმის ნახევარ საუკუნეზე მეტი პრაქტიკით. ეჭვი არ არის, რომ კანონის ცხოვრებაში გატარება ყოველნაირად შეუწყობს ხელს დებუტატების ავტორიტეტის შემდგომ ამაღლებას და სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მართვაში მათი შემოქმედებითი აქტივობის ზრდას.

მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების მოღვაწეობა ჩვენი პარტიის მითითებითა შესაბამისად უნდა გახდეს უფრო ფართო, კონკრეტული და მიზანსწრაფული. ეკონომიკისა და კულტურის განვითარების მასშტაბებისა და საწარმო-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ქსელის არნახული ზრდა, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროს გაფართოება, რომელთა რეგულირება უნდა ხდებოდეს მთელი საზოგადოების მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, ადგილობრივი საბჭოების წინაშე აყენებს ახალ ამოცანებს. მათ უფრო ეფექტურად უნდა გამოიყენონ მათთვის მინიჭებული ყველა უფლება და უფრო მეტად განვითარონ მოღვაწეობის დემოკრატიული პრინციპები, მნიშვნელოვნად გააფართოვონ გადასაწყვეტი საკითხების წრე, გააძლიერონ გავლენა სამარწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაზე, უფრო ღრმად ჩასწვდნენ მათს ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებებისა და ორგანიზაციების მუშაობას. საბჭოების ვალია, ებრძოლონ უწყებრობას, საერთო სახელმწიფო ინტერესების ადგილობრივ ინტერესებთან დაპირისპირების ცდას, გამოაშკარონ ბიუროკრატიაში, მოქალაქეთა საქირიებისა და მოთხოვნების მიმართ უყურადღებობის, უსულგულო დამოკიდებულების ფაქტები, მხარი დაუჭირონ გონივრულ წამოწყებას, გაავრცელონ მოწინავეთა გამოცდილება. აი ჩვენი წარმომადგენლობითი ორგანოების როლის ამაღლების ძირითადი მიმართულებები კომუნისტური მშენებლობის პროცესში.

²⁵ Демократия в действии. «Советы депутатов трудящихся», 1972, № 6, стр. 85, 87.

²⁶ Демократия в действии. «Советы депутатов трудящихся», 1972, № 6, стр. 88.

²⁷ სკკ XXIV ყრილობის მასალები, 1971, გვ. 204.

²⁸ გაზ. „პრავედა“, 1972 წლის 22 სექტემბერი.

დროებით ნასუქი პიკეზისათვის სასწოვრებელი ფაქტობის შენახვის წესი და პიკეზები

ბ. ჯაფარიძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, კოოპერაციულ და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების, აგრეთვე მოქალაქეთა პირადი საკუთრების სახლებში საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელი და მისი ოჯახის წევრები, რომლებიც მუდმივ საცხოვრებლად გადავიდნენ სხვა ადგილზე კარგავენ საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლებას. ქირავნობის ხელშეკრულება მოშლილად ითვლება მათი წასვლის დღიდან¹.

თუ დამქირავებელი, მისი ოჯახის რომელიმე წევრი ან ყველა ერთად დროებით იმყოფებიან სხვაგან, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება მათ ენახებათ ექვსი თვის განმავლობაში, მიუხედავად საცხოვრებელი სახლის უწყებრივი კუთვნილებისა. ის პიკეზები, რომლებიც წასული არიან ექვს თვეზე მეტი ვადით კარგავენ უფლებას საცხოვრებელ ფართობზე მათი ფაქტიურად წასვლის დღიდან, თუნდაც მათი წასვლა აღნიშნული არ იყოს სახლის წიგნში. სასამართლო პრაქტიკის თანახმად საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა დამქირავებლის დროებით სხვაგან ყოფნის მოტივით შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ დამქირავებელი საცხოვრებელი სადგომით არ სარგებლობდა.

თუ პატივსაღები მიზეზით დამქირავებელი ან მისი ოჯახის წევრები დროებით არიან წასული სხვაგან ექვს თვეზე მეტი ვადით, ეს ვადა დამქირავებლის ან მისი ოჯახის წევრების მოთხოვნით შეიძლება გააგრძელოს დამქირავებელმა, ხოლო დავის წამოჭრის შემთხვევაში — სასამართლომ².

მართოდენ ის ფაქტი, რომ დამქირავებელმა ან მისი ოჯახის რომელიმე წევრმა დაკარგა საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის უფლება, არ წარმოადგენს კანონით გათვალისწინებულ საფუძველს საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლისა და ოჯახის დანარჩენი წევრების გამოსახლებისათვის. ასეთ შემთხვევაში საცხოვრებელი სადგომის ის ფართობი, რომელიც განთავსდებოდა ოჯახის რომელიმე წევრის წასვლის გამო, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 310-ე მუხლით გათვალისწინებული წესების დაცვით.

ოჯახის ის წევრები, რომლებმაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში სხვაგან ყოფნის გამო დაჰკარგეს საცხოვრებელი სარგებლობის უფლება, შეიძ-

¹ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 322-ე მუხლის მეორე ნაწილი; სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის № 3 დადგენილების მე-4 პუნქტი. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1964, № 3, стр. 23.

² საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-300 მუხლის 11 ნაწილი. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის № 3 დადგენილების მე-4 პუნქტი; «Бюллетень Верховного Суда СССР», 1964, № 3, стр. 23.

ლება იმავე სადგომში ჩასახლებულ იქნენ ოჯახის დანარჩენი სრულწლოვანი წევრების წერილობითი თანხმობით. ასეთი წესით საცხოვრებელ სადგომში ჩასახლებული პირები, ოჯახის დანარჩენი წევრების თანაბრად სარგებლობენ საცხოვრებელი ფართობით, თუ დამქირავებელსა, მასთან ერთად მცხოვრებ მისი ოჯახის სრულწლოვან წევრებსა და ჩასახლებულ პირებს შორის სხვა შეთანხმება არ იყო დადებული³.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-300 მუხლით გათვალისწინებული წესი დროებით წასული პირებისათვის საცხოვრებელ სადგომში უფლების შენარჩუნების ვადების შესახებ არ გამოიყენება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრების მიმართ. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს კოოპერატივის სახლში საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება ენარჩუნებათ, სხვაგან ყოფნის ვადის ხანგრძლივობის მიუხედავად. ამასთან დაკავშირებით ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდებით გათვალისწინებულ იქნეს წესი, რომლის თანახმად, თუ მეპაიე და მასთან ერთად მცხოვრები მისი ოჯახის წევრები პატივსაცემი მიზეზების გარეშე ხანგრძლივი დროის განმავლობაში (ექვს თვეზე მეტი ვადით) არ სარგებლობენ კოოპერატივის სახლში საცხოვრებელი ფართობით, კოოპერატივმა ასეთი მეპაიე ცნოს კოოპერატივის შემადგენლობიდან გასულად, აქედან გამომდინარე ყველა უფლებრივი შედეგებით⁴. კოოპერატივის წევრთა საერთო კრების მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღება სავსებით შეესაბამება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მე-5 მუხლის მოთხოვნებს.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-300 მუხლით გათვალისწინებულია საგანგებო შემთხვევები, როდესაც დამქირავებელსა და მისი ოჯახის წევრებს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება ენახებათ ექვსი თვის გასვლის შემდეგაც. ეს უფლება ენახებათ:

1) იმ პირებს, ვინც გაწვეულია ვადიან სამხედრო სამსახურში — სამხედრო სამსახურში ყოფნის მთელი დროის მანძილზე, აგრეთვე სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში.

თუ დამქირავებელმა სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების დღიდან ექვსი თვის განმავლობაში არ მოითხოვა საცხოვრებელი სადგომის განთავსი უფლება, ქირავნობის ხელშეკრულება ჩაითვლება გაუქმებულად. დავის წამოჭრის შემთხვევაში საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების გაუქმების საკითხს წყვეტს სასამართლო საერთო წესით.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-300 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული წესი საცხოვრებელ ფართობზე უფლების შენარჩუნების შესახებ ვრცელდება აგრეთვე იმ პირებზე, რომლებიც ვადიან სამსახურში გაიწვიეს საერთო საცხოვრებლიდან. სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა 1958 წლის 23 მაისის წერილით⁵ განმარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს არავითარ გამონაკლისებს. სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს იმ საერთო საცხოვრებელში ფართობის მიღება საიდანაც იგი გაიწვიეს. თუ საწარმოს, დაწესებულების აღმი-

³ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 297-ე მუხლის II ნაწილი.

⁴ Ю. К. Толстой. Советское жилищное право, 1967, стр. 141.

⁵ «Социалистическая законность», 1958, № 1, стр. 17.



ნისტრაცია არ დააკმაყოფილებს ამ პირის თხოვნას, მას უფლება აქვს სასამართლოს საშუალებით მოითხოვოს საერთო საცხოვრებელში ფართობის მიღება.

ასეთივე უფლებით სარგებლობენ ის პირები, რომლებიც ვადიან სამხედრო სამსახურში არიან გაწვეულნი სამსახურებრივი ბინებიდან.

ვადიან სამხედრო სამსახურში გაწვეულ პირს პირველი სამი თვის განმავლობაში ენახება საცხოვრებელი სადგომი, ამ ვადის გასვლის შემდეგ გამჭირვებულს უფლება აქვს თავისუფალ საცხოვრებელ სადგომში ჩაასახლოს სხვა მოქალაქე სამხედრო სამსახურში გაწვეული პირის დაბრუნებამდე.

სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებისას დამჭირავებულს უფლება აქვს მოითხოვოს საცხოვრებელი სადგომის დაუყოვნებლივ განთავისუფლება. თუ ჩასახლებული პირი და მისი ოჯახის წევრები უარს განაცხადებენ საცხოვრებელი სადგომის ნებაყოფლობით განთავისუფლებაზე, მათი გამოსახლება შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით მათთვის სხვა საცხოვრებელი სადგომის მიცემის ვადის დაუდგენლად.

სამხედრო მოსამსახურის საცხოვრებელი სადგომის გამოყენების წესი ჩამოყალიბებულია რუსეთის სფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 307 მუხლში და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსების შესაბამის მუხლებში. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს გამჭირავებლის მიერ სამხედრო მოსამსახურის თავისუფალი საცხოვრებელი სადგომის გამოყენების ასეთ შესაძლებლობას. ვფიქრობთ, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში ეს ნორმა შეტანილ უნდა იქნას. სახელმწიფოსა და მშრომელთა ინტერესების გათვალისწინებით მართებულად უნდა ჩაითვალოს ვადიან სამხედრო სამსახურში გაწვეული პირის თავისუფალი საცხოვრებელი სადგომის გამოყენების შესაძლებლობის დაშვება.

2) გემის ეკიპაჟის, გეოლოგიური, საძიებო პარტიების და სხვა ექსპედიციების და სხვ. მუშაკებს ან სასწავლებლად მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან დროებით წასულებს — მუშაობის ან სწავლის განმავლობაში და ექვსი თვის განმავლობაში მუშაობის ან სწავლის დამთავრების დღიდან.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-300 მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული წესი სასწავლებლად წასული პირებისათვის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე ფართობის შენახვის შესახებ გამოიყენება უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სტუდენტების, ასპირანტების, აგრეთვე საშუალო სპეციალური სასწავლებლების, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლების, პროფესიული ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლების მოსწავლეთა მიმართ.

ის პირები, რომლებიც მუშაობის ან სწავლის დამთავრების შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში არ მოითხოვენ საცხოვრებელი სადგომის დაბრუნებას, მათთან ქირავნობის ხელშეკრულება მოშლილად ჩაითვლება.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ პირები, რომლებსაც მუშაობისა და სწავლის განმავლობაში მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე ენახებათ საცხოვრებელი სადგომი, არ იძენენ დამოუკიდებელ უფლებას იმ საცხოვრებელ სადგომზე, რომელშიც ისინი ცხოვრობენ მუშაობის ან სწავლის განმავლობაში.

3) ბავშვებს, რომლებიც აღსაზრდელად გადაეცათ სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებებს, ან ნათესავეებსა თუ მეურვეებს, ბავშვების — ამ დაწესებულებებში.

სებულებებში, ნათესავებთან ან მეურვეებთან ყოფნის მთელი დროის განმავლობაში, თუ საცხოვრებელ ფართობში, საიდანაც ბავშვები არიან წასული საცხოვრებლად დარჩნენ მათი ოჯახის წევრები.

თუ საცხოვრებელ ფართობში, საიდანაც ბავშვები წავიდნენ, არ დარჩნენ საცხოვრებლად მათი ოჯახის წევრები და ფართობი სხვა მოქალაქეებს მიეცა, მაშინ სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებაში მათი ყოფნის ვადის გასვლის შემდეგ ბავშვები საცხოვრებელი ფართობით უნდა უზრუნველყონ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტებმა. ბავშვები სხვა საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფილი უნდა იქნენ პირველ რიგში. პირი, რომელიც თვრამეტი წლის შესრულების შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში არ ისარგებლებს ამ უფლებით, კარგავს თავისი ყოფილი ან სხვა საცხოვრებელი სადგომის პირველ რიგში მიღების უფლებას.

ეს წესი არ გამოიყენება ნაშვილები ბავშვების მიმართ. ნაშვილები ბავშვი მშვილებლის საცხოვრებელ ფართობზე იძენს უფლებას და ამავე დროს კარგავს უფლებას იმ საცხოვრებელ ფართობზე, რომელშიაც იგი ცხოვრობდა გაშვილებამდე.

4) სამკურნალო დაწესებულებებში (საავადმყოფო, სანატორიუმი, პოსპიტალი და სხვა) მყოფ პირებს — მკურნალობის მთელი დროის განმავლობაში, აგრეთვე მკურნალობის დამთავრებულ შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში. საცხოვრებელი სადგომის შენახვის აღნიშნული წესი არ გამოიყენება იმ მოხუცთა და ინვალიდთა მიმართ, რომლებიც კანონით დადგენილი პირობების დაცვით მოთავსებული არიან მოხუცთა და ინვალიდთა სახლებში.

5) პატიმარს — გამოძიების ან სასამართლოს წარმოებაში ყოფნის მთელი დროის განმავლობაში.

დაპატიმრებულს საცხოვრებელ სადგომზე უფლება ენახება წინასწარი გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვამდე, მიუხედავად გამოძიებისა და განხილვის ვადის ხანგრძლივობისა. წინასწარი გამოძიების პროცესში საქმის შეწყვეტის ან სასამართლოს შიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, დამკირავებელს უფლება აქვს ექვსი თვის განმავლობაში მოითხოვოს საცხოვრებელი სადგომის დაბრუნება.

თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების ან გასახლების ექვს თვეზე მეტი ვადით მისჯისას, თუ ფართობში საცხოვრებლად არ დარჩნენ მსჯავრდებულის ოჯახის წევრები, ქირაფნობის ხელშეკრულება ჩაითვლება მოშლილად განაჩენის სისრულეში მოყვანის მომენტიდან.

ზედამხედველობის წესით განაჩენის გაუქმება და საქმის წარმოებით შეწყვეტა არ წარმოადგენს საფუძველს საცხოვრებელი სადგომის დაბრუნებისათვის. ასეთ პირს სხვა ბნით უზრუნველყოფს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი.

მსჯავრდებულს, რომელიც განაჩენის სისრულეში მოყვანის შემდეგ განთავისუფლებულია ამნისტიით ან ვადამდე პირობით, არ შეუძლია მოითხოვოს საცხოვრებელი სადგომის დაბრუნება.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-300 მუხლით გათვალისწინებული საფუძველები დროებით წასული პირებისათვის საცხოვრებელი სადგომის შენახვის შესახებ არ შეიძლება ამომწურავად ჩაითვალოს. საბჭოთა საოჯახო კანონმდებლობის თანახმად მეურვე ან მზრუნველი მოვალეა იცხოვროს მათ მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფ არასრულწლოვან პირთან



ერთად. ცალკეულ შემთხვევებში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო შეიძლება ნება დართოს მზრუნველსა და მზრუნველობაში მყოფ პირს, რომელსაც თქვესმეტი წელი შეუსრულდა ცალ-ცალკე იცხოვრონ. თუ ეს ორგანო მივა დასკვნამდე, რომ მათი ცალ-ცალკე ცხოვრება უარყოფით გავლენას არ მოახდენს მზრუნველობაში მყოფი პირის აღზრდასა და უფლებების დაცვაზე (საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 146-ე მუხლი და სხვა რესპუბლიკის საქორწინო და საოჯახო კოდექსების შესაბამისი მუხლები).

თუ მეურვე და მზრუნველი მოვალენი არიან იცხოვრონ მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფ არასრულწლოვან პირთან, მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე აუცილებლად უნდა შეუნარჩუნდეთ საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება, მეურვეობისა და მზრუნველობის განხორციელების მთელი დროის განმავლობაში, რაც საკანონმდებლო წესითაც უნდა ჩამოყალიბდეს სამოქალაქო სამართლის კოდექსში.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-300 მუხლით გათვალისწინებული წესით უფლება საცხოვრებელ სადგომზე ექვს თვეზე მეტი ვადით უნდა შეუნარჩუნდეთ აგრეთვე იმ პირებს, რომლებსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 30 ნოემბრის ბრძანებულების⁶ შესაბამისად გაგზავნილი არიან სამუშაოდ ან სასამართლოს დადგენილებით შეფარდებული აქვთ გამასწორებელი სამუშაოები.

საბინაო კანონმდებლობით დადგენილია განსაკუთრებული წესი და პირობები საცხოვრებელი სადგომის დაჯავშნისათვის.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 301-ე მუხლის თანახმად საცხოვრებელი ფართობის დამქირავებელს და მისი ოჯახის წევრებს საცხოვრებელი ფართობის დაჯავშნის უფლება აქვთ:

ა) საზღვარგარეთ სამუშაოდ მივლინების შემთხვევაში — საზღვარგარეთ ყოფნის მთელი დროის განმავლობაში;

ბ) უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში ან უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ ადგილებში სამუშაოდ წასვლის შემთხვევაში განსაზღვრული ვადით დადებული შრომის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ხოლო სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში — ამ რაიონებსა და ადგილებში მუშაობის მთელი ხნის განმავლობაში;

გ) სსრ კავშირის კანონმდებლობით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 10 თებერვლის ბრძანებულების — „უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში და უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ ადგილებში მომუშავე პირთათვის შეღავათების მოწესრიგების შესახებ“⁷ შესაბამისად იმ მუშაკებს, რომლებსაც ვადაიყვანენ, გაგზავნიან ან მიიწვევენ უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონულ ადგილზე მუშაობაზე ადგილებში სამუშაოდ, იმ პირობით, თუ ისინი მზრუნველობის ორგანოში მუშაობის ხელშეკრულებას ხუთი წლის ვადით, ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანის კუნძულებზე — ორი წლის ვადით, მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე ენახებათ საცხოვრებელი ფართობი შრომის ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდისათვის, მიუხედავად იმისა, რჩებიან თუ არა ბი-

⁶ იხ. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“ 1966, № 11, მუხ. 185.

⁷ «Ведомости Верховного Совета СССР», 1960, № 7, стр. 45.

ნაში მათი ოჯახის წევრები. საცხოვრებელი ფართობი ენახებათ აგრეთვე ოჯახის იმ წევრებსაც, რომლებიც დამჭირავებელთან ერთად გადავიდნენ.

ამ კატეგორიის პირებს და მათი ოჯახის წევრებს საცხოვრებელი ფართობი ენახებათ მიუხედავად იმისა სამუშაო ადგილზე ისინი უზრუნველყოფილი არიან თუ არა საცხოვრებელი ბინით.

უკიდურესი ჩრდილოეთის იმ რაიონების ნუსხა, რომლებზეც ვრცელდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 10 თებერვლის ბრძანებულება დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 10 თებერვლის № 148 დადგენილებით.⁸

გენერლებს, ადმირალებს, ოფიცრებს და ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც იგზავნიან უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში და მათთან გათანაბრებულ ადგილებში სამსახურის გავლისათვის ენახებათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე საცხოვრებელი ფართობი აღნიშნულ რაიონებში და ადგილებში სამსახურის პერიოდის განმავლობაში.⁹

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 8 დეკემბრის დადგენილების¹⁰ თანახმად ვეტერინარ ექიმებს, რომლებიც მივლინებული არიან სასოფლო სამეურნეო და ვეტერინარულ სასწავლებლებთან არსებული კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე ენახებათ საცხოვრებელი ფართობი, სწავლის პერიოდის განმავლობაში და აგრეთვე სწავლის დამთავრების შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში.

მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე საცხოვრებელი ფართობის დაჯავშნის უფლებით სარგებლობენ აგრეთვე სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების და ცალკეული უწყებების საწარმოებისა და დაწესებულებების მუშაკები. კერძოდ, ის პირები, რომლებიც გაგზავნილი არიან მანგიშლაკის ნახევარკუნძულზე განლაგებულ გეოლოგიურ სადაზვერვო, ნავთობისა და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებში სამუშაოდ, მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე ენახებათ საცხოვრებელი ფართობი, აღნიშნულ ორგანიზაციებში მუშაობის მთელი დროის განმავლობაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 14 მაისის № 311 დადგენილების თანახმად სახელმწიფო ცირკის და სხვა საცირკო საწარმოებისა და კოლექტივების მუშაკებს, რომლებიც მუდმივ საგასტროლო მოგზაურობაში იმყოფებიან ენახებათ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, სახელმწიფო, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახლებში საცხოვრებელი ბინით სარგებლობის უფლება, ამ სისტემაში მათი მუშაობის დროის განმავლობაში.

მოქმედი საბინაო კანონმდებლობის შესაბამისად საცხოვრებელი ფართობის დაჯავშნის უფლებით სარგებლობენ მხოლოდ საცხოვრებელი ფართობის დამჭირავებელი და მასთან ერთად მცხოვრები მისი ოჯახის წევრები. ასეთი უფლებით სარგებლობენ აგრეთვე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრები და მასთან ერთად მცხოვრები მისი ოჯახის წევრები.

საცხოვრებელი ფართობის დაჯავშნის უფლებით არ სარგებლობენ:

ა) პირები, რომელთა მიმართ სასამართლოში აღძრულია სარჩელი საცხოვ-

⁸ СП СССР, 1960, № 5, стр. 30.

⁹ Справочник офицера по Советскому законодательству, 1966 г., стр. 458.

¹⁰ СП СССР, 1961, № 19, стр. 144.



რებელი ბინის ქირავნობის ხელშეკრულების გაუქმების ან ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის ჩამორთმევის შესახებ;

ბ) პირები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე მუხლი) შესაბამისად შეიძლება გამოსახლებულ იქნენ საწარმოებისა და დაწესებულებების სახლებიდან სხვა საცხოვრებელი ბინის მიუცემლად;

გ) პირები, რომელთაც აქვთ ბინის ქირისა და სხვა კომუნალური მომსახურების დავალიანებანი;

დ) მუშაკებს, რომლებიც ცხოვრობენ სამსახურებრივ ბინებში და საერთო საცხოვრებლებში;

ე) პირები, რომლებიც საცხოვრებელ ბინაში ცხოვრობენ ქვექირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე ან დროებითი მდგმურის უფლებით.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 303-ე მუხლის შესაბამისად მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების, სახელმწიფო, კოოპერაციული ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახლში საცხოვრებელი ფართობის დამქირავებელს უფლება აქვს მისთვის დაჯავშნულ საცხოვრებელ ფართობში თავისი შეხედულებით ჩასახლოს სხვა პირი ქვექირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე ან დროებითი მდგმურის უფლებით, მაგრამ არა უმეტესი ჯავშნით გათვალისწინებული ვადისა.

ამ მუხლით გათვალისწინებული წესები არ გამოიყენება იმ პირთა მიმართ, რომლებიც ცხოვრობენ მოქალაქეთა პირადი საკუთრების სახლებში. ასეთ პირებს, დაჯავშნულ საცხოვრებელ ფართობში სხვა პირთა ჩასახლება შეუძლიათ გამქირავებელთან შეთანხმებით.

კანონით სავანგებო პირობებია დადგენილი იმ პირებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სახლებში. სამხედრო უწყების სახლებში მცხოვრებ პირებს, მათთვის დაჯავშნულ ბინაში სამხედრო უწყების თანხმობით შეუძლიათ ჩასახლონ მხოლოდ ოფიცრები ან სხვა ზევადიანი სამსახურის სამხედრო პირები. ხოლო დახურულ სამხედრო ქალაქებში — იმავე სამხედრო ნაწილის ოფიცრები¹¹.

დაჯავშნულ საცხოვრებელ ფართობში ჩასახლებულ პირებს დამოუკიდებელი უფლება ფართობზე არა აქვთ.

საცხოვრებელი ფართობის დამქირავებლის ან მისი ოჯახის წევრების დაბრუნების შემთხვევაში დაჯავშნულ ბინაში მცხოვრები პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს საცხოვრებელი ბინა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იგი უარს განაცხადებს ბინის ნებაყოფლობით განთავისუფლებაზე, დამქირავებლის მოთხოვნით მისი გამოსახლება შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა საცხოვრებელი ბინის მიუცემლად. დამქირავებელს, აგრეთვე მისი ოჯახის წევრებს შეუძლიათ მოითხოვონ დაჯავშნული საცხოვრებელი ბინის დაბრუნება ექვსი თვის განმავლობაში, ჯავშნის ვადის გასვლის დღიდან. თუ დამქირავებელი ან მისი ოჯახის წევრები არ ისარგებლებენ ამ უფლებით, საცხოვრებელი ბინის ქირავნობის ხელშეკრულება ჩაითვლება გაუქმებულად. ამასთან სარჩელს საცხოვრებელი ბინის ქირავნობის ხელშეკრულების გაუქმებისა და თავისუფალი ბინის დამქირავებლის გამგებლობაში გადაცემის შესახებ განიხილავს და გადაწყვეტს სასამართლო საერთო საფუძველზე.

საცხოვრებელი ფართობის დაჯავშნა შეიძლება გაფორმებულ იქნეს დამ-

12.232

¹¹ З. К. Толстой. Советское жилищное право, 1967 г., стр. 152.



ქირავებლის წასვლის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში. თუ დამქირავებელს კანონით ჰქონდა საცხოვრებელი ფართობის დაჯავშნის უფლება, მაგრამ სათანადო საპატიო მიზეზების (ავადმყოფობა და სხვა) გამო დროულად ვერ მიიღო საცხოვრებელი ფართობის დაცვითი მოწმობა (ჯავშანი), სასამართლო მისთვის საცხოვრებელი ფართობის დაბრუნების საკითხის გადაწყვეტისას არ შეიძლება დაემყაროს მარტოდენ იმ ფაქტს, რომ დაცვითი მოწმობა არ არსებობს, ცალკეულ განსაკუთრებულ შემთხვევაში მხედველობაში უნდა მიიღონ აგრეთვე სხვა წერილობითი მტკიცებულებებიც¹².

საცხოვრებელი ფართობის დაჯავშნის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს 1963 წლის 13 ივლისის ინსტრუქციით „საცხოვრებელი ფართობის დაჯავშნის შესახებ“.

საცხოვრებელი ფართობის დაჯავშნის საკითხს სწვევს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, მიუხედავად საცხოვრებელი სახლის უწყებრივი კუთვნილებისა.

საცხოვრებელი ფართობის დამქირავებლის ან მასთან ერთად მცხოვრები მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრების მიერ განცხადება საცხოვრებელი ფართობის დაჯავშნის შესახებ შეიტანება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში საცხოვრებელი სახლის სამყოფელი ადგილის მიხედვით. განცხადებას უნდა დაერთოს იმ ორგანიზაციის შუამდგომლობა, სადაც საცხოვრებელი ფართობის დამქირავებელმა უნდა დაიწყოს მუშაობა (მივლინების მოწმობა) და სახლმმართველობის ცნობა საცხოვრებელი ფართობისა და ოჯახის წევრთა ოდენობის შესახებ.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საცხოვრებელი ფართობის დაჯავშნის საკითხს სწვევს საქმის მასალებისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის უარი საცხოვრებელი ფართობის დაჯავშნის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, რომელიც საქმეს განიხილავს საერთო სასარჩელო წესით. დაინტერესებულ პირთა თხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დაწესებული ფორმის მიხედვით გახცემს საცხოვრებელი ფართობის დაცვით მოწმობას (ჯავშანს). დაცვითი მოწმობა გაიცემა ორ ცალად, აქედან ერთი ცალი უნდა ჩაბარდეს დამქირავებელს (სახლმმართველობას), ხოლო მეორე — საცხოვრებელი ფართობის დამქირავებელს ან მისი ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს.

საცხოვრებელი ფართობის დაცვითი მოწმობის მოქმედების ვადა გამოითვლება მისი გაცემის დღიდან. ვადაზე ადრე მისი გაუქმება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს საშუალებით. დაცვითი მოწმობის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, დამქირავებელს და მისი ოჯახის წევრებს საცხოვრებელ ფართობზე უფლება ენახებათ ექვსი თვის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის ხელშეკრულება გაუქმებულად ჩაითვლება. ამასთან ფართობის ქირავნობის ხელშეკრულების გაუქმებისა და თავისუფალი საცხოვრებელი ფართობის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობაში გადაცემის საკითხს განიხილავს და გადაწყვეტს სასამართლო.

¹² Бюллетень Верховного Суда РСФСР, 1966 г., № 2, стр. 2.

საბჭოთა პროფკავშირების სამართლებრივი მოქმედების სწავრა

პროფ. შ. ნაიძე

საბჭოთა სახელმწიფოში პროფესიული კავშირები დიდი უფლებებით არი-
ან აღჭურვილნი, მრავალმხრივია პროფკავშირების მოღვაწეობა, ფართოა მათი
ფუნქციებისა და სამართლებრივი მოქმედების ფარგლები.

თანამედროვე პირობებში საბჭოთა პროფკავშირების, როგორც ყველაზე
მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მმართველობის სკოლის, მეურ-
ნეობის გაძლიერების სკოლისა და კომუნიზმის სკოლის ამოცანები და მნიშვნე-
ლობა განუხრელად იზრდება; თუ პროფკავშირები ქმედითს მონაწილეობას არ
იღებენ, ისე წარმოუდგენელა სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და კულტურუ-
ლი მშენებლობის, უპირველესად კი მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და საყო-
ფაცხოვრებო საკითხების გადაწყვეტა.

სკკპ XXIV ყრილობის რეზოლუციაში აღინიშნა, რომ პროფკავშირთა ერთ-
ერთი ძირითადი ამოცანაა დაიცვას მუშათა და მშრომელთა კანონიერი ინტერე-
სები, იზრუნოს მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესები-
სათვის, გააძლიეროს კონტროლი შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვისა
და უსაფრთხოების ტექნიკის წესებისა და ნორმების დაცვისადმი, უკეთ მო-
აწყოს მშრომელთა კულტურული დასვენება.¹

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბჭოთა პროფკავშირების როლი მუშა-
მოსამსახურეთა შრომითი ურთიერთობის სამართლებრივ მოწესრიგებაში.

მოქმედი კანონმდებლობით პროფკავშირებს მინიჭებული აქვთ უფლება-
მოხილვებიანი, რასაც საბჭოთა სახელმწიფო იძულების წესით იცავს. ამიტომ,
პროფესიული კავშირებისა და მათი ორგანოების კანონიერი საქმიანობისათვის
ღაბრკოლების შექმნა დანაშაულს წარმოადგენს.²

სსრ კავშირის პროფესიულ კავშირების წესდების მიხედვით, ოურიდიული
პირის უფლებათუარინაობით სარგებლობენ: პროფკავშირების საფაბრიკო, სა-
ქარხნო, ადგილობრივი კომიტეტები, საქალაქო, რაიონული, საოლქო, სამხარეო,
რესპუბლიკური და ცენტრალური კომიტეტები, აგრეთვე პროფესიული კავში-
რების საკავშირო ცენტრალური საბჭო და რესპუბლიკური, სამხარეო საოლქო
საბჭოები.

უფლებები, რომლებითაც აღჭურვილი არიან პროფკავშირთა სხვადასხვა
ორგანოები,³ გათვალისწინებულია ნორმატიულ აქტებში (სსრ კავშირის პრო-
ფესიული კავშირების წესდებაში, დარგობრივი პროფკავშირების წესდებებში,
სხვადასხვა დებულებებში და ა. შ.). საეციალურ ლიტერატურაში მოცემულია
მათი უფლებების კლასიფიკაციები, რომლებიც ვმყარება სხვადასხვა კრიტე-
რიუმებს, სახელდობრ: პროფკავშირის უფლებათა ხასიათს, მათ შორის არსე-

1. სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბილისი, 1971, გვ. 255-256.

2. იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი.

3. პროფკავშირულ ორგანოთა სისტემა, მათი აგებულება და ურთიერთდამოკიდებულება
ცალკე მსჯელობასა და განხილვას მოითხოვს.



ბულ განსხვავებებს, მოქმედების სფეროს, სამართლებრივ-ორგანიზაციულ ფორმებს, მთავარ ფუნქციათა შესაბამის სამართლებრივ ფორმებს, კომპეტენციის მოცულობის ფარგლებს და სხვ.⁴

მიზანშეწონილია პროფკავშირის უფლებათა დაყოფა მის სხვადასხვა (უმაღლეს, შუაღელ და ადგილობრივ) ორგანოთა რწმუნებულების ნიშნის მიხედვით.⁵

ამ ცოტა ხნის წინათ ისიც აღინიშნა, რომ მუშა-მოსამსახურეთა შრომის უფლებათა უზრუნველყოფის ფუნქციასთან დაკავშირებით პროფკავშირები იყენებენ სხვადასხვა სამართლებრივ ფორმებს. სამართალშემოქმედებითს, სამართალსარეალიზაციოსა და სამართალდაცვითს მოღვაწეობას პროფკავშირები ახორციელებენ სახელმწიფო ორგანოებთან ერთად (სხვადასხვა ფორმით, ან დამოუკიდებლად) სახელმწიფოს მიერ მინიჭებულ უფლებათა შესაბამისად.

პროფკავშირული ორგანოების სამართლებრივ ნორმათა შემუშავებაში მონაწილეობენ ან სახელმწიფოს რწმუნებით, ან მისი სანქციით. ბოლო დროს გლინდება საინტერესო თავისებურება პროფკავშირულ და სახელმწიფო ორგანოების ურთიერთობაში. ერთის მხრივ სახელმწიფო ორგანო ადასტურებს პროფკავშირის ნორმატიულ აქტებს, ხოლო მეორე მხრივ, სამართლებრივი აქტები, რომლებსაც გამოსცემს სახელმწიფო ორგანო პროფკავშირის თანხმობას საჭიროებს.⁶

ყველა ამ კლასიფიკაციას მხედველობაში აქვს პროფკავშირის: ა) განსაკუთრებული და დამოუკიდებელი ხასიათის უფლებები; ბ) სახელმწიფო ორგანოებთან თანაზიარი ანუ ერთობლივი უფლებები; გ) სარეკომენდაციო (სათათბირო) მნიშვნელობის უფლებები.

პროფკავშირების ზემდგომი ორგანოების კომპეტენციას შეადგენს: 1) საკანონმდებლო ინიციატივა;⁷ 2) შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთობლივი ნორმატიული აქტების გამოცემა; 3) შრომის მოქმედი კანონმდებლობის განვითარებისათვის სამართლებრივი ძალის მქონე ნორმატიული აქტების დამოუკიდებლად მიღება; 4) სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოსაცემი ნორმატიული აქტის მომზადებაში მონაწილეობა; 5) თანხმობის მიცემა სახელმწიფო ორგანოსათვის ნორმატიული აქტის მიღებაზე.

პროფესიული კავშირების მთელ მოღვაწეობაში უდიდესი ადგილი აქვს დამობილი სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ურთიერთობის სამართლებრივ რეგულირებას. პროფესიული კავშირები წარმართავენ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის საქმეს, მუშებს და მოსამსახურეებს უნიშნავენ და აძლევენ სხვადასხვა სახის დახმარებებს, ზედამხედველობასა და კონტროლს უწყვეტ მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახების სამედიცინო-საკურორტო მომსახურებას

⁴ იხ. Правовое положение профессиональных союзов СССР, изд-во Ленинградского университета, 1962, гл. 71, 72; И. О. Снегирева, Л. С. Явич, Государство и профсоюзы, Профиздат, 1967, гл. 110—112; Вопросы теории и истории общественных организаций, 1971, гл. 54—67.

⁵ რაც დაკავშირებულია ერთ სიძნელესთან, კერძოდ იმასთან, რომ დღემდე არ არის მიღებული ერთიანი ნორმატიული აქტი პროფკავშირის ყველა ორგანოს უფლებათა შესახებ.

⁶ იხ. Современные проблемы правового регулирования труда в СССР, Тезисы докладов, Вильнюс, 1972, гл. 12 (В. Н. Скобелкин, Обеспечение осуществления трудовых прав рабочих и служащих — одна из основных функций советских профсоюзов).

⁷ ეს უფლება მიკუთვნებულია აქვთ პროფკავშირების სავრთო საკავშირო და რესპუბლიკურ ორგანოებს. იხ. Постановление XV съезда профсоюзов СССР — о частичных изменениях в уставе профессиональных союзов СССР. («Труд», 1972, 25—31).

და სოციალურ უზრუნველყოფის ორგანოებს. ამ სფეროში, პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად, პროფკავშირების ზემდგომი ორგანოები გამოსცემენ სპეციალურ დადგენილებებს, ინსტრუქციებს, დებულებებსა და სავალდებულო განმარტებებს.

სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XV ყრილობამ ცვლილებები შეიტანა თავის წესდებაში. ყრილობის დადგენილებით სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების პროფკავშირის ორგანოებს აქვთ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. პროფკავშირების სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო ფლობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას, სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში შეაქვს კანონებისა და ბრძანებულებების პროექტები, მონაწილეობს ხელფასის, შრომის დაცვის, სოციალური დაზღვევის, მშრომელთა კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებზე დადგენილებათა პროექტების მომზადებასა და განხილვაში. მთავრობა კონტროლს უწყევს ამ საკითხებზე კანონების და მთავრობის დადგენილებების დაცვას, ამტკიცებს შრომის ტექნიკური და სამართლებრივი ინსპექციის დებულებას, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის სახელმწიფო კომიტეტთან ერთობლივად გამოსცემს მოქმედი შრომის კანონმდებლობის გამოყენებისათვის ინსტრუქციებს, წესებსა და განმარტებებს.

პროფკავშირის დარგობრივ ცენტრალურ კომიტეტებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საკანონმდებლო აქტების შემუშავებაში წარმოების დარგების მიხედვით მუშებისა და მოსამსახურეების შევბუღებათა, საპენსიო უზრუნველყოფის შედავათების და სხვა საკითხებზე. პროფკავშირის ეს ორგანოები იხილავენ აგრეთვე სამინისტროებისა და უწყებების მათთან შესათანხმებელ შრომის დაცვის ტიპობრივ ინსტრუქციებს (მუშების ძირითადი პროფესიებისათვის).

რესპუბლიკური პროფსაბჭოები ფლობენ საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში.⁸

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1971 წლის 27 სექტემბერს დაამტკიცა ახალი დებულება პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივი კომიტეტის უფლებების შესახებ. დებულება განსაზღვრავს პროფკავშირის ადგილკომის სამართლებრივ ურთიერთობას: ა) საწარმო-დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ბ) მუშებთან და მოსამსახურეებთან, გ) ზემდგომ პროფკავშირულ ორგანოებთან, დ) საწარმო-დაწესებულებების შიგნით მოქმედ ორგანოებთან, ე) სხვადასხვა ორგანიზაციებსა და ორგანოებთან.

ამასთანავე პროფკავშირის ადგილკომის უფლებამოსილებათა წრე განსწავდება ხასიათის მიხედვითაც. მათ მინიჭებული აქვთ საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტის უფლება; აქვთ სახელმწიფო საწარმოს (დაწესებულების) ადმინისტრაციასთან ერთობლივი და თანაბარი ანუ პარიტეტული უფლებები; ამ უფლებებს სავალდებულო მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მთელი რიგი

⁸ «Труд», 1972, 25 марта.

საკითხები ადგილკომს უნდა შეუთანხმდეს; ამ უფლებებს ზოგ შემთხვევაში საათობირო ხმის უფლების მნიშვნელობაც ეძლევა.

გარდა ამისა, დებულება ითვალისწინებს პროფკავშირის ადგილკომის თვითმჯდომარისა და წევრთა სპეციალურ გარანტიებს, მათ მიმართ მისაღებ სხვადასხვა ღონისძიებებთან დაკავშირებით.

პროფკავშირის ადგილობრივი ორგანოს ეს სტატუტი, რომელიც სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობს, ემსახურება სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას და იმ მიზნებს, რომ პროფკავშირებმა გააძლიერონ მუშაობა ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის, იზრუნონ მუშა-მოსამსახურეთა კანონიერი ინტერესებისათვის.

„შეიათი როდია მუშა-მოსამსახურეთა უკანონო დათხოვნის შემთხვევები, — აღინიშნა საქართველოს პროფკავშირთა XV ყრილობაზე — სამუშაოზე აღდგენილია ამ პირთა 70 პროცენტზე მეტი, რომლებმაც სასამართლო ორგანოებს მიმართეს.“⁹

ეს მდგომარეობა უმთავრესად გამოწვეულია იმით, რომ საწარმოს (დაწესებულების) ადმინისტრაცია არ ასრულებს იმ ვალდებულებას, რომელიც აკისრია მას დებულებით პროფკავშირის ადგილკომის უფლებების შესახებ.

მუშა-მოსამსახურეთა შრომითი დავების განხილვა-გადაწყვეტაშიც პროფკავშირის ადგილობრივ ორგანოს მინიჭებული აქვს გარკვეული იურიდიცია.

პროფკავშირის ადგილკომი, ამავე დებულების საფუძველზე, უფლებამოსილია განიხილოს შრომითი დავა, როდესაც შრომითი დავის კომისიაში მხარეებს შეთანხმებისათვის არ მოუღწევიათ, და ამ კომისიის გადაწყვეტილების თაობაზე მუშა-მოსამსახურეების საჩივრებთან დაკავშირებით. ამასთან, ადგილკომს უფლება აქვს ძალაში დატოვოს კომისიის გადაწყვეტილება ან გააუქმოს იგი და გამოიტანოს დადგენილება არსებითად დავის გამო.

ადგილკომი საკუთარი ინიციატივით ან პროკურორის პროტესტით აუქმებს კომისიის გადაწყვეტილებას, რომელიც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და გამოაქვს დადგენილება დავის არსის გამო.

გარდა ამისა, ადგილკომი უფლებამოსილია განიხილოს საჩივრები ადმინისტრაციის გადაწყვეტილებაზე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ იმ ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მუშებსა და მოსამსახურეებს მიაყენა მუშაობასთან დაკავშირებულმა დასახიჩრებამ ან რაიმე სხვა დაზიანებამ.

შრომითი დავების განხილვის კომპეტენცია კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში მინიჭებული აქვს პროფკავშირის, როგორც რაიონულ, ისე შემდგომ ორგანოებსაც. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძველები ითვალისწინებენ პროფკავშირის არაუდაბლეს რაიონულ ორგანოს უფლებას — მოითხოვონ შრომის ხელშეკრულების გაუქმება ხელმძღვანელ მუშაკებთან, ან თანამდებობიდან ჩამოაქვეითონ, თუ ისინი არღვევენ შრომის კანონმდებლობას, არ ასრულებენ კოლექტიურ ხელშეკრულებით წაკისრ ვალდებულებებს, ავლენენ ბიუროკრატიზმს და აჭიანურებენ საქმეს.

პროფკავშირის რაიონული ორგანოს მოთხოვნა შეიძლება გაასაჩივროს მუშაკმა ან ადმინისტრაციამ შემდგომ პროფკავშირულ ორგანოში, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

⁹ „კომუნისტი“, 1972, 1, 11.

პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი, რომელსაც მინიჭებული აქვს პროფკავშირის რაიონული კომიტეტის უფლებები, ასეთი მოთხოვნის უფლებას მოკლებულია.

პროფკავშირის რაიონული ორგანოს მოთხოვნით შრომის ხელშეკრულების გაუქმება ან თანამდებობიდან ჩამოქვეითება ხდება იმ მუშაკის თანადასწრებით, რომლის საკითხიც წყდება.

სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების მაჩვენებელია მუშრნეობის მართვაში მშრომელთა ფართოდ ჩაბმის მდიდარი პრაქტიკა. პროფკავშირების საქმიანობისათვის დამახასიათებელია ქმედითი მონაწილეობა სამეურნეო საკითხების გადაჭრაში, სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში, მუშათა კრებების მოწვევაში, მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირებისა და ამხანაგური სასამართლოებისადმი ხელმძღვანელობის გაწვევაში, კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებისა და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფაში, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ყველა ამ და მთელ რიგ სხვა ღონისძიებათა განხორციელება მოითხოვს, რომ პროფკავშირებმა ამისათვის გამოიყენონ როგორც სამართლებრივი, ისე არასამართლებრივი ფორმები.

ჩვენი სახელმწიფოს განვითარების ყველა საფეხურზე, განსაკუთრებით თანამედროვე ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და ენიჭება სოციალისტური შრომის დისციპლინის დანერგვასა და განმტკიცებას, სამუშაო რეჟიმის მკაცრად დაცვასა და ბრძოლას შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

1972 წელს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „სამუშაო დროის დანაკარგების შემცირებისა და მუშა-მოსამსახურეთა შრომის რეჟიმის მომწესრიგებელი კანონმდებლობის დარღვევათა თავიდან აცილების ზომების შესახებ“.¹⁰ დადგენილებაში ხანგასმით არის აღნიშნული, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპების დაჩქარებისა და ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შრომისა და წარმოების სწორ ორგანიზაციას, სამუშაო დროის ეფექტურად გამოყენებას, შრომის დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას.

შრომის დისციპლინის განმტკიცებაში წარმატებები გვაქვს იქ, სადაც არ ურიგდებიან არაორგანიზებულობას, უპასუხისმგებლობას, მოშვებულობას.

სამეურნეო ხელმძღვანელები და პროფკავშირული ორგანიზაციები ვალდებული არიან ყველა ღონისძიება განახორციელონ სამუშაო დროის დანაკარგების მკვეთრად შემცირებისათვის, წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და შრომის ნორმირების სრულყოფისათვის, ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად შესაბამისი პირობების შექმნისათვის.

თანამედროვე ეტაპზე მთავარია მწარმოებლურად გამოვიყენოთ თითოეული სამუშაო წუთი, შევამციროთ კაღრების დენალობა, რაციონალურად გამოვიყენოთ ნედლეული და მასალები, საწვავი, ელექტროენერგია, მივაღწიოთ პროდუქციის მაღალ ხარისხს.

შრომის დისციპლინის განმტკიცების ამოცანა, როგორც სოციალისტური წარმოების განვითარების უმნიშვნელოვანესი საშუალება შეიძლება უზრუნ-

¹⁰ «Партийная жизнь», 1972, № 10, ж. 3-7.

ველყოფილ იქნას მხოლოდ საწარმოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მათ შორის პროფკავშირული ორგანიზაციებისა და ადმინისტრაციის გაერთიანებული მეცადინეობით.

სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევი შეეხო სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად პროფკავშირების ამოცანებს და აღნიშნა, რომ ამ ბოლო წლებში პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით მიღებულია კანონები, რომლებიც სერიოზულად აფართოებს მთლიანად პროფკავშირების საქმიანობისა და, განსაკუთრებით, მისი იმ მხარეების სამართლებრივ საფუძველს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია მშრომელთა ინტერესებისათვის ზრუნვასთან.¹¹

ამიტომაც, შრომითი ურთიერთობის რეგულირების სფეროში პროფკავშირის სხვადასხვა ორგანოთა კომპეტენციის სამართლებრივ მომენტებისადმი ყურადღების გამახვილება სადღეისო ამოცანების მოთხოვნებს უპასუხებს.

¹¹ ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი და საბჭოთა პროფკავშირების საბრძოლო პროგრამა, თბილისი, 1972, გვ. 13, 14.

ქანონის ზუსტად გაგზავნისათვის

მ. იოსება,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე,

მ. ხუციშვილი,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

სამართალდარღვევათა თავიდან აცილებასა და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა დამოკიდებულებას შრომისადმი, იმას, თუ რამდენად დიდია მათი მართლშეგნება, როგორც სცემენ ისინი პატივს სოციალისტური თანაცხოვრების წესებს.

სასამართლო ორგანოებში სამოქალაქო საქმეთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ დევების წარმოშობას ხშირად საფუძვლად უდევს ქანონის უცოდინარობა. მოქალაქეები სათანადოდ არ აფორმებენ იმ სამართლებრივ ურთიერთობებს რომლებშიც ისინი შედიან. მაგალითად, ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლოს სარჩელით მიმართა მ. კ-მ და აღნიშნა, რომ 1941 წლის 7 ივლისს მისმა მეუღლემ დაბა სურამში ა. ს-გან შეისყიდა საცხოვრებელი სახლი, რომელიც დღემდე არ არის გაფორმებული ნოტარიულად მეუღლის სამამულო ომში დაღუპვის გამო, თუმცა მის სახელზე მოდის რაიფინგანის და სახლდაზღვევის გადასახადები. მოსარჩელემ მოითხოვა ამ სახლის მის სახელზე დაკანონება.

ვინაიდან ა. ს. იმ დროს გარდაცვლილი იყო, საქმეში მოპასუხედ ჩაბმული იქნა მისი ქალიშვილი, ნ. რომელმაც თავის მხრივ ითხოვა ბათილად ეცნოთ 1941 წლის 7 ივლისის ხელშეკრულება და სადავო სახლი გადაეცათ საკუთრებაში, როგორც დედის დანაშთი ქონების ერთადერთი მემკვიდრისათვის.

სახალხო სასამართლომ ხელშეკრულება ბათილად ცნო, ხოლო სახლის მესაკუთრის საკითხი ჯერაც გადაუწყვეტელია, ვინაიდან თვით ა-ს მესაკუთრედ ცნობისათვის საქმეში არის ურთიერთსაწინააღმდეგო მასალები (კოლეგიის განჩინებით გადაწყვეტილება ამ ნაწილში გაუქმებულია საქმის ხელახალი განხილვის მიზნით). ეს საქმე არ აღიძვრებოდა მხარეებს თავის დროზე რომ დაეცვათ სამოქალაქო კოდექსის ის ნორმა, რომელიც აწესებს თუ როგორ უნდა გაფორმდეს, სახლის ნასყიდობა. როგორც აღრიზდელი, ისე დღეისათვის მოქმედი ნორმის თანახმად ქალაქში ან დაბაში საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში მსწორწილო წესით დამოწმების დღიდან. ეს საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს უნდა დაეწესებინა დღიდან სამი თვის ვადაში.

სოფლად მდებარე საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით და რეგისტრირებულ იქნას მშრომელთა დებუტატების სასოფლო საბჭოში არაუგვიანეს სამი თვისა ხელშეკრულების დადების დღიდან. საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ყი-

ღვა-გაყიდვის ხელშეკრულება დადებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან. ამ წესების დაუცველობა აბათილებს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას.

ეს წესი ვრცელდება სააგარაკო ნაგებობაზეც (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 239 მუხლი). ამრიგად, აღნიშნულ საქმეზე დავის წარმოშობის ძირითადი მიზეზია თვით მხარეების მიერ ამ ნორმის დაუცველობა, რომლებიც აწესრიგებენ ნასყიდობის გარიგებას, ხოლო ხელშემწიყობ მიზეზად გვევლინება ხაშურის რაიფინგანის და სახდაზღვევის მუშაკების მიერ თავიანთი ფუნქციების არაჯეროვნად შესრულება.

როგორც ზემოთ ითქვა, მიუხედავად იმისა, რომ სადავო ბინა მ-ს სახელზე არ ყოფილა აღრიცხული და მას 1941 წლის სექტემბრის შემდეგ ამ ბინაში არ უცხოვრია, წლების მანძილზე ხაშურის რაიფინგანი და სახდაზღვევა გადასახადებს წერდენ მ-ს სახელზე. ეს მოსარჩელემ გამოიყენა ერთერთ მტკიცებად სახლის მის საკუთრებად ცნობისათვის.

ამასთან დაკავშირებით სასამართლომ გამოიტანა კერძო განჩინება ხაშურის რაიფინგანის მუშაკების მცდარ მოქმედებაზე რეაგირების მოსახდენად. ე. ი. აქ საქმე გვაქვს ერთი მხრივ მოქალაქეთა მიერ თავიანთი უფლებამოვალეობათა სათანადოდ გაუფორმებლობასთან, ხოლო მეორე მხრივ სახელმწიფო აპარატის მუშაკების მიერ მათი უფლება-მოვალეობის უკანონოდ შესრულებასთან.

მოქმედი კანონით საცხოვრებელი სახლის აშენება და სახლზე მაშენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს დამტკიცებული პროექტი და შესაბამისი ნებართვა. საცხოვრებელი სახლების მშენებლობა წარმოებს მიწის ამ ნაკვეთებზე, რომლებსაც გამოყოფენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი კომიტეტის აღმასკომებმა.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107 მუხლის თანახმად მოქალაქეს, რომელმაც უნებართვოდ ან პროექტის გარეშე, ანდა ძირითადი სამშენებლო ნორმებისა და წესების უხეში დარღვევით აიშენა საცხოვრებელი სახლი ან სახლის ნაწილი, უფლება არა აქვს განკარგოს — გაყიდოს, გააქირაოს და სხვ. სასამართლოს გადაწყვეტილებით ასეთი სახლი ან სახლის ნაწილი შეიძლება ჩამოერთვას უსასყიდლოდ და ჩაირიცხოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს ფონდში ან მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით დანგრეულ იქნეს თვითნებურად აშენებულ მოქალაქის მიერ ან მის ხარჯზე.

მიუხედავად ამ ნორმების მოქმედებისა უნებართვო მშენებლობა ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი.

ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს 1971 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სარჩელი და ღ-ძის პირად საკუთრების სახლზე 1969 წლის ნაწარმოები უნებართვო მინაშენი 34 კვ. მეტრი ფართობის ერთი საცხოვრებელი ოთახი და 45,03 კვ. მეტრი ფართობის დამხმარე სათავსოები ჩაირიცხა კომუნალურ მეურნეობის ბინათა ფონდში.

ამავე სასამართლომ 1971 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა იმავე აღმასკომის სარჩელი ღ-ძის მიმართ თვითნებურად აგებული საცხოვრებელი სახლის კომუნალურ ბინათა ფონდში ჩაირიცხვის შესახებ.

ლ-ძის მიერ უნებართვოდ აგებული სამოთახიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ფაქტი გამოვლინდა მშენებლობის დასრულების შემდეგ, ხოლო სარჩელი მის კომუნალურ ფონდში ჩარიცხვის შესახებ შეტანილ იქნა ფაქტის გამოვლინებიდან 6 წლის შემდეგ.

სახალხო სასამართლოს ორივე გადაწყვეტილება სასამართლო კოლეგიამ უცვლელად დატოვა. საქმის მასალები მოწმობენ იმაზე, რომ აღმასკომის მუშაკები, დროულად არ ამოწმებენ მათზე მიმაგრებულ ობიექტებს, რათა აღკვეთონ უნებართვო მშენებლობა. ამის გამო ქალაქში მატულობს უნებართვო ნაგებობანი, ხოლო სასამართლო ორგანოებში — უნებართვო ნაგებობის თაობაზე სარჩელების რაოდენობა.

სასამართლო კოლეგიამ ორივე საქმეზე გამოიტანა კერძო განჩინება, რომლითაც აღმასკომის ყურადღება მიაქცია იმას, რომ მისმა მუშაკებმა კანონით დადგენილი წესების დაცვით დროულად აღკვეთონ უნებართვოდ დაწყებული ნაგებობათა მშენებლობა, ხოლო სასამართლო ორგანოებში საქმის აღძვრის აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყონ სარჩელების დროულად წარმოდგენა.

ეს შავალითები მოწმობენ, რომ სამოქალაქო დავების წარმოშობის ერთ-ერთ მიზეზად გვევლინება აღმასკომის მუშაკთა არადროული რეაგირება კანონის დარღვევებზე.

ხშირად საბინაო კონფლიქტების წარმოშობი მიზეზია ოჯახის წევრთა შორის არსებული გამწვავებული დამოკიდებულება, რაც შეუძლებელს ხდის მათს ერთ ბინაში ცხოვრებას.

მხარეები იძულებული ხდებიან დასვან საერთო საცხოვრებელი ფართის იძულებითი წესით გაცვლის საკითხი.

უმთავრესად ასეთი დავა თავს იჩენს ხოლმე ყოფილ მეუღლეთა შორის, რომელთაც ქორწინება როგორც ფაქტიურად, ისე სასამართლოს წესით, შეწყვეტილი აქვთ.

ხშირად გვხვდება დავა, სადაც მხარეებად გამოდიან ოჯახის სხვა წევრები, ზოგჯერ სამწუხაროდ, დედა და შვილი.

ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ 1971 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა ა.-ს მოთხოვნა მისი შვილის ჯ.-ს ოჯახის იძულებითი წესით სხვა ბინაში გადასახლების შესახებ.

სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა სასამართლო კოლეგიამ. საზედამხედველო წესით საქმის გადასინჯვისას გადაწყვეტილება სწორად იქნა მიჩნეული, რამდენადაც აღნიშნულით ბოლო მოეღო იმ სისტემატურ კონფლიქტებს, რომელსაც აღვილი ჰქონდა ერთის მხრივ დედასა და მეორეს მხრივ მის ვაჟიშვილსა და რძალს შორის.

ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოში შეტანილ იქნა სარჩელი, რომლითაც მოსარჩელე აყენებდა საკითხს ნება დაერთოთ მისთვის ოროთახიანი ბინა, რომელშიაც ცხოვრობდა ოთხი სული, თვით მოსარჩელე, მისი დედა, ყოფილი მეუღლე ბავშვით, გადაეცვალა ორ თითო ოთახიან ბინაზე.

სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, ვინაიდან ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყო მოპასუხე. იგი აცხადებდა, რომ არასოდეს არ არღვევდა სოციალისტური თანაცხოვრების წესებს, რაც იძლევა საფუძველს ბინის იძულებითი წესით გაცვლისათვის.

გენერალური პროკურორის მოადგილის პროტესტის საფუძველზე საქარ-



თველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1971 წლის 4 მაისის დადგენილებით სასამართლო ორგანოების დადგენილებანი გააუქმა და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნა იმავე რაიონის სასამართლოს. საფულისხმოა, მითითებები რომლებიც საფუძვლად დაედო ადრე მიღებულ სასამართლო ორგანოთა დადგენილებების გაუქმებას. არასწორად იქნა მიჩნეული მხარეთა შორის წარმოშობილი კონფლიქტის ინციტატორის დადგენის აუცილებლობა. განქორწინება ჩათვლილია საცხოვრებელი ფართის იძულებითი წესით გაცვლის საფუძვლად. კონკრეტული და ანალოგიური საბინაო დავის ამგვარად გადაწყვეტა საბოლოოდ წერტილს უსვამს დავას და აგვარებს კონფლიქტს.

მოკვანილ მაგალითებში ჩვენ ერთგვარად დავიხიეთ იმ პოზიციებიდან, რაც გატარებულია საბინაო საქმეებზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის დადგენილების მე-13 მუხლში, რომლის თანახმად იძულებითი გაცვლის წესით ოჯახის წევრის ბინიდან გამოსახლება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ამ პირის ყოფაქცევით შექმნილია ერთად ცხოვრების შეუძლებლობის ვითარება.

სხვაგვარად დგას საკითხი, როდესაც დავა წარმოებს ერთ ბინაში მცხოვრებ მეზობლებს შორის. აქ სასამართლო ღრმად უნდა ჩასწვდეს სარჩელის აღძვრის ნამდვილ მიზეზს, გაარკვიოს ხომ არ არის ეს მიმართული მთელი ბინის დაუფლებისაკენ (სამოთახიან ბინაში ორი ოთახის დამქირავებელი აყენებს საკითხს — იძულებითი გაცვლის წესით გასახლებულ იქნეს ერთი ოთახის დამქირავებელი).

ყოველივე ზემოთ ნათქვამი, მოწმობს, რომ საბინაო კანონმდებლობის სწორად განხორციელება საგრძნობლად შეუწყობს ხელს საყოფაცხოვრებო კონფლიქტების აღკვეთას.

ამასთან დაკავშირებით საჭიროდ ვთვლით შევჩერდეთ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 297-ე და 311-ე მუხლებზე.

ერთია წერილობითი თანხმობის აუცილებლობა ბინაში ჩაწერის დროს და მეორე ბინის გადაკეთებისათვის ნებართვის მიღების საკითხი (კერძოდ ტიხარის დაყენების შემთხვევების აკრძალვა).

ამ მუხლებმა მეტად გაამარტივა საბინაო დავების საბაზო სასამართლოში გადაწყვეტა, რამაც არ შეიძლება არ დაგვაფიქროს.

მოქალაქეთა პირად საკუთრებაში მქონე საცხოვრებელი სახლების აღება სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის გამო ყველა ცალკეულ შემთხვევაში, ქალაქებში — თბილისში, ქუთაისში, ჭიათურაში, ტყვარჩელში, ტყიბულში, ზუგდიდში, ფოთში, გორში, რუსთავში, ბათუმში, სოხუმში და ცხინვალში დაიშვება მხოლოდ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ნებართვით. რესპუბლიკის სხვა ქალაქებში სახლის დანგრევისათვის აუცილებელია მინისტრთა საბჭოს ნებართვა.

სახლის აღება უნდა ხორციელდებოდეს განაშენიანების გეგმის შესაბამისად და გამომდინარეობდეს პერსპექტიული გეგმიდან.

ამ საფუძვლით პირად მესაკუთრეთა სახლების აღებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავები მოწესრიგებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 15 დეკემბერს № 1131 და 1966 წლის 16 აგვისტოს № 651 დადგენილებით. ამ კანონმდებლობის სწორად გატარებისათვის მნიშვნელოვანია საკა-



ვშირო უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 18 მარტის დადგენილება. ამ ნორმატიული აქტების მიხედვით საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეს მისი სურვილისამებრ უფლება აქვს მიიღოს ასაღები სახლის საფასური (შეფასებას ახდენს კომპეტენტური კომისია). ან მან და მისი ოჯახის წევრებმა იმავე დასახლებულ პუნქტში მიიღონ კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სადგომი კაპიტალურ სახლში. ფართობი თვითეულ სულზე განსაზღვრულია 12 კვადრატული მეტრით, ხოლო თუ მესაკუთრის ოჯახი სარგებლობს დამატებითი ფართის უფლებით და ფაქტიურად ფლობს ასეთს, მას სადგომი მიეცემა დამატებითი ფართის ჩათვლით. გასახლებულ პირს სხვა სადგომი უნდა მისცეს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა. თუ მიწის ნაკვეთი გამოეყოფა სახელმწიფო ორგანიზაციას, რომელსაც ეძლევა კაპიტალური დაბანდების სახსრები საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად — სადგომი უნდა მისცეს ამ ორგანიზაციამ.

თუ დასანგრევია საავარაკო შენობა, რომელიც მოქალაქის პირად საკუთრებას შეადგენს, მესაკუთრეს აუნაზღაურდება შენობის ღირებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 11 დეკემბრის № 1333 დადგენილებით, განსაზღვრული წესით, სხვა სადგომის მიუცემლად.

სხვაგვარად წესრიგდება იმ მოქალაქეთა დავები, რომლებიც დასანგრევ სახლებში ცხოვრობენ ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე.

დამქირავებელსა და მისი ოჯახის წევრებს, სულ ერთია, თუ რამდენ ხანს ცხოვრობენ ისინი ამ სადგომში და პირადი საკუთრების სახლში, დამქირავებელსა და მისი ოჯახის წევრებს, თუ ისინი აქ ერთი წლის განმავლობაში მაინც ცხოვრობენ სხვა საცხოვრებელი სადგომი უნდა მისცეს სახელმწიფო კოოპერატიულმა ან საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, რომელსაც მიწის ნაკვეთი გამოეყო. სამაგიერო საცხოვრებელი სადგომის მიცემა ამჟამად სწარმოებს თვითეულ კაცზე არანაკლებ 8 კვ. მეტრისა და არაუმეტეს 12 კვ. მეტრისა.

ამ კატეგორიის საქმეების განხილვისას სადავოა საკითხი — როგორ უნდა იქნეს გაგებული კეთილმოწყობილი ბინით უზრუნველყოფა.

ეს საკითხი უნდა გადაწყდეს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 18 მარტის დადგენილების მე-5 მუხლის საფუძველზე, რომლის მიხედვით ბინის კეთილმოწყობა უნდა უპასუხებდეს დასახლებული პუნქტის პირობებში არსებული უმრავლესი ბინების კეთილმოწყობის დონეს. სადავოა აგრეთვე საკითხები: ბინა საერთოდ უნდა იქნეს კეთილმოწყობილი თუ გასასახლებელი პირის ინტერესების გათვალისწინებით.

ამ მხრივ სასამართლო პრაქტიკა ერთგვარად სცილდება კომენტარებში გატარებულ აზრს, რომლის მიხედვით იგი უნდა უპასუხებდეს გასასახლებელი პირის პირად ინტერესებს.

სასამართლო ორგანოების ამოცანაა მიაღწიონ დაგათა იმდაგვარად გადაჭრას, რომელიც საბოლოოდ აღმოფხვრის მხარეთა შორის არსებულ კონფლიქტებს.

2. კონკრეტული

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის კოლეგიის წევრი, ადვოკატობის, ნოტარიატის და მშენებლის ორგანოების სამართლებლო უფროსი

სსრ კავშირში ნოტარიატს აკისრია გარიგებათა გაფორმება და დამოწმება, აგრეთვე იმ ფაქტების დადასტურება, რომლებსაც იურიდიული მნიშვნელობა აქვს. სახელმწიფო ნოტარიატი ყოველივე ამით განამტკიცებს სოციალისტურ კანონიერებას, ხელს უწყობს სამართალდარღვევათა თავიდან აცილებას, მოქალაქეთა, სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა, კოლმეურნეობათა, აგრეთვე სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სანოტარო ორგანოების საქმიანობა მკაფიოდ გამოხატული გამაფრთხილებელი ხასიათისა და ამ თავისებურებათა საფუძველზე მას სრულიად დამოუკიდებელი მდგომარეობა უკავია საბჭოთა იუსტიციის ორგანოების სისტემაში.

1917—1921 წლებში ნოტარიატის კომპეტენციაში შემავალ მოქმედებებს აქტის ხასიათის მიხედვით ადგილებზე ასრულებდნენ საბჭოთა ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოები.

1922 წლის 4 ოქტომბერს რსფსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო „დებულება სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“, რომლის საფუძველზეც ქალაქებში დაარსდა სანოტარო კანტორები, რომელთა ხელმძღვანელობას ახორციელებდა რსფსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სანოტარო ორგანოების ორგანიზაციას, მისი სტრუქტურის სრულყოფას, სანოტარო ორგანოების მოქმედებათა სფეროს გაფართოებას. პირველი ნორმატიული აქტი, რომლითაც საქართველოში შეიქმნა სანოტარო ორგანოები იყო საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტის 1922 წლის 27 თებერვლის № 96 დეკრეტი — „სახალხო ნოტარიუსებისა და უფროსი სახალხო ნოტარიუსების სანოტარო არქივების შესახებ“. დეკრეტმა მოკლედ და მკაფიოდ ჩამოაყალიბა სანოტარო ორგანოების ფუნქციები და ამოცანები.

სანოტარო ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობის მომწესრიგებელი პირველი საკავშირო აქტი იყო სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის 14 მაისის № 35 დადგენილება „სახელმწიფო ნოტარიატის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების შესახებ“, რომლის საფუძველზე მიღებულ იქნა „დებულება სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“.

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ამჟამად მოქმედებს „დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“, დამტკიცებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 13 ივნისის ბრძანებულებით. ამას გარდა სანოტარო ორგანოების სტრუქტურისა და ორგანიზაციის, აგრეთვე ცალკეულ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესებს აწესრიგებენ: „ინსტრუქცია მშრომელთა დებულებების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 19 დეკემბრის № 748 დადგენილებით. (ამ ინსტრუქციაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 6 ნოემბრის №

637 დადგენილებით შეტანილია დამატებები); „ინსტრუქცია საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების მიერ სანოტარო მოქმედებათა ჩატარების წესის შესახებ“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ 1968 წლის 31 დეკემბერს. სანოტარო ორგანოები თავიანთ საქმიანობაში გამოიყენებენ აგრეთვე სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების ბევრ ნორმას.

სახელმწიფო სანოტარო კანტორები შექმნილია ყველა ქალაქში, აგრეთვე მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ ცენტრებში. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქებში არის ორი ან რამდენიმე სანოტარო კანტორა, რომელთაგან ერთი პირველ სანოტარო კანტორად ითვლება. დასახლებულ პუნქტებში, სადაც არ არის სანოტარო კანტორები, მათი ფუნქციების განსახდერულ ნაწილს ახორციელებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოს აღმასკომები. სანოტარო მოქმედებათა შესრულება საბჭოთა მოქალაქეებისათვის საზღვარგარეთ დავალებული აქვთ სსრ კავშირის საკონსულთა დაწესებულებებს.

სახელმწიფო ნოტარიუსის თანამდებობაზე ინიშნებიან ის პირნი, რომელთაც აქვთ უმაღლესი იურიდიული განათლება.

სანოტარო მოქმედების შესრულებისას ნოტარიუსი დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება. ნოტარიუსს არ შეუძლია შეასრულოს სანოტარო მოქმედება ნათესავეების მიმართ.

სანოტარო კანტორების მუშაობაში ობერატიულობის უზრუნველსაყოფად სანოტარო მოქმედებები უნდა შესრულდეს საჭირო დოკუმენტების წარდგენისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დღეს, ხოლო როდესაც წარმოიშობა საბუთების გამოთხოვის, ან საბუთების ექსპერტიზისთვის გაგზავნის აუცილებლობა, სანოტარო მოქმედებათა ჩატარება შეიძლება გადაიდოს.

სახელმწიფო სანოტარო ორგანოებმა მკაცრად უნდა დაიცვან სანოტარო მოქმედების ჩატარების საიდუმლოება. სანოტარო მოქმედებათა შესახებ ცნობები და საბუთები შეიძლება გაიცეს მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც მონაწილეობენ ნოტარიულად დამოწმებულ გარიგებაში, ან რომელთა დავალებითაც და მიმართაც შესრულებულია სანოტარო მოქმედება, აგრეთვე პროკურატურის, სასამართლოსა და საგამომცემო ორგანოების მოთხოვნით. მოქალაქეებისათვის ნაანდერძევი ქონების სათაზე ცნობები მხოლოდ მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ გაიცემა. ნოტარიუსები და სანოტარო ორგანოების თანამშრომლები პასუხს აგებენ კანონის შესაბამისად სანოტარო მოქმედებების საიდუმლოების გახმაურებისათვის.

სანოტარო მოქმედება არ შეიძლება ჩატარდეს არაქმედუნარიან მოქალაქეთა განცხადებით, წესიერად გაუფორმებელი რწმუნებულებით. სანოტარო მოქმედების დაწყებამდე, ნოტარიუსმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეამოწმოს, იმ პირთა ქმედუნარიანობა, რომლებიც მოითხოვენ სანოტარო მოქმედების განხორციელებას. თუ სანოტარო მოქმედება ფორმდება იურიდიული პირის სახელით, მოწმდება მისი უფლებაუნარიანობა, აგრეთვე რწმუნებულება, პიროვნება და მისი ხელმძღვანელის ან წარმომადგენლის ხელმოწერის ნამდვილობა.

ნოტარიუსი არ ასრულებს ისეთ სანოტარო მოქმედებას, რომელიც ეწი-



ნაღმდევება სოციალისტური სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესებს: არ იღებს სანოტარო მოქმედებათა შესასრულებლად იმ საბუთებს, რომლებიც ეწინააღმდეგება კანონს, ან შეიცავს მოქალაქის სინდისისა და ღირსების შემზღვევად ცნობებს.

სანოტარო მოქმედების განხორციელების დროს ცალკეულ თანამდებობის პირთა ან მოქალაქეების მიერ სოციალისტური თანაცხოვრების წესების დარღვევის, ან საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში არსებით ნაკლოვანებათა აღმოჩენისას, ნოტარიუსი ვალდებულია აცნობოს ეს სათანადო ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებს ან მშრომელთა კოლექტივებს სათანადო ღონისძიებათა გასატარებლად. ნოტარიუსი მოვალეა, თუ თანამდებობის პირთა ან მოქალაქეთა ქმედითობაში შენიშნავს დანაშაულის ნიშნებს, აცნობოს პროკურორს.

სახელმწიფო ნოტარიუსები განუმარტავენ მოქალაქეებს განხორციელებულ მოქმედებათა სამართლებრივ შედეგებს, უწევენ მათ ტექნიკურ მომსახურებას, ხელშეკრულებათა პროექტების, მინდობილობებისა და სხვათა შედგენის გზით. საჭირო შემთხვევებში ითხოვენ სათანადო ორგანიზაციებიდან და თანამდებობის პირებისაგან ცნობებსა და საბუთებს, რომლებიც აუცილებელია სანოტარო მოქმედების ჩასატარებლად. თუ გარიგებაში ან სხვა სანოტარო მოქმედებაში მონაწილე პირმა არ იცის ის ენა, რომელზეც შედგენილია საბუთი, ნოტარიუსი ვალდებულია გადაუთარგმნოს ამ პირს საბუთი თვითონ, ამ თარგმნის საშუალებით.

კანონით აკრძალულია სანოტარო ორგანოებმა გადასინჯონ მათ მიერ შესრულებული სანოტარო მოქმედებები. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 286-ე მუხლის შესაბამისად, დაინტერესებულ პირებს, რომლებსაც სწორად არ მიაჩნიათ ნოტარიუსის მოქმედება, უფლება აქვთ აღნიშნულზე მიმართონ სასამართლოს.

ამასთან, თუ ნოტარიუსი თვითონ დაადგენს თავის შეცდომას, რასაც მოჰყვა მოქალაქეთა უფლებების ან სახელმწიფო ინტერესების დარღვევა, იგი ვალდებულია აცნობოს ეს პროკურორს, რომელიც საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის შესაბამისად სასამართლოში შეიტანს სათანადო სარჩელს ნოტარიუსის მცდარი მოქმედების გაუქმების თაობაზე.

საქართველოს სსრ სანოტარო ორგანოებმა 1972 წელს იურიდიული მომსახურება გაუწიეს 388.163 მოქალაქეს, საწარმო-დაწესებულებას და ორგანიზაციას, რის შედეგად ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტმა შემოსავლის სახით მიიღო 538.591 მანეთი. ამავე პერიოდში სახელმწიფო ნოტარიუსების მიერ საწარმო-დაწესებულებებში და ორგანიზაციებში საბჭოთა სამართლის აქტუალურ საკითხზე წაკითხულია 420 ლექცია-მოსხენება.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ორგანოები თავის რიგებში ითვლიან ბევრ კეთილსინდისიერ და გამოცდილ ნოტარიუსს, რომლებმაც თავისი უანგარო შრომით დიდი წვლილი შეიტანეს საბჭოთა კანონიერების დაცვისა და განმტკიცების საქმეში.

შარშან შესრულდა სსრ კავშირის ნოტარიატის ორგანოების ორმოცდამეათე წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით, ნოტარიატის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს



კოლეგიის და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 27 სექტემბრის დადგენილებით საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ ბორჯომის რაიონის სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსი თ. ჩორგოლაშვილი, ახალციხის რაიონის სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსი მ. გაზაზიანი, სიღნაღის რაიონის სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსი რ. დონჯაშვილი, ქ. თბილისის მეექვსე სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსი ს. ძნელაძე და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი გ. კუხალეიშვილი.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიისა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1972 წლის 4 ოქტომბრის დადგენილებით მადლობა გამოცხადდა და საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ ქ. თბილისის მეშვიდე სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსი მ. ძლიერიშვილი, ქ. თბილისის მეორე სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსი ლ. ჯუმბერაძე, ქ. ცხინვალის სახელმწიფო სანოტარო კანტორის უფროსი ნოტარიუსი ვ. მარგიშვილი, ცხაკაიას რაიონის სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსი ა. ხოშტარია, ორჯონიკიძის (ხარაგოულის) რაიონის სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსი თ. კაკიაშვილი, ქ. სოხუმის მეორე სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსი ლ. კუჭუხიძე, ქ. ბათუმის პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსი ლ. კვანტრიშვილი, გეგეჭკორის რაიონის სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსი ქ. ქორჩილავა, ლანჩხუთის რაიონის სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსი ჩ. ჩხაიძე, ხელვაჩაურის რაიონის სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსი ნ. თალაკვაძე.

მადლობა გამოცხადდა: ქ. თბილისის მეათე სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსს ყ. მელქაძეს, ქ. რუსთავის პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსს მ. თუხარელს, ქ. ქუთაისის პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორის უფროს ნოტარიუსს ლ. ფარქოსაძეს, გარდაბნის რაიონის სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსს შ. ბარამიძეს, დუშეთის რაიონის სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსს რ. შერგელაშვილს, გაგრის რაიონის სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსს ნ. კუჭავას, ქ. სოხუმის პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორის უფროს ნოტარიუსს ა. ჯინჯოლავას, სიღნაღის რაიონის მეორე სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსს ი. დულაშვილს, ლავოდების რაიონის სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსს თ. ლომიძეს, ზუგდიდის რაიონის სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსს ნ. ქვარცხავას, აბაშის რაიონის სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსს ე. გუგუშვილს, ქ. თბილისის მეოთხე სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსს ი. სადალაშვილს, ქ. ქუთაისის პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსს ნ. ჩირაძეს, ქ. თბილისის მესამე სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსს ქ. ბარაბაძეს, ქ. თბილისის მეორე სახელმწიფო სანოტარო კანტორის მდივანს გ. ჩიხლაძეს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის ორგანოების მუშაკები კვლავაც ღირსეულად შეასრულებენ თავიანთ წინაშე დასახულ ამოცანებს და ამით წვლილს შეიტანენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების შესრულებასა და ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებაში.

პროფილაქტიკური მუშაობის ზოგიერთი საკითხი წინასწარ გამოძიებასა და მოქვლევადი

მ. კიკოჯავილი,

საქართველოს სსრ პროკურორის თანაშემწე განსაკუთრებულ დავალებათა აღსრულებაზე,
იუსტიციის უფროსი მრჩეველი

დანაშაულის აცილება, მისი ხელშემწყობი პირობების აღკვეთა, საგამოძიებო მუშაობის უმნიშვნელოვანესი უბანია.

წინასწარი გამოძიება მიზნად ისახავს უზრუნველყოფის მომხდარი დანაშაულისათვის სასჯელის გარდუვალობა, რასაც თავისთავად დიდი გამაფრთხილებელი ძალა აქვს. ამასთან კანონი პროკურორს, გამოძიებელს, მოკვლევის მუშაკს პირდაპირ ავალებს, რომ განახორციელონ ყველა ღონისძიება იმ გარემოებათა გამოსავლინებლად და აღმოსაფხვრელად, რომლებმაც ბოროტმოქმედების ჩადენა განაპირობეს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლით „მოკვლევი პირი, გამოძიებელი, პროკურორი და სასამართლო ვალდებული არიან გამოარკვიონ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოებები და მიიღონ ზომები მათ ასაცილებლად.“

კანონის ამ მოთხოვნის შესრულებას ყოველთვის ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება, მაგრამ პროკურატურის, შინაგან საქმეთა და სასამართლო ორგანოების საქმიანობა ამ მხრივ განსაკუთრებით გააქტიურდა მას შემდეგ, რაც სკკპ XXIV ყრილობაზე ხაზი გაესვა პროფილაქტიკური მუშაობის როლს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ლ. ი. ბრეჟნევიმ განაცხადა: „კანონებით გათვალისწინებული სასჯელის ღონისძიებათა გამოყენებასთან ერთად ჩვენ სულ უფრო მეტად ვზრუნავთ დანაშაულის პროფილაქტიკისათვის, იმისთვის, თუ როგორ ავიცილინოთ თავიდან, არ დაუშვათ იგი“.

ამ მითითებათა შესასრულებლად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1971 წლის 27 ივლისს მიიღო დადგენილება—„სამართალდარღვევათა თავიდან აცილება და პროფილაქტიკა დამნაშავეობასთან ბრძოლის გენერალური ხაზია,“ რომელიც პროფილაქტიკური მუშაობის გაძლიერების კონკრეტული პროგრამაა და ახალ პერსპექტივებს ისახავს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო აპარატში პროფილაქტიკური მუშაობის ღონის ამ აღსრულებაზე მეტყველებს შემდეგი მონაცემები: დანაშაულის ხელშემწყობი პირობების აღსაკვეთად 1972 წელს პროკურატურის გამოძიებულებმა წარდგინება შეიტანეს დამთავრებულ საქმეთა 47,2 პროცენტზე, 1971 წელს კი—მხოლოდ 37,4 პროცენტზე; შინაგან საქმეთა სამინისტროში ეს მონაცემები შესაბამისად შეადგენს 52,2 და 47,8 პროცენტს.

გაიზარდა აგრეთვე კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების ირგვლივ მშრომელთა კოლექტივების წინაშე შეტყობინებებით გამოსვლის რაოდენობა; პროკურატურის ორგანოებში—27 პროცენტით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ქვედანაყოფებში — ერთიორად და მეტად.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ეს საქმიანობა წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის სტადიაში ყოველთვის არ არის სწორად ორგანიზებული, პროფილაქტიკურ მუშაობაში ჯერ კიდევ არის ბევრი ხარვეზი.

წინამდებარე სტატიაში ჩვენ შევჩერდებით სწორედ ამ ნაკლოვანებებზე, შევხებით აგრეთვე ცალკეულ საკითხებს, რომელთა შესახებ პრაქტიკაში არ არის ერთიანი თვალსაზრისი.

კონკრეტულ საქმეთა შესწავლა გვიჩვენებს, რომ წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის პროცესში პროფილაქტიკურ ღონისძიებათა რაოდენობრივი ზრდის მიუხედავად, გამოძიებლები და მოკვლევის მუშაკები ხშირად უგულვებელყოფენ კანონის მოთხოვნას, არ იბრძვიან დანაშაულის ხელშემწყობი პირობების აღსაკვეთად.

მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ზ. მ-ს საქმე, რომელიც ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საგამოძიებო განყოფილებამ გამოიძია. ზ. მ. მსუბუქი ავტომანქანის მძღოლად მუშაობდა შაბაკოვსკის რაიონის ერთ-ერთ ღვინის ქარხანაში. ქარხნის დირექტორის შიდადგილზე იგი თავისუფალ საათებში თავის პირად საქმეზე გაგზავნა ქუთაისში, სადაც მძღოლმა დაარღვია მოძრაობის წესები და მოქალაქეს მიაყენა სხეულის მძიმე დაზიანება. დირექტორის შიდადგილის ამ უკანონო შიქმედებაზე, რამაც ერთგვარად ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას, საგამოძიებო განყოფილებას წარდგინება არ შეუტანია. ეს შეცდომა გამოსწორდა სახალხო სასამართლოში საქმის განხილვისას. სასამართლომ ამ საკითხზე გამოიტანა კერძო განჩინება.

განსაკუთრებით მოუთმენელია, როცა ასეთ ფაქტებს ვხვდებით არასრულწლოვანთა საქმეების გამოძიების დროს. ამ კატეგორიის დანაშაული—არასრულწლოვანის გადაცდომა — ყოველთვის კონკრეტული მიზეზების შედეგია. ეს მიზეზებია: ბავშვის მოწყვეტა სკოლისაგან, აღზრდელითი მუშაობის არაჯეროვანი დაყენება, სკოლაში, პედაგოგებსა და მშობლებს შორის საჭირო კონტაქტის უქონლობა, მშობლების უყურადღებობა მოზარდისადმი და სხვ. ეს რასაკვირველია, არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ. სტატისტიკური მონაცემები კი მეტყველებს, რომ არასრულწლოვანთა საქმეების ერთ მესამედზე გამოძიებლებს არ შეაქვთ წარდგინება, რაც პროფილაქტიკური მუშაობის მნიშვნელობის შეუფასებლობით უნდა აიხსნას. ამაში ბრალი მიუძღვით ქალაქისა და რაიონის ცალკეულ პროკურორებსაც, რომლებიც არ უწევენ გამოძიებლის საქმიანობას სათანადო ზედამხედველობასა და კონტროლს.

ზოგიერთი გამოძიებელი და მიკვლევის მუშაკი გატაცებულია წარდგინებათა რაოდენობის ზრდით და ნაკლებად ზრუნავს მათს ხარისხზე. ზოგ საქმეზე შეტანილი წარდგინება არ უპასუხებს თავის დანიშნულებას: მასში არ არის გაანალიზებული მომხდარი დანაშაულის ხელშემწყობი გარემოებები. არ არის შემუშავებული კონკრეტული რეკომენდაციები ამ გარემოებათა და მომავალში ანალოგიურ ბოროტმოქმედებათა თავიდან აცილებისათვის. ბათუმის, ქუთაისის, გორის და ზოგი სხვა ქალაქისა და რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებებშიც აღსანიშნავია ეს მდგომარეობა.

ფილებების გამოძიებელთა წარდგინებების დიდი ნაწილი დანაშაულებრივი შემთხვევის აღწერის, ინფორმაციის ხასიათისაა.

გამომძიებელმა მარტო ის კი არ უნდა გაარკვიოს, თუ რა არის დანაშაულის მიზეზი, არამედ უნდა განსაზღვროს კიდევ, თუ როგორ უნდა იბრძოლოს მისი თავიდან აცილებისათვის. საჭიროების შემთხვევაში მას შეიძლება კანონის შესაბამისად დახმარება აღმოუჩინონ მოწვეულმა სპეციალისტებმა, ექსპერტებმა. რაოდენ რთული, უცხოც არ უნდა იყოს სფერო, სადაც მოხდა დანაშაული, გამოძიებელმა აუცილებლად უნდა კონკრეტული, ქმედითი ზომები იხმაროს დანაშაულის ხელშემწყობი პირობების აღსაკვეთად.

სამწუხაროდ, ბევრ წარდგინებაში ეს უმნიშვნელოვანესი მომენტი დავიწყებულია. ნაცვლად იმისა, რომ მიუთითონ, თუ რა უნდა გაკეთდეს დანაშაულის ხელშემწყობი გარემოებების სალიკვიდაციოდ, გამოძიებელი წარდგინების დასკვნითს ნაწილში ასეთი ზოგადი ფრაზით კმაყოფილდება: „გთხოვთ გაატაროთ სათანადო ღონისძიება“.

წარდგინების ავტორი ზოგჯერ ცდილობს ახსნას დანაშაულის ხელშემწყობი პირობები, მაგრამ ღრმად არ სწვდება მათ, ეხება მხოლოდ ზედაპირულ მოვლენებს, საკითხის ერთ რომელიმე მხარეს. ამის გამო, რეკომენდებულ პროლოგაქტიკური ღონისძიებებიც ცალმხრივი, არასყუდყოფილია.

1971 წლის 17 მარტს თბილისის 26 კომისრის რაიონის პროკურატურის გამოძიებელმა წარდგინება შეიტანა მცირეწლოვნების — მ. კ-ს და ს. პ-ს საქმეზე, რომლებმაც ვარკეთილის მასივიდან ავტომანქანა „ვოლგა“ გაიტაცეს და გაძარცვეს. წარდგინების ავტორი მოითხოვდა, რომ მშრომელთა კოლექტივებს საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება გაეტარებინათ ბრალდებულთა დედების მიმართ, რომელთაგან ერთი დამლაგებლად მუშაობდა, ხოლო მეორე — ავტობუსის კონდუქტორად.

გამომძიებელი სწორად მოიქცა, რომ ყურადღება გაამახვილა მოზარდ დამნაშავეთა ცუდ ოჯახურ აღზრდაზე. მაგრამ თუ საქმეში უფრო ღრმად ჩავიხედავთ, არ შეიძლება არ დავინახოთ წარდგინების ცალმხრივი ფორმალური ხასიათი. საჭირო იყო მცირეწლოვანთა ოჯახური გარემოს უფრო სერიოზული შესწავლა, იმის გარკვევა, თუ კონკრეტულად რა შეცდომები მოუვიდათ დედებს, როგორი იყო ამ შემთხვევასთან დაკავშირებით სხვა ნათესავების, შესაბამისი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და, ბოლოს, იმ კოლექტივების როლი, სადაც წარდგინება იქნა შეტანილი.

ხშირად წარდგინებაში არ არის დასმული საკითხი იმ პირთა დისციპლინალური პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთა მოქმედებამ თუ უმოქმედობამ ხელსაყრელი პირობები შექმნა დანაშაულის ჩადენისათვის. ასეთ ხარვეზს ვხვდებით, მაგალითად, ფასდამახინჯებათა საქმეებზე შეტანილ წარდგინებებში, სადაც იშვითად არის დაყენებული მოთხოვნა იმ სავაჭრო და საზოგადოებ-სწორად ქსელის ობიექტთა ხელმძღვანელების დასჯის შესახებ, რომელთა უკონ-სწოლობამ საშუალება მისცა დამნაშავეს მომხმარებელი მოეტყუებინა.

რის შედეგია ეს სერიოზული ნაკლოვანებები?

ძირითადად იმისა, რომ დანაშაულის ხელშემწყობი გარემოებების შესწავლა წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის პროცესში ყოველთვის არ არის სწორად ორგანიზებული, ხანდახან კი ზერელეა, შემთხვევითია. გამოძიებისა და მოკვლევის ვეგებში, ჩვეულებრივ, არ ხდება იმ საკითხების ვათვალისწი-

ნება, რომლებმაც ასეთი გამოკვლევა უნდა უზრუნველყოს. პროკურორები წერილობითს მითითებებში, გამომძიებლებისა და მოკლევის მუშაკების ყურადღებას არ ამახვილებენ ამ საკითხზე. თუ არ იქნა სათანადოდ შესწავლილი და გამოვლინებული დანაშაულის ხელშემწყობი პირობები, ბუნებრივია, არ მოხერხდება მათ აღსაკვეთად სწორი გზების დასახვა.

წარდგინება აუცილებელია ემყარებოდეს საფუძვლიანად შემოწმებულ მასალებსა და უდავოდ დადგენილ ფაქტებს. ზოგჯერ უგულებელყოფენ ამ მარტივ ჭეშმარიტებას.

დღეშეთის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელმა ბრალდების დაუდასტურებლობის მოტივით შეწყვიტა სპეკულაციის თაობაზე მ. ს.-ს მიმართ აღძრული საქმე. მიუხედავად ამისა დაწესებულების ხელმძღვანელის სახელზე შეტანილი იქნა წარდგინება, რომელშიც ნათქვამია: ეს არ ნიშნავს მ-ს დანაშაული არ ჩაუდგინაო. წარდგინების ავტორი მოითხოვს, რომ იმ ორგანიზაციებში, სადაც ეჭვმიტანილი მუშაობს, იხმარონ ზომები, რათა მსგავსი ბოროტმოქმედება არ განმეორდეს.

ასეთ „წარდგინებას“ მხოლოდ გაუგებრობა და ზიანი მოსდევს.

გზვდებით სხვა შეცდომებსაც.

გურჯაანის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელმა ერთ-ერთ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს წარდგინებით მოსთხოვა საერთო კრებაზე განეხილა ბრიგადირის პასუხისმგებლობის საკითხი იმის გამო, რომ ამ ბრიგადის წევრი ს. დაუკითხავად წავიდა ერევანში, საიდანაც დიდი ოდენობით სასპეკულაციო საქონელი ჩამოიტანა.

ზოგჯერ გამომძიებელი ან მოკვლევის მუშაკი არ აძლევს სწორ შეფასებას მომხდარ შემთხვევას, უსაფუძვლოდ უარს ამბობს საქმის აღძვრაზე, არასწორად შეწყვეტს აღძრულ საქმეს და დამნაშავის მიმართ დისციპლინარული ღონისძიების გატარებას მოითხოვს. ამას უმეტესად დანაშაულის ხელშემწყობთა მიმართ სჩადიან. სასამართლოები ასეთ საქმეებს აბრუნებენ დამატებით გამოძიებაში და მოითხოვენ დამნაშავე პირის პასუხისგებაში მიცემას.

არის შემთხვევა, როცა წარდგინება იწერება იმ პირის სახელზე, რომელმაც კანონი დაარღვია. ქ. თბილისის 26 კომისიის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელმა ერთ-ერთ საბჭოთა მეურნეობის დირექტორს გაუგზავნა წარდგინება იმის თაობაზე, რომ იგი სათანადოდ არ აკონტროლებდა თუ როგორ სარგებლობდნენ მსუბუქი ავტომანქანით. ამით ისარგებლა მეურნეობის მუშაკმა, უნებართვოდ წაიყვანა მანქანა და მოახდინა ავარია, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა. „თქვენ, როგორც მეურნეობის დირექტორს, მეტი კონტროლი უნდა გაგეწიათ და არ უნდა მიგეცათ ნება მას ემართა ავტომანქანა“ — მიმართავს ავტორი ადრესატს. ადვილად საფიქრებელია, რომ მეურნეობის დირექტორმა ამ შემთხვევიდან თავისთვის სასარგებლო დასკვნები გამოიტანა.

სადაც უსაფუძვლოდ წარდგინება იწერება, იგი მის მიმართაც განეხორციელებიან შემოქმედების ზომა. ამიტომ წარდგინება რომ ეფექტური ყოფილიყო, იგი ზემდგომ ინსტანციაში უნდა გაგზავნილიყო.

მოუწესრიგებელია წარდგინების დროულად შეტანის საკითხიც. უდავოა, რომ დანაშაულის ხელშემწყობი პირობების აღსაკვეთად ზომების მიღება საჭიროა მაშინვე, როგორც კი დანაშაული ცნობილი გახდება. მაგრამ გამომძიებლებ-

სა და მოკვლევის მუშაკებს წარდგინება თითქმის ყოველთვის მხოლოდ საქმის დამთავრების მომენტისათვის შეაქვთ. ხშირად ამას იმით ხსნიან, რომ მხოლოდ საქმის დამთავრებისას ირკვევა დანაშაულებრივი ქმედობის მთელი მექანიზმი, ნათლად იკვეთება მისი ხელშემწყობი გარემოებანი. მართლაც თუ მდგომარეობა ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, ხოლო მასალები არასაკმარისია, არ შეიძლება ავტარდეთ და დაუსაბუთებელი წარდგინება შევიტანოთ. მაგრამ თუ დანაშაულის რაიმე ხელშემწყობი გარემოებანი დადგენილია, გაუმართლებელია ველოდოთ საქმის დამთავრებას. წარდგინება დაიწერება იმის თაობაზე, რაც უკვე ცხადია, ხოლო თუ შემდგომი გამოძიების პროცესში ახალი გარემოებები გამოვლინდება, დამატებითი ღონისძიება უნდა ვატარდეს.

კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე წარდგინება შეიძლება შეიტანოს როგორც გამოძიებელმა ან მომკვლევმა პირმა, ისე ზედამხედველმა პროკურორმა. გამოძიებლის, მომკვლევი პირისა და პროკურორის მიერ შეტანილი წარდგინებები პროკურატურის ოგანოების სტატისტიკურ ანგარიშებში ცალცალკე აღირიცხება. პრაქტიკაში არ არის მტკიცედ დამკვიდრებული წესი, როდის უნდა მოაწეროს წარდგინებას ხელი პროკურორმა და როდის გამოძიებელმა ან მომკვლევმა პირმა. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლით, როცა დანაშაულის ხელშემწყობი გარემოების აღსაკვეთად წარდგინება შეაქვს გამოძიებელს ან მომკვლევ პირს, ეს დოკუმენტი მათი სახელით გაიგზავნება. რაიმე შეზღუდვას ამ მხრივ კანონი არ ითვალისწინებს.

მაგრამ, ამასთან, მხედველობაშია მისაღები სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც განსაზღვრავენ საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების დაქვემდებარების უწყებებსა და სამინისტროებში დოკუმენტების გაგზავნის წესს. ამ მითითებათა შესაბამისად, როცა წარდგინება იგზავნება მოკავშირე რესპუბლიკის სამინისტროში რაიონის, ქალაქის, ავტონომიური ოლქის და რესპუბლიკის პროკურორმა მასალები უნდა წარადგინოს მოკავშირე რესპუბლიკის პროკურატურაში; ხოლო თუ დოკუმენტი საკავშირო დაქვემდებარების სამინისტროში იგზავნება, მასალები მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორმა უნდა წარუდგინოს სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს.

აქედან გამომდინარე ცალკეულ შემთხვევებში (მაგალითად, როდესაც გამოვლინებული დარღვევების თაობაზე საინფორმაციო წერილი პარტიულ ორგანოებში იგზავნება) უფრო მიზანშეწონილია წარდგინებას ხელს აწერდეს არა გამოძიებელი, არამედ პროკურორი, ხოლო შინაგან საქმეთა ორგანოებში გამოძიებულ საქმეებზე, შესაბამისი განყოფილებების უფროსები.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის შესაბამისად, როცა პროკურორი საქმეს მიიღებს სასამართლოში წარსამართავად, სხვა არსებით საკითხებთან ერთად უნდა შეამოწმოს განხორციელებული თუ არა ღონისძიებები დანაშაულის ხელშემწყობი პირობების აღსაკვეთად.

როგორ უნდა მოიქცეს პროკურორი, თუ კანონის ეს მოთხოვნა უგულვებელყოფელია?

აქ შეიძლება საქმე გვექნეს ორ სხვადასხვა შემთხვევასთან, რომელთა მიხედვით დასმული კითხვის პასუხიც სხვადასხვა იქნება: პირველი — როცა გამოძიების ან მოკვლევის დროს არ შესწავლილა დანაშაულის ხელშემწყობი გარემოებანი, მეორე — როცა ეს გარემოებანი გამოვლინებულია, მაგრამ არ

არის მიღებული ზომები მათი აღკვეთისათვის. საპროცესო კოდექსის 214 მუხლი, არ იძლევა პასუხს, თუ რა გადაწყვეტილება მიიღოს პროკურორმა ან ერთ ან მეორე შემთხვევაში. მაგრამ გამომდინარე იმ პრინციპიდან რომელსაც ეს მუხლი აწესებს, შემდეგი დასკვნა უნდა გაკეთდეს: უკეთუ გამომძიებელმა და მომკვლევმა პირმა არ გამოავლინა დანაშაულის ხელშემწყობი გარემოებანი და ამით დაუშვა კანონის მოთხოვნის უხეში დარღვევა, რომლის გამოსწორების საშუალებაც პროკურორს არა აქვს, მან საქმე უნდა დააბრუნოს დამატებითი გამოძიების ან მოკვლევის ჩასატარებლად. უკეთუ ეს პირობები დადგენილია, პროკურორი თვითონ შეიტანს წადგინებას მათ აღსაკვეთად. ასევე უნდა მოიქცეს იგი, როცა გამომძიებლის ან მომკვლევი პირის წარდგინება უხარისხოა ან არასრულყოფილი.

სამწუხაროდ, პრაქტიკაში თითქმის არ ვხვდებით პროკურორის მიერ დამატებითი გამოძიებისათვის საქმის დაბრუნების შემთხვევას იმ მოტივით, რომ არ არის შესწავლილი დანაშაულის ხელშემწყობი პირობები. ეს საპროკურორო ზედამხედველობის სერიოზული ხარვეზია, რადგან ამით ირღვევა კანონის მოთხოვნა. გარდა ამისა, ასეთი ღონისძიება გააძლიერებდა გამომძიებლისა და მომკვლევი პირის პასუხისმგებლობას, აამაღლებდა პროფილაქტიკური საქმიანობის დონეს.

იშვიათია ისეთი შემთხვევაც, როცა პროკურორს წარდგინება შეაქვს დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზების აღსაკვეთად საბრალდებო დასკვნით შემოსული საქმის განხილვის მომენტში, თუმცა ზოგჯერ ამისათვის არის საკმაო საფუძველი.

მართალია უკანასკნელ პერიოდში გაძლიერდა კონტროლი წარდგინების განხილვაზე, მაგრამ ამ მხრივაც ბევრი საკითხია მოუგვარებელი. ზოგჯერ გამომძიებელი, მომკვლევი პირი და პროკურორი ჯეროვან მნიშვნელობას არ ანიჭებს პროფილაქტიკური მუშაობის ამ დასკვნით სტადიას. აჭარის ასსრ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებო განყოფილებაში მაგალითად, ყოველთვის არ ითხოვენ წარდგინების პასუხს, ანალოგიურ დარღვევებს, რაც ზოგჯერ ყალბად გაგებული ტაქტის შედეგია (თითქოს უხერხულია ავტორიტეტულ თანამდებობის პირს პასუხი მოსთხოვო), სხვაგანაც ვხვდებით.

ხშირად წარდგინებაში მითითებული არ არის მისი განხილვის ვადა, ზოგჯერ კი ეს ვადა თვითნებურად არის განსაზღვრული (მაგალითად, 10 დღე). მართალია, საპროცესო კოდექსი არ აწესებს გამომძიებლის წარდგინების განხილვის ვადას, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ დებულებით სსრ კავშირში საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ, რომლის მიხედვით (მე-16 მუხლი) პროკურორის წარდგინების განხილვის ვადად დაწესებულია ერთი თვე. ვხვდებით ფაქტებს, როცა პასუხი წარდგინებაზე მიღებული არ არის არა თუ აღნიშნულ ვადაში, არამედ რამდენიმე თვის შემდეგაც. წარდგინების განხილვის დასაჩქარებლად კი გამომძიებელი, პროკურორი ან მომკვლევი პირი არაფერს აკეთებს. გამომძიებლები ხანდახან კმაყოფილებიან ზოგადი პასუხით, საიდანაც არ ჩანს, თუ კონკრეტულად რა ზომები იქნა მიღებული დანაშაულის ხელშემწყობი პირობების აღსაკვეთად, გაზიარებული იქნა თუ არა წარდგინებაში მოცემული რეკომენდაციები.

წარდგინების განხილვაში მისი ავტორის მონაწილეობა უზრუნველყოფს განხილვის მაღალ ხარისხს და პრინციპული გადაწყვეტილების მიღებას. სამ-

წუხაროდ, ასეთი მონაწილეობა პრაქტიკაში ფართოდ არ ინერგება, თუმცა ხშირად შეიძლება ეს ღონისძიება შეუთავსდეს პროფილაქტიკური მუშაობის სხვა საკმაოდ გავრცელებულ ფორმას — კონკრეტულ საქმეთა ირგვლივ მშრომელთა კოლექტივებში შეტყობინებით გამოსვლას, რომლის შესახებ ლაპარაკი გვექნება ქვემოთ.

მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს წარდგინებათა განხილვაზე კონტროლის სწორ ორგანიზაციას. რეკომენდებულია, რომ გამოძიებელმა გახსნას ბარათები შეტანილ წარდგინებებზე და თვალყური ადევნოს ამ გზით მათ დროულად განხილვას, საჭიროების შემთხვევაში ყველაფერი იღონოს პასუხის დასაჩქარებლად. ზოგი გამოძიებელი ამ მიზნით შეტანილი წარდგინებების რეგისტრაციას აწარმოებს სპეციალურ რეგულში. ზედმეტია ვილაპარაკოთ რომელიმე მეთოდის უპირატესობაზე. მთავარია სწორად გამოვიყენოთ თითოეული მათგანი და სასურველ შედეგს მივალწიოთ.

სად უნდა ინახებოდეს წარდგინების პასუხი?

ზოგ შემთხვევაში პასუხს ურთავენ საზედამხედველო წარმოებას, სადაც წარდგინების ასლი ინახება, ზოგჯერ კი პასუხებს აგროვებენ სპეციალურ საქალაქში წარდგინების ასლებთან ერთად. ასეთი საქალაქე გამოძიებლებს ან ცალკე აქვთ ან რაიონის თუ ქალაქის პროკურატურაში, ან შინაგან საქმეთა საგამოძიებო დანაყოფში ერთია.

ჩვენის აზრით, საკითხი უნდა წყდებოდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც მოითხოვს, რომ სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გაგზავნის შემდეგ ყველა შუამდგომლობა და საჩივარი საგამოძიებო ორგანომ სასამართლოს უნდა გაუგზავნოს. როგორც ცნობილია, წარდგინების ასლი საქმეს ერთვის და პასუხიც ამ საქმის კუთვნილებაა. სასამართლო თვითონაც უნდა შევიდეს იმის მსჯელობაში, მიღებულია თუ არა სათანადო ზომები დანაშაულის ხელშემწყობ გარემოებების აღსაკვეთად. წარდგინებაზე მიღებული პასუხის განხილვა, რასაკვირველია, გაუადვილებს მას ამ ამოცანას.

რაც შეეხება წარმოებით შეწყვეტილ საქმეს, წარდგინების პასუხი ამ შემთხვევაშიც საქმეს უნდა დაერთოს.

წარდგინებები აღუძრავ მასალებზეც იწერება. მაგალითად, როცა დანაშაული მოხდა, მაგრამ საქმე არ აღიძრა კანონით გათვალისწინებულ პირობებში (დამნაშავის მშრომელთა კოლექტივისათვის აღსაზრდელად ან მშრომელთა დებუტატების აღმასკომის არასრულწლოვანთა კომისიისათვის გადაცემასთან დაკავშირებით და სხვა), ან როცა გამოვლინებულია არა მომხდარი, არამედ შესაძლო დანაშაულის ხელშემწყობი გარემოებანი და სხვა სახის სამართალდარღვევები. იმ წარდგინებათა რაოდენობა, რომლებიც პროკურობებს, გამოძიებლებს და მომკვლევ პირებს შეაქვთ არაღძრულ მასალებზე, საკმაოდ დიდია, საჭიროა მისი შემდგომი სტიმულირება. სტატისტიკურ ანგარიშებში მათი გათვალისწინება ამაღლებს პასუხისმგებლობას ამ საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

საქმეების ანალიზი გამოძიებელს საშუალებას აძლევს მიაკვლიოს ერთგვაროვან დანაშაულთა საერთო ხელშემწყობ პირობებს და მათ აღსაკვეთად დასახოს უფრო ეფექტური ღონისძიებები, ვიდრე გატარებული იყო კონკრეტულ საქმეზე. იგი ვალდებულია სისტემატურად მოამზადოს განმაზოგადოებელი ხა-

სიათის წარდგინებები, მაგრამ ასეთი წარდგინებების შემუშავება ჩვენთან ჯერ კიდევ არ არის ფართოდ დანერგილი.

კონკრეტულ საქმეთა ირგვლივ მშრომელთა კოლექტივების წინაშე შეტყობინებით გამოსვლის პრაქტიკა არ არის საკმაოდ შესწავლილი. ამის მიზეზი მარტო ის კი არაა, რომ ეს პროფილაქტიკური ღონისძიება შედარებით ახალია. თუ წარდგინების შეტანის დროს საქმე გვაქვს წერილობით დოკუმენტთან და საშუალება გვეძლევა მას ანალიზი გავუკეთოთ, შეტყობინებით გამოსვლისას, როგორც წესი, თითქმის არავითარი საბუთი არ იქმნება თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცნობას, რომლებსაც გამომძიებლები ითხოვენ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებისაგან შეტყობინებით გამოსვლის ფაქტის დასადასტურებლად. ამის გამო ძნელი ხდება, წარმოდგენა ვიქონიოთ შეტყობინებათა შინაარსსა და ხარისხზე.

ჩვენ გვინდა შევეხოთ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაფორმდეს შეტყობინებით გამოსვლა.

ჩვენის აზრით, პროკურორმა, გამომძიებელმა და მომკვლევმა პირმა უნდა უზრუნველყოს კონკრეტულ საქმეზე მშრომელთა კოლექტივში გამოსვლის ოქმის შედგენა (ასეთი პრაქტიკა არსებობს მაგალითად, გურჯაანის რაიონის პროკურატურაში), სადაც მოკლედ აისახება როგორც შეტყობინებების შინაარსი, ასევე იმ პირთა გამოსვლები, რომლებიც გამოეხმაურნენ შეტყობინებას. ოქმის ეგზემპლარი შეიძლება დაერთოს საქმეს ან სამეთვალყურეო წარმოებას.

რესპუბლიკის პროკურატურამ ამას წინათ შოაწყო სემინარი წინასწარი გამოძიების პროცესში პროფილაქტიკური მუშაობის საკითხებზე. გამოიკვია, რომ ბევრ გამომძიებელს სრულყოფილად არ ესმის კონკრეტული საქმის ირგვლივ მშრომელთა კოლექტივის წინაშე შეტყობინებით გამოსვლის აზრი და დანიშნულება. ზოგს მიაჩნია, ამ ღონისძიების მიზანი მხოლოდ ის არის, რომ ვააფრთხილოს მერყევი ელემენტები, არ დაუშვან კანონის ანალოგიური ან სხვა დარღვევა. ამასთან უგულვებელყოფენ იმას, რომ შეტყობინებით გამოსვლისას ყურადღება უნდა გამახვილდეს დანაშაულის ხელშემწყობ იმ პირობებზე, რომელთა აღსაკვეთად საჭიროა ღონისძიებანი განახორციელოს მთელმა კოლექტივმა.

აქედან ცხადია, თუ რაოდენ სერიოზული მზადება ესაჭიროება შეტყობინებით გამოსვლას. ზედმეტი არ იქნება თუ პროკურორი, გამომძიებელი და მოკვლევის მუშაკი გააკეთებს თავისი გამოსვლის წერილობით მონახაზს.

კოლექტივის წინაშე შეტყობინებით გამოსვლა გულისხმობს უშუალო, ზეპირ კონტაქტს. ამ ფორმას ბევრი გამომძიებელი (განსაკუთრებით შინაგან საქმეთა ორგანოებში) სცვლის წერილობითი შეტყობინებით, რომელიც თითქმის ყოველთვის შემოიფარგლება მომხდარი დანაშაულის აღწერილობით და იმ შემთხვევაში, რომ იგი კოლექტივს გაეცნოს. ეს ნაკლებად ეფექტურია. ჯერ ერპასუხს მისლობითი ინფორმაციები არ შეიცავენ დანაშაულის ხელშემწყობი პირობების ანალიზს. მეორეც, მოკლე ინფორმაციიდან კოლექტივი ვერ მიიღებს პასუხს მისთვის საინტერესო ყველა კითხვაზე. უფრო მეტიც, წერილის ცალკეული დებულება შეიძლება მცდარად იქნას განმარტოებული და არასწორი დასკვნების გამოტანის წყარო გახდეს.

ჩვენის აზრით, ასეთი წერილობითი ინფორმაციების გაგზავნას უნდა ვე-

რიდოთ და მხარი დაეუჭიროთ უკვე საკმაოდ შემოწმებულ ღონისძიებებს. ლექტივის წინაშე შეტყობინებით ზეპირ გამოსვლას.

საქმის შერჩევა შეტყობინებით გამოსვლისათვის ხშირად შემთხვევითია. თუ შესაძლებელია მშრომელთა კოლექტივი ჩავაბათ დანაშაულის ხელშემწყობი პირობების აღკვეთის ღონისძიებებში, ეს ყველა კონკრეტულ საქმეზე უნდა გავაკეთოთ.

დანაშაულის ხელშემწყობი გარემოებების აღსაკვეთად ჯერ კიდევ არა-დამაკმაყოფილებლად ვიყენებთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს — პრესას, რადიოსა და ტელემუწყებლობას.

დანაშაულის რეციდივთან ბრძოლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ წარმოებს იმ პირთა ხელახალი აღზრდა და გამოსწორება მშრომელთა კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, რომელთა მიმართ გამოძიების ან მოკვლევის პროცესში საქმე შეწყდა საზოგადოებრივი შემოქმედების ღონისძიების გატარებასთან დაკავშირებით. ამ მოტივით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებულ პირთა რიცხვი მეტად მნიშვნელოვანია.

სერიოზულ ნაკლად უნდა მივიჩნიოთ, რომ პროკურორები, გამოძიებლები და მოკვლევის მუშაკები ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ თუ როგორ ხორციელდება დამნაშავის ხელახალი აღზრდა.

ისევე როგორც სასამართლო პროცესს, დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს წინასწარ გამოძიებასა და მოკვლევას, ინდივიდუალურ საუბრებს, რომლებსაც გამოძიებლები და მოკვლევის მუშაკები ატარებენ მოქალაქეებთან.

ამიტომ საჭიროა უფრო მეტად ვიზრუნოთ გამოძიებისა და მოკვლევის კულტურის ამაღლებისათვის, რაც მიღწეულ უნდა იქნას, ერთის მხრივ საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერების, ხოლო მეორეს მხრივ გამოძიებელთა და მოკვლევის მუშაკთა — იდეურ-პოლიტიკური და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლების გზით.

აუცილებელია გადამწყვეტი ბრძოლა გამოვუცხადოთ საპროცესო კანონმდებლობის დარღვევას წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის პროცესში. უნდა აღიკვეთოს შემრიგებლური პოზიცია ასეთი დარღვევებისადმი. ცოტა როდია ისეთი შემთხვევა, როცა კანონის პროცესუალური დარღვევების პრინციპული შეფასების ნაცვლად პროკურორები ყურს უყრუებენ ასეთ დარღვევებს.

ბოლო დროს ქალაქისა და რაიონის პროკურორები სწავლობენ წინასწარი გამოძიების და მოკვლევის პროცესში დანაშაულის ხელშემწყობი პირობების აღკვეთის პრაქტიკას, ავლენენ არსებულ ნაკლოვანებებს და ხმარობენ ზომებს მათს სალიკვიდაციოდ. ეს მეტად სასარგებლოა და მომავალში უფრო ფართოდ უნდა დაინერგოს.

ფიქრები დანაშაულის პროფილაქტიკაზე...

ლალა ბახტრიონელი

კარლ მარქსი წერდა, ბრძენი კანონმდებელი დანაშაულს თავიდანვე აიცილებს. შემდეგ რომ არ გაუხდეს გამოსამჟღავნებელიო. ამ ფრაზაში მოცემულია დანაშაულის პროფილაქტიკის მარქსისტული მოძღვრების ლოგიკური დასაბუთება.

სკკპ XXIV ყრილობამ დიდი ამოცანები დასახა დამნაშავეობის აღმოფხვრის დარგში. მისი პრაქტიკული განხორციელების ინტერესები მოითხოვს პროფილაქტიკური საქმიანობის ნამდვილად მეცნიერულ ნიადაგზე დაყენებას. გიგანტური, ისტორიული და ჭეშმარიტად რევოლუციურია პარტიის საპროგრამო მოთხოვნები ამ სფეროში.

დამნაშავეობის აღმოფხვრა სინამდვილის რევოლუციური გარდაქმნის პროცესის შემადგენელი ნაწილია.

დამნაშავეობა, ადამიანსა და კანონს შორის არსებული კონფლიქტი ისევე ძველია, როგორც თვით კაცობრიობის ცივილიზაცია. ასევე ძველია კაცობრიობის ოცნება აღმოფხვრათ ეს კონფლიქტი.

ადამიანებს თავიანთ ლექსიკონში ჯერ არც გააჩნდათ სიტყვები „კანონი“ და „კონფლიქტი“, როცა ცალკეული ინდივიდი უკვე არღვევდა დაწესებულ ნორმასა თუ ადათს. ეს იმის შედეგი გახლდათ, რომ ან პიროვნება არ იყო ამადლებული ბრძენი კანონმდებლის მოთხოვნათა დონემდე, (ამიტომ ეს იყო ნეგატიური კონფლიქტები), ანდა რომელიმე გენიოსისთვის ვიწრო იყო მისივე დროის კანონმდებლების მიერ მოხაზული თვალსაწიერი. ის ვერ ეტეოდა ეპოქაში, კანონით მისთვის მოზომილ პროგრესს სარეცელში. ეს პოზიტიური კონფლიქტები იყო.

წარმოვიდგინოთ ასეთი სცენა: დავობენ ჟამთააღმწერელი, იურისტი, პროგნოზისტი, კრიმინოლოგი, სოციოლოგი და... ურწმუნო თომა.

შამთააღმწერელი: დამნაშავეობა ისევე ძველია, როგორც კაცობრიობა, კაენმა მოკლა აბელი. უფრო ადრე ადამმა და ევამ მოიპარეს ვაშლი. ალბათ ამიტომ არის დამნაშავეობა ყველა ცათაქვეშ და ყველა დროში განხეთქილების ვაშლი, ხოლო ჩვენს ხულს მარადიულად აჩნია კაენის დადი. ქურდობით და მკვლელობით დაიწყო ადამის მოდგმის არსებობა. დამნაშავეობა იყო, არის და იქნება მარად, სანამ არსებობს კაცობრიობა. ეს კაცობრიობის განუკურნებელი ქრონიკული სენია, რომელიც „არც ჰკლავს და არც აცოცხლებს მას“. ხოლო ახალგაზრდობა უკვე დედის მუცელშია დაადგებული ამ სენით, მას ქუდბედად აქვს დაბეჭეული დამნაშავეობა, როგორც ამტკიცებს ბურჟუაზიული გენეტიკა.

იურისტი: მაგრამ არის კანონი, უებარი წამალი, რომელიც განკურნავს დამნაშავეობით დაავადებულ კაცობრიობას.

როსკობათა ხაზრვევი. ეს ჭეშმარიტა, მოგებსენებათ, არც „ეტლის წიგნია“, არც პორსკობათა ნაწარვევი. ეს ჭეშმარიტი მეცნიერებაა. მე, როგორც ფუტუროლოგი, ვფიქრობ, რომ დამნაშავეობა იყო და არის, მაგრამ არ იქნება!

სავსებით სწორი პროგნოზია! — ჩაერია დავაში კრიმინოლოგი. ჩვენ დამნაშავეობის მიზეზებს ვიკვლევთ, მათი აღმოფხვრის გზებს ვეძებთ და ვამტკიცებთ, რომ დამნაშავეობა იყო და არის, მაგრამ არ იქნება.



სრწმუნო თომა: ეს ისევე წარმოუდგენელია, როგორც საავიაციო კატასტროფა ალექსანდრე მაკედონელის დროს. და თუნდაც ვთქვათ, რომ ეს შესაძლებელია, ნუთუ საზოგადოებას შეუძლია იარსებოს უპროკუროროდ, უმოსამართლეოდ, უმილიციელოდ, უადვოკატოდ. ჩვენ ხომ მათ ასე შევეჩვიეთ და ხომ არასოდეს არ ყოფილა ეპოქა, სადაც ეს ან მათი მსგავსი ინსტიტუტები არ ყოფილიყო?

ლინგვისტი-მტიმოლოგი: შევეჩვიეთ ისევე, როგორც სიტყვებს: ჰულიჰანს, (რომელიც რატომღაც ქართულად სულიგნად იწერება), სპეკულიანტს, ბანდიტს, ქურდს. ისინი არქაიზმებად უნდა იქცეს?

პრიმიტივიზმი: დიას, ისინი არქაიზმებად და კრიმინალურ სიძველეთა სამუზეუმო ექსპონატებად იქცევა.

სოციალიზმი: მაგრამ ჯერჯერობით ფაქტია, რომ სწორედ დამნაშავე აიძულებს კაცობრიობას ჰყავდეს დამსჯელი ორგანოები, სამინისტროები, პოლკები, ხარჯოს მილიარდები და მილიონები დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, შექმნას საერთაშორისო პოლიციური ორგანიზაციები — „ინტერპოლი“, იურიდიული ინსტიტუტები მართვისა და მეცნიერების დარგში, პოლიციური ენციკლოპედიები და სამართლის ფილოსოფია, კანონთა კოდექსები, დეტექტიური მწერლობა და კინემატოგრაფია, ციხეები და კოლონიები და სხვ. 5-6 ათასი წელიწადია, შეიძლება მეტი ხანიც, ადამიანის ცივილიზაცია ებრძვის ადამიანის ბარბაროსობას — დამნაშავეობას, მაგრამ ეს „6 ათას წლიანი ომი“ ჯერ არასოდეს დამთავრებულა დამნაშავეობის საბოლოო დამარცხებით, დამნაშავეთა საბოლოო და უსიტყვო კაპიტულაციით. დღეს კი ეს ბრძოლა საერთო-სასახლხო ხასიათს იღებს.

ჰამილტონი: დამნაშავეობის წინააღმდეგ მთელი საზოგადოების ბრძოლის ცალკეული ფორმები ადრეც არსებობდა. გაიხსენეთ როგორ სჯის ხევისბერი გონა დამნაშავეს ან როგორ ხდებოდა დამნაშავეის ჩაქოლვა. მთელი თემი ჩაქოლავდა! თემის ყოველი წევრი! ხაზს ვუსვამ — ყოველი წევრი! ეს პრინციპი იყო. მართლმსაჯულება დაუნდობელი იყო. მოსამართლე მამას შვილისთვის (გაიხსენეთ ხევისბერის და ონისეს ურთიერთობა ა. ყაზბეგის რომანში) გამოაქვს სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილით დასჯა.

იშრისტი: დიას, კანონი მამა-შვილობაზე უფრო წმინდა მოვლენად არის დასახული ყაზბეგის რომანში. კანონისადმი ისეთი დამოკიდებულება — ეს არის თავი და თავი!

ჰამილტონი: ყველა დროის ყველაზე დიდი ფილოსოფოსები დანაშაულის თავიდან აცილების სისტემებს შეიმუშავებდნენ. მე მხოლოდ ორ მაგალითს მოვიყვან.

პლატონი ჯერ კიდევ ჩვენს ვრამდე ამბობდა, ბავშვის აღზრდა დედის მუცელში იწყება.

ჰეგელმა პოლიციისთვის დანაშაულობათა აცილების მთელი სისტემა ჩამოაყალიბა თავის „სამართლის ფილოსოფიაში“. პოლიცემისტრისათვის საჭირო პედანტურობით წერს ფილოსოფოსი დანაშაულის თავიდან აცილების რეკომენდების ჩს თვით ქუჩების ფარნით განათებისა და ბაზრებში ფასების გაყალბებულ ალკვითის ჩათვლითაც კი!

სოციალიზმი: მაგრამ ჭეშმარიტად მეცნიერული მოძღვრება დანაშაულის აღმოფხვრაზე კაცობრიობამ სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სახით შექმნა. ეს კაცობრიობას უდიდესი მონაპოვარია.

მართლაც, რომ 5—6 ათასი წელი დასჭირდა ცივილიზებულ კაცობრიობას, რომ

დამნაშავეობის პროფილაქტიკა უტობიიდან შეცნირებამდე ქვეულიყო, ხოლო დანაშაულის თავიდან აცილება — პრაქტიკულ რეალობად. და ეს მოხდა სოციალიზმის სამყაროში, ბურჟუაზიულ ქვეყნებში იგი კვლავ უტობიად რჩება.

ის ფაქტი, რომ შეიქმნა მარქსისტულ-ლენინური კრიმინოლოგია — ზომღვრება დანაშაულობათა მიზეზებისა და მათი აღმოფხვრის ოპტიმალური გზების შესახებ — რევოლუციური მობრუნების პუნქტია დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეს მეცნიერება ფაქტიურად ადმინისტრაციულ ორგანოებს უჩვენებს დამნაშავეობის გამომწვევ სოციალურ დაავადებათა მეცნიერული დიაგნოსტიკის, მეურნეობის და პროგნოსტიკის ოპტიმალურ პირობებს. ის პროფილაქტიკური მოძღვრების სული და გულია.

შინაგან საქმეთა ორგანოების მართვის სისტემაში შეიქმნა მეცნიერული კრიმინოლოგიური პროგნოზირების სტრუქტურული ქვედანაყოფები, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში — შესაბამისი კათედრები, იკითხება სპეციალური კურსები და ციკლები.

დამნაშავეობისა და მისი მიზეზების ლიკვიდაციისათვის სამეცნიერო-პრაქტიკულ რეკომენდაციათა შემუშავება ინტენსიური გახდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტისა და კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის კათედრაზე, გაუმჯობესდა მოძმე რესპუბლიკებისა და სოციალიზმის ქვეყნების შესაბამის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან კავშირი და მუშაობის კოორდინაცია. ეს ფაქტორები ხელს უწყობს შინაგან საქმეთა ორგანოების პროფილაქტიკური მოღვაწეობის მეცნიერული და პრაქტიკული ბაზის განმტკიცებას. ამ თვალსაზრისით სრულიად ახალი სიტყვა იყო საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის შექმნა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, რომლის დაარსებაც ნაკარნახევია ცხოვრების მოთხოვნებით და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებით.

ინსტიტუტი რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის 300 საუკეთესო წარმომადგენლის მუდმივმოქმედი ფორუმი, მეცნიერული ლაბორატორიაა საზოგადოებრივი აზრის შესწავლისა და ჩამოყალიბებისათვის.

ინსტიტუტს სექციები და ფილიალები აქვს ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, რუსთავში, ზუგდიდში და სხვა ქალაქებში. ისინი დარგობრივად და გეოგრაფიულად მოიცავს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის თითქმის ყველა სფეროს. ინსტიტუტის მუშაობაში მონაწილეობენ ჩვენი დროის გამოჩენილი ადამიანები: ნ. მუსხელიშვილი, ი. ვეკუა, ირ. აბაშიძე, წარმოების ნოვატორები: ნ. მამიაშვილი, მ. თრაგველიძე, შ. ფირცხალავა და სხვანი.

ინსტიტუტმა შექმნა ოპერატიული ვითარების მეცნიერული ანალიზის და მისი გაჯანსაღების მეცნიერულად დასაბუთებული გზების შესწავლის ტრადიცია, მისი გამოცდილება დაინერგა მოძმე რესპუბლიკებში. ამ სიახლით სოციალიზმის ბევრი ქვეყანაც დაინტერესდა (ბულგარეთი, პოლონეთი...).

ასეთი ინსტიტუტის არსებობა ნიშნავს, რომ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაყენებულია მეცნიერებისა და ხელოვნების უძველესი ძალა, მშრომელი ადამიანის ცხოვრებისეული გამოცდილების ოქროს საგანძური შეხამებულია ჩვეისტიის ოპერატიულ აღდგომასთან და მილიციის მუშაკების მდიდარ ტრადიციებთან.

ინსტიტუტი კრიმინალურ ქმედებათა აცილებისა და პროფილაქტიკის ქვეყნობრივი ორგანოა. ამით მომზადდა პრაქტიკული ბაზა რესპუბლიკაში პროფილაქტიკური მუშაობის მეცნიერულ დონეზე დაყენებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამს. ლ. ი. ბრეჟნევმა თავის საანგარიშო მოხსენებაში სკკპ XXIV ყრილობაზე განსაკუთრებულ ამოცანად დასახა ადმინისტრაციული ორგანოების პროფილაქტიკური მუშაობის გაუმჯობესება. „კვლავ სერიოზულ ამოცანად რჩება ბრძოლა დამნაშავეობასთან. უკანასკნელ ხანს უფრო მკაცრი პასუხისმგებლობა დაწესდა ზოგიერთი სახეობის სამართალდარღვევისათვის. კანონებით გათვალისწინებული სასჯელის ზომების გამოყენებასთან ერთად ჩვენ სულ უფრო მეტად ვზრუნავთ დანაშაულის პროფილაქტიკისათვის, იმისათვის, თუ როგორ ავიცილინოთ თავიდან, არ დავეშვათ იგი“.

ამ მითითებათა განხორციელებისათვის გადაიდგა მნიშვნელოვანი პრაქტიკული ნაბიჯები.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროებმა თბილისში ჩატარეს საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია დამნაშავეობის პროფილაქტიკის პრობლემებზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის შინაგან საქმეთა ორგანოების, სხვა ადმინისტრაციული ორგანოებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების მუშაკებმა, აგრეთვე საზღვარგარეთელმა (ბულგარელმა, კუბელმა) სტუმრებმა.

კონფერენციის მასალები ცალკე ტომად გამოიცა და იმედია პროფილაქტიკის დარგში შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკთა სამაგიდო წიგნად იქცევა.

დანაშაულის პროფილაქტიკის შესახებ მოძღვრების განხორციელების მაღალეფექტურობის მიღწევა მთავარ მიმართულებად იქცა. გაუმჯობესდა შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაცია შინაგან საქმეთა ორგანოებში. ამოცანებმა დამნაშავეობის პროფილაქტიკის დარგში თავისი კონკრეტული, თეორიული და პრაქტიკული განვითარება ჰპოვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ უკანასკნელ ხანს დამნაშავეობის პროფილაქტიკის საკითხებზე მიღებულ დადგენილებათა მეცნიერულად დასაბუთებულ სისტემაში. ამ დადგენილებებით გაზრდილია პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობა მათ სისტემაში დაშვებული ყოველი დანაშაულისათვის. შეიქმნა პროფილაქტიკისა და შემოსულ სიგნალებზე რეაგირების ჯგუფები ყველა სამინისტროსა და უწყებაში, რაიონულ და ძირეულ რგოლში მთელი რესპუბლიკის მასშტაბით ზევიდან ქვევით.

ამ დადგენილებებმა შექმნა პროფილაქტიკური მუშაობის უნიკალური და უნივერსალური, სრულიად ახალი სტრუქტურული სისტემა, რომელიც ენციკლოპედიური სიფართოვით და სისრულით მოიცავს თანამედროვე პროფილაქტიკური მუშაობის მეთოდებსა და სახეებს, მთელი საზოგადოების მასშტაბით აყალიბებს პროფილაქტიკის სრულქმნილ აპარატს ყველა სფეროში.

ყოველივე ეს ქმნის პროფილაქტიკის დარგში კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის პირობებს.

მომზადებულია კანონპროექტი, რომელიც დააკონკრეტებს პროფილაქტიკური მუშაობის სფეროში საზოგადოების ყველა რგოლის ხელმძღვანელთა იურიდიულ პასუხისმგებლობას ყველა იმ დანაშაულის გამო, რომელიც მოხდა ეკონომიკისა და კულტურის, მართვის ან თუ იმ სფეროში დამნაშავეობასა და მის მიზეზებზე არასწორი რეაგირებისათვის.

ღიას, ყველას, ვისაც ვგალობდა და შექმლო დანაშაულობის თავიდან აცილება და არ აიცილა, პასუხი უნდა მოეთხოვოს კანონის წინაშე.

არ არსებობს უპასუხისმგებლობის და სიფხიზლის მოდუნების სოციალურად უფრო საშიში ფორმა, ვიდრე გულგრილი დამოკიდებულება დანაშაულობის და მისი მიზეზების აღმოსაფხვრელად გასატარებელი ღონისძიებებისადმი, ვიდრე არასწორი რეაქცია ადმინისტრაციული ორგანოებიდან შემოსულ სიგნალებზე. ეს დანაშაულია საზოგადოების წინაშე და ამიტომაც უნდა ისჯებოდეს კანონით.

პროფილაქტიკის შესახებ კანონპროექტის საფუძვლები ძირითადად დადებითად შეფასდა. იგი ხელს შეუწყობს პროფილაქტიკის სფეროში შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის პრინციპების ეფექტურ განხორციელებას.

დანაშაულობის პროფილაქტიკის სფეროში საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბევრი სიახლე დაწერა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მოიწონეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემოღებული ინფორმაციის ახალი სისტემა. უპირველეს ყოვლისა ლაპარაკია რესპუბლიკის ეკონომიკის, კულტურის, მართვის სფეროების ყოველდღიური ოპერატიული ინფორმაციით უზრუნველყოფაზე. ასეთი ინფორმაცია შეიცავს სათანადო კონკრეტულ ანალიზს, დასკვნებს, წინადადებებს, მითითებებს ოპერატიული ვითარების გაჯანსაღებისათვის.

ინფორმაციის ამგვარი სისტემა შემოღებულია რაიონულ და საქალაქო რგოლებშიც. ამგვარად, ყველა რაიონული და საქალაქო პარტიული კომიტეტი, მსხვილი პირველადი ორგანიზაცია, რაისაბჭოს აღმასკომი, პროფკავშირისა და კომკავშირის კომიტეტები, ფაბრიკა-ქარხნები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები და ა. შ. ღებულობენ საჭირო ინფორმაციას დანაშაულობის მდგომარეობისა და მის სალიკვიდაციოდ გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ, რაც პროფილაქტიკური მუშაობის გაუმჯობესების ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია.

ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით საკოორდინაციო საბჭოს შექმნამაც სასარგებლო გავლენა მოახდინა პროფილაქტიკური მუშაობის სფეროში.

ღლითილდე ძლიერდება ადმინისტრაციული ორგანოებისა და ფართო საზოგადოებრიობის ერთიანი ფრონტი დანაშაულობისა და მისი გამომწვევი მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლაში. ყოველივე ამას არ შეეძლო დადებითი გავლენა არ მოეხდინა რესპუბლიკაში შექმნილ ოპერატიულ ვითარებაზე.

პროფილაქტიკური მუშაობის თვისობრივმა გაუმჯობესებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა იმ დადებითი ტენდენციების ჩასახვის, ჩამოყალიბებისა და განვითარების იმ პროგრამის განხორციელებაში, რაც დასახულია პარტიის მიერ.

ოპერატიული ვითარების დინამიკის, სტრუქტურის, გეოგრაფიის, დემოგრაფიის კრიმინოლოგიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში იგრძნობა დანაშაულობის საერთო ღონის შემცირების, მათ შორის დანაშაულობათა სტრუქტურაში განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა ხვედრითი წონის სტაბილური შემცირების საგრძნობი ტენდენცია.

ოპერატიული ვითარების დემოგრაფიული ანალიზი იმასაც გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკაში წლითიწლობით კლებულობს ყოველ 10.000 ხულ მოსახლეზე ჩადენილ დანაშაულობათა რაოდენობა, მცირდება დანაშაუვთა კონტიგენტი.

დანაშაულობის გეოგრაფია გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკის 2000-მდე დასახლებულ პუნქტში მიმდინარე ხუთწლედში არ ყოფილა დანაშაულის ჩადენის არცერთი შემთხვევა.

მცირდება არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევათა რიცხვი. ამ მხრივ რესპუბლიკას ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი აქვს საბჭოთა კავშირში.



სწორედ ამიტომ აღინიშნა საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობაზე, რომ „ბოლო წლებში სისხლის სამართლის დამნაშავეობას მნიშვნელოვანი შემცირების ტენდენცია აქვს“.

ოპერატიული ვითარების ინდექსები და პარამეტრები მეტყველებენ იმაზე, რომ პროფილაქტიკური მუშაობის გაუმჯობესება დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი ბერკეტია.

მაგრამ კრიმინოლოგია, მოძღვრება პროფილაქტიკაზე, არ კმაყოფილდება მარტო იმით, თუ რა მდგომარეობა გვაქვს დღეს.

როგორია ამ დადებითი ტენდენციების შემდგომი განვითარების პერსპექტივები?

ამ კითხვაზე პასუხს იძლევა კრიმინოლოგიური პროგნოსტიკა. სწორედ ამიტომ მიექცევა პროგნოზირებას განსაკუთრებული ყურადღება პროფილაქტიკური მუშაობის სისტემაში.

ამჟამად სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროში, სამეცნიერო-კვლევით და უმაღლეს სასწავლებლებში არსებობს პროგნოსტიკის საგანგებო დანაყოფები.

პროგნოზები ისეთია, რომ მიმდინარე ხუთწლედში დანაშაული მნიშვნელოვნად შემცირდება.

ოპერატიული ვითარების გართულების არავითარი სოციალურ-ეკონომიური საფუძველი არ არსებობს. პირიქით, ოპერატიული ვითარება დღითიდღე გაუმჯობესდება. მართალია, დადებითი ტენდენციების განვითარება არ შეიძლება მარტივ სწორ ხაზად დაგსახოთ, ის უფრო დიალექტიკური სპირალია გარკვეული კადენციებით, ზოგჯერ დროებითი, უარყოფითი ტენდენციებითაც, მაგრამ მიუხედავად ინდექსების ზოგიერთი გადახრისა, ოპერატიული ვითარების შინაარსს განაპირობებენ მხოლოდ დანაშაულის შემცირების ტენდენციები. მათი მოქმედება საყოველთაოა და გარდუვალი.

ეს არის ოპერატიული ვითარების შემდგომი განმუხტვისა და გაჯანსაღების მთავარი გარანტია.

პროფილაქტიკური საქმიანობა — ოპერატიულ-სამსახურებრივი მოღვაწეობის უმაღლესი და ურთულესი ფორმაა. ის უფრო ძნელია, ვიდრე მომხდარი, თუნდაც შენიღბული დანაშაულის გახსნისა, გამოძიებისა და ლოგიკურ დასკვნამდე მიყვანის ოსტატობა. იგი მოითხოვს საზოგადოებაში მიმდინარე ყველა იმ სოციალურ-ეკონომიური პროცესების ღრმად წვდომას, რომლებიც განაპირობებენ ოპერატიული ვითარების ტენდენციების ფორმირებას.

უამისოდ არ არსებობს ოპერატიულ ვითარებაზე შეგნებული შემოქმედების, მისი სასურველი მიმართულებით წარმართვის ხელოვნება.

ამას რომ ითვალისწინებენ, საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოები მარქსისტულ-ლენინური კრიმინოლოგიური პროგნოსტიკის მიღწევებზე დაყრდნობით სახავენ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მეცნიერულად დასაბუთებულ პერსპექტიულ გეგმას.

მიმდინარე ხუთწლედში, პირველად შემუშავდა შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობის, მათ შორის პროფილაქტიკური მუშაობის ხუთწლიანი გეგმა, როგორც

ეს გეგმები საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ მოწონებულ საწარმოებისა და შრომითი კოლექტივების სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხუთწლიანი გეგმების შემადგენელი ნაწილია.

პარტიისა და მთავრობის მიერ უკანასკნელ ხანს მიღებული ცნობილი დადგე-

ნიღბების ცხოვრებაში განსორციელების პრაქტიკა მეცხრე ხუთწლედში ახალი ფორმებით და შინაარსით ივსება.

მაგალითად, პირველად ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა საუწყებო მილიციის ინსტიტუტი საბჭოთა მეურნეობებში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს პროფილაქტიკური მუშაობის გაუმჯობესების თვალსაზრისითაც.

დღის წესრიგში დვას საუწყებო უბნის ინსპექტორების ინსტიტუტის კოლმეურნეობებში შემოღებაც. ამ საკითხს განსაკუთრებით გაესვა ხაზი უბნის ინსპექტორთა რესპუბლიკურ თათბირ-სემინარზე, რომელმაც ბევრი სიახლე შეიტანა უბნის ინსპექტორთა პროფილაქტიკური მუშაობის შემდგომ სრულყოფაში.

უბნის ინსპექტორთა მუშაობის ახალმა პრინციპმა დიდი ეფექტი გვიჩვენა თბილისში. ის ამჟამად მთლიანად აგებულია სახლმმართველობათა ბაზაზე და გულისხმობს დანაშაულების პროფილაქტიკისათვის სახლმმართველობათა აპარატებისა და დამხმარე ძალების გამოყენებას.

სოფლად და ქალაქად პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით ძლიერდება ფართო საზოგადოებრიობის მოძრაობა დანაშაულისა და მისი მიზეზების აღსაკვეთად და ასაცილებლად.

საკმარისია ითქვას, რომ მარტო სახალხო რაზმეულებში გაერთიანებულია რესპუბლიკის 80.000 მშრომელი. მართალია, ყველა მათგანი ერთნაირი ეფექტით არ მონაწილეობს ამ საქმეში — ჯერ კიდევ ბევრია ფორმალისმისა და ზერელობის ფაქტები, მაგრამ თავისთავად ეს მაინც ძლიერი, მრავალათეულათასიანი „პროფილაქტიკური არმია“ა. შეიქმნა სახალხო რაზმეულების რესპუბლიკური საბჭო, რაც მათი მუშაობის ორგანიზაციულ განმტკიცებას მოასწავებს.

ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასი და კოლმეურნე გლეხობა პროფილაქტიკურ მუშაობაში მონაწილეობის სულ ახალ-ახალ და სრულყოფილ ფორმებს ეძებს და პოულობს. აღსანიშნავია ის დიდი პროფილაქტიკური ეფექტი, რომელიც თან ახლავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საბჭოების შექმნას თბილისის საავიაციო, ქუთაისის საავტომობილო, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების შრომით კოლექტივებში, ზესტაფონის რაიონის სოფელ სვირისა და გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობებში.

პროფკავშირების სისტემაში ასევე შეიქმნა პროფილაქტიკური მუშაობის ცენტრები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამხანაგური სასამართლოების რესპუბლიკური საბჭოს ჩამოყალიბება.

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებული წესრიგის დაცვის კომკავშირული ორთვიურის დღეებში, რაც ყოველ წელს ეწყობა კიდევ უფრო მაღლდება კომკავშირულ ოპერატიული რაზმებისა და შტაბებზე როლი. ისინი განმტკიცდნენ ორგანიზაციულად და თვისობრივად. მათი მოღვაწეობის პროფილაქტიკური ეფექტი სულ უფრო საგრძნობი ხდება.

მაგრამ პროფილაქტიკური მუშაობა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს.

იმ ძირითად ფაქტორებს შორის, რომლებიც წარმოშობს დანაშაულებას, აღსანიშნავია — მოზარდთა დანაშაული, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის თავის არიდება, ალკოჰოლიზმი, რეციდიული დანაშაული, ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის, ფეთქებადი ნივთიერების არასწორი, უნებართვო შენახვა და გამოყენება, ყოფაცხოვრებითი დანაშაული.

ამ პრობლემების გადაჭრა პროფილაქტიკური საქმიანობის ძირითადი ნების გადაწყვეტასაც ნიშნავს.

საბჭოთა კანონის სულისკვეთებით მოქალაქეთა აღზრდას გადაწყვეტი პროფილაქტიკური მნიშვნელობა ენიჭება.

ამ მხრივ ბოლო ხანს დიდ მუშაობას ატარებენ შინაგან საქმეთა ორგანოები. მაგრამ ძირითადი ნაკლი ის არის, რომ სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდაში რაოდენობრივი მაჩვენებლების ზღვარს ვერ გავცდით, ხარისხობრივ ინდექსებს ვერ ვითვლით, რეალური ეფექტის კრიტერიუმთა სრულყოფილი სისტემა არ გავაჩნია, რადგანაც სუსტია სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის მეცნიერული საფუძვლები და კიდევ უფრო სუსტი მისი განხორციელების პრაქტიკა.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაითვალისწინა ყოველივე ეს და შექმნა პრესის, რადიოს, ტელევიზიისა და დოკუმენტური კინოს საინფორმაციო ცენტრი, რომელიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უზრუნველყოფს დროული, თბიქტური და საჭირო ოპერატიული ინფორმაციით.

საინფორმაციო ცენტრი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასა და უნივერსიტეტთან ერთად მიზნად ისახავს სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის ეფექტურობის მეცნიერული კრიტერიუმების შემდგომ დაზუსტებას და პრაქტიკულ შემოწმებას.

ამ ფაქტს დიდი პროფილაქტიკური მნიშვნელობა ექნება.

ჩვენს რესპუბლიკაში პროფილაქტიკური საქმიანობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ სფეროში შესამჩნევია ორი მთავარი ტენდენცია:

ზოგადი პროფილაქტიკური ღონისძიებების შედარებით მაღალი დონე, ფორმათა სიუხვე და ახლის ძიების სურვილი, და იმავე დროს კონკრეტული, ინდივიდუალური პროფილაქტიკის ეფექტურობის შედარებით დაბალი დონე, მისი ერთგვარი სტანდარტულობა და სტერეოტიპულობა.

მეორე ტენდენცია დამაფიქრებელია ოპერატიულ ვითარებაზე თავისი კონკრეტული გავლენით. უპირველეს ყოვლისა, ლაპარაკია რეციდივზე, განმეორებით დანაშაულზე, პოტენციალურ დამნაშავეთა გამოვლინების პრაქტიკაზე...

არ უნდა დაგვაფიქვადეს, რომ ზოგადი პროფილაქტიკის ეფექტურობა საბოლოო ანგარიშით მაინც ინდივიდუალური პროფილაქტიკის ინდექსებზეა დამოკიდებული ბევრად.

კრიმინოლოგთა და ოპერატიულ მუშაკთა, პროფილაქტიკის ოსტატთა ყურადღების ფოკუსში უნდა იყოს ყოველი ინდივიდი, რომლისაგანაც მოსალოდნელია დანაშაული!

აქედან გამომდინარეობს თითოეული დამნაშავეს პიროვნების მთელი სისრულით შესწავლის პრობლემა — ეს პროფილაქტიკის ქვაკუთხედიანია.

საჭიროა ამ მუშაობაში გამოვიყენოთ თანამედროვე იურისპრუდენციის, კრიმინოლოგიის, კრიმინალისტიკის, ფსიქოლოგიის, ფსიქიატრიის, კონკრეტული ეკონომიკის, ფილოსოფიის, სოციოლოგიის, მედიცინის, პედაგოგიკის, მათემატიკის, კიბერნეტიკის, ქიმიის, ატომური ფიზიკის, პროგნოსტიკის და მრავალ სხვა მეცნიერებათა უახლესი მიღწევები.

ასეთი რთული კომპონენტებისაგან შედგება მოძღვრება პროფილაქტიკაზე დანაშაულის თავიდან აცილების თანამედროვე მეცნიერებაზე.

ამ მარალ დონეს სჭირდება თანამედროვე წრთობის კადრები, შრომისა და მართვის სრულყოფილი ფორმები და მეთოდები. მხოლოდ ამ პარამეტრების გათვალისწინებით შეიძლება განხორციელდეს ცხოვრებაში მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება დანაშაულის პროფილაქტიკის შესახებ.

ადმინისტრაციული ორგანოების მოღვაწეობის გენერალური მიმართულების — პროფილაქტიკის მხოლოდ ასეთ მეცნიერულ დონეზე დაყენების პირობებშია შესაძლებელი პარტიის მიერ დახმული საპროგრამო ამოცანის — ჩვენს ქვეყანაში დანაშაულებისა და მისი მიზეზების აღმოფხვრის წარმატებით განხორციელება.

ზედამხედველობის წესით საქმეთა განხილვის კანონმდებლობის განვითარების ისტორიისათვის (1917—1938 წლები)

რ. ცინცაძე

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე

საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში სასამართლო ზედამხედველობის წარმოების ადგილის, მისი არსის გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საკანონმდებლო აქტების გაანალიზებას, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ ინსტიტუტის წარმოშობასა და განვითარებას. უმთავრესად ეს ნორმები განსაზღვრავდა კანონიერ ძალაში შესულ განაჩენთა შემოწმებისა და გადასინჯვის იმ პრაქტიკას, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტია ისტორიულად ჩამოყალიბდა და დღესაც მოქმედებს.

პირველი საკანონმდებლო აქტები, რომლებშიც ვხვდებით მითითებას კანონიერ ძალაში შესულ განაჩენების ზედამხედველობის წესით გადასინჯვის თაობაზე, არის 1919 წლის 20 ნოემბრისა და 1920 წლის 18 მარტის დებულებები რევოლუციური ტრიბუნალების შესახებ. ორივე დებულება ადგენდა წესს, რომლის მიხედვითაც რევოლუციური ტრიბუნალები მოვალენი იყვნენ გამოტანილი განაჩენების შესახებ ეცნობებინათ სათანადო რევოლუციური სამხედრო საბჭოსათვის. დებულებიხ 36-ე მუხლის შესაბამისად ასეთი შეტყობინებიდან 48 საათის ვასვლის შემდეგ განაჩენი ითვლებოდა კანონიერ ძალაში შესულად.

რევოლუციური ტრიბუნალების სამხედრო საბჭოებს უფლება ჰქონდათ შეეჩერებინათ რევოლუციური ტრიბუნალების განაჩენები. ასეთივე უფლებებით იყო აღჭურვილი რუსეთის რესპუბლიკის სამხედრო რევოლუციური ტრიბუნალი წითელ არმიის მოქმედი ყველა სამხედრო ტრიბუნალებისა და მათ მიერ გამოტანილი განაჩენების მიმართ.

არმიის რევოლუციური ტრიბუნალების მიერ გამოტანილი განაჩენების შეჩერების შემთხვევაში საქმე გადაეცემოდა ფრონტის სამხედრო რევოლუციურ ტრიბუნალს, რომელსაც უფლება ჰქონდა გაეუქმებინა განაჩენი და ხელახლა განეხილა საქმე. თუ არ იყო განაჩენის გაუქმების საფუძველი, ფრონტის ტრიბუნალის განკარგულებით იგი აღსრულდებოდა. განაჩენის შეჩერების შემთხვევაში საქმე გადაეცემოდა ფრონტის სამხედრო რევოლუციურ ტრიბუნალს, რომელსაც უფლება ჰქონდა გაეუქმებინა განაჩენი და ხელახლა განეხილა საქმე.

რესპუბლიკის სამხედრო რევოლუციური ტრიბუნალი ამავე წესით შეაჩერებდა ხოლმე ფრონტის ტრიბუნალის მიერ გამოტანილ განაჩენებს, შემდეგ კი ან თვითონ განიხილავდა საქმეს ან ხელახლა განსახილველად გადასცემდა ფრონტის სამხედრო ტრიბუნალს.

რესპუბლიკის სამხედრო ტრიბუნალის მიერ განხილულ საქმეთა მიმართ ზედამხედველობას ახორციელებდა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმას-



რულებელი კომიტეტი, რომელსაც უფლება ჰქონდა მთლიანად შეეწყნარებინა მსჯავრდებული ან მისთვის ერთი სახის სასჯელი სხვა რეპრესიით შეეცვალა¹.

როგორც ვხედავთ, ამ დებულებებში უკვე იყო შემუშავებული გარკვეული რეგლამენტი, რომელიც ადგენდა კანონიერ ძალაში შესული განაჩენის შეჩერების, შეცვლის და საქმის ხელახალ განხილვის წესს უმაღლეს საზედამხედველო ორგანოში.

უფრო დაწვრილებით აწესრიგებდა სასამართლო ზედამხედველობის წესით საქმეთა განხილვის საკითხებს სამხედრო ტრიბუნალების 1920 წლის 18 მარტის დებულება. მისი 28-ე მუხლის მიხედვით განაჩენების კანონიერების შემოწმებისა და ტრიბუნალების საქმიანობის ერთიანი პრაქტიკის შემუშავებისათვის, აგრეთვე მათ მიმართ სათანადო ზედამხედველობის განსახორციელებლად, ამა თუ იმ პროცესუალური საკითხის გადასაწყვეტად, საკასაციო საჩივრებისა და პროტესტების განსახილველად, სრულიად რუსეთის ცაკთან შეიქმნა საკასაციო ტრიბუნალი.

დებულების 37-ე მუხლი განსაზღვრავდა, თუ რა საზედამხედველო უფლებები ჰქონდა საკასაციო ტრიბუნალს. დარღვევათა დადგენისას მას შეეძლო განაჩენი გაეუქმებინა და ხელახლა განსახილველად გადაეცა, ან სასჯელის ერთი სახე მეორეთი შეეცვალა.

კანონმდებელმა პირველად სწორედ ამ ნორმატიული აქტით დაადგინა სასამართლო სარევიზიო საქმიანობის ცნება. საკასაციო ტრიბუნალს 38-ე მუხლით უფლება მიეცა გამოეთხოვა საქმე სარევიზიო წესით, სულ ერთია, იყო თუ არა ამ საქმეზე შეტანილი საკასაციო საჩივარი. ამით ხაზი გაესვა იმას, რომ საკასაციო ტრიბუნალს სარევიზიო ორგანოს როლი ენიჭებოდა².

განაჩენების ზედამხედველობის წესით გადასინჯვის ინსტიტუტის აღმოცენებას ზოგიერთი ავტორი სასამართლოს შესახებ № 2 დეკრეტის მიღებას უკავშირებს (1918 წ. მარტი). მართლაც, ამ დეკრეტის მე-6 მუხლი ითვალისწინებდა, რომ ერთიანი საკასაციო პრაქტიკის მისაღწევად შექმნილიყო უმაღლესი სასამართლო საკონტროლო ორგანო, რომელსაც უფლება ექნებოდა განემარტა კანონი, მიეღო პრინციპული სახელმძღვანელო გადაწყვეტილება, რომელიც სავალდებულო იქნებოდა ყველა ქვემდგომი სასამართლოსათვის, მაგრამ პრაქტიკულად ასეთი ორგანო არ შექმნილა და ამიტომ ვფიქრობთ, იმ ავტორების მოსაზრება, რომლებიც სასამართლო ზედამხედველობის ნორმების ინსტიტუტის შექმნას სასამართლოების შესახებ № 2 დეკრეტის მიღებას უკავშირებენ, მცდარია.

მოგვიანებით, კერძოდ 1920 წლის 21 ოქტომბერს სამოქმედოდ შემოღებულ იქნა დებულება რსფსრ-ს სახალხო სასამართლოს შესახებ, ხოლო 1921 წლის 10 მარტს — დებულება უმაღლესი სასამართლო კონტროლის შესახებ, რომლებიც აწესრიგებდნენ სახალხო სასამართლოების განაჩენების ზედამხედველობის წესით გადასინჯვას. 1920 წლის დებულების 84-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით წესდებოდა უმაღლესი კონტროლის უფლება იმ სასამართლოების განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გადასასინჯად, რომლებიც იუსტიციის სახალხო კომისარიატს ექვემდებარებოდა. ამავე დებულების 88-ე მუხლი სახალხო

¹ ობ. ცვ, 1919 რ., № 58, სტრ. 549.

² ობ. ცვ, 1920 რ., № 22—23, სტრ. 115.

მოსამართლეთა მოქმედებაზე საჩივრის განხილვის, აგრეთვე კონტროლის განხორციელების ფუნქციას აკისრებდა სახალხო სასამართლოთა საბჭოს პრეზიდიუმს.

დებულებით იუსტიციის სახალხო კომისარიატი აღიჭურვა უფლებით — განხორციელებინა უმაღლესი სასამართლო ზედამხედველობა. მას შეეძლო აგრეთვე ახლადამოწინილ გარემოებათა გამო განეხილებინა სისხლის სამართლის საქმის წარმოება.

რსფსრ 1922 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისათვის დამახასიათებელია პროკურორის როლის ამაღლება სასამართლოს უსწორო განჩინებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებაში.

სახალხო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ განჩინებებს პროკურორის პროტესტით, ისევე, როგორც საგუბერნიო სახალხო მოსამართლეთა საბჭოს თავმჯდომარეთა პროტესტით, განიხილავდა ამ საბჭოს პრეზიდიუმი. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც საბჭოს პრეზიდიუმი ეთანხმებოდა პროტესტის მოთხოვნას, მას არ შეეძლო უშუალოდ გაუქმებინა ძალაში შესული განჩინი. იგი საქმეს გადასაწყვეტად უგზავნიდა რსფსრ-ის იუსტიციის სამინისტროს უმაღლესი სასამართლოს კონტროლის კოლეგიას.

კანონიერების განხორციელებისადმი ზედამხედველობის გასაწევად 1922-1924 წლებში მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროებთან შეიქმნა პროკურატურა და განისაზღვრა მისი ფუნქციები სასამართლო ზედამხედველობის ხაზით.

რსფსრ 1922 წლის სასამართლო წყობილების დებულების მე-5 მუხლი აღგენდა, რომ მას უფლება ჰქონდა ზედამხედველობის წესით განეხილა რესპუბლიკის სასამართლოს მიერ განხილული ყველა საქმე.³

რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა (1923 წლის რედაქცია) დააწესა კანონიერ ძალაში შესული განჩინებების გადასინჯვის წესი რსფსრ-ის უმაღლეს სასამართლოში. საკანონმდებლო გზით ცენტრალიზებულ იქნა სასამართლო ზედამხედველობის განხორციელების პროცედურა რსფსრ-ის მასშტაბით. ამასთან, ეს უფლება მხოლოდ რსფსრ-ის უმაღლეს სასამართლოს ჰქონდა. საგუბერნიო სასამართლოებს ეს უფლება არ ჰქონდათ მინიჭებული.

ამ პერიოდში სასამართლო ზედამხედველობის განხორციელებას უფრო მეტი მნიშვნელობა მიეცა. სულ უფრო აშკარა გახდა საპროკურორო ზედამხედველობის პრაქტიკის ცენტრალიზაციის ტენდენცია.

სრულიად რუსეთის იუსტიციის მოღვაწეთა მე-5 ყრილობამ, რომელიც 1924 წლის 10—15 მარტს გაიმართა, მოისმინა ამხ. კრილენკოს მოხსენება სასამართლო ზედამხედველობის შესახებ. მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ ცალკეულ საქმეთა გამოთხოვა და ზედამხედველობა თავმოყრილი უნდა ყოფილიყო პროკურატურის ორგანოში. ამასთან, დაწესდა გამოთხოვნი საქმეთა გადასინჯვის შეზღუდული ვადები. პლენუმში პროტესტის შეტანის უფლება მხოლოდ გუბერნიის პროკურორებს ჰქონდათ.

რადგან სასამართლო ზედამხედველობის განხორციელება ამ პერიოდში ბევრ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, ყრილობაზე წამოაყენეს ზედა-

³ СУ, 1922 г., № 69, стр. 902.



მხედველობის პროცედურის გადავიღების წინადადება, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ თუ პროკურორის პროტესტს საოლქო სასამართლოს პლენუმი იზიარებდა, საქმე საბოლოოდ დამთავრებულად ითვლებოდა და მხოლოდ ამ დადგენილების ასლი ეგზავნებოდა უმაღლეს სასამართლოს. თუ პროკურორი და საგუბერნიო სასამართლოს პლენუმები ვერ შეთანხმდებოდნენ, საქმე აუცილებლად იგზავნებოდა უმაღლეს სასამართლოში.

ყრილობამ მოითხოვა მკაცრად განსაზღვრულიყო სასამართლო ზედამხედველობის წესი და მისი შესრულება ცენტრალურ პროკურატურას და უმაღლეს სასამართლოს დაკისრებოდა. წინადადებას იძლეოდნენ, საქმის გამოთხოვის უფლება მისცემოდათ რესპუბლიკის პროკურორებსა და მათს მოადგილეებს, აგრეთვე უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს.⁴

სრულიად საკავშირო ცაკის 1928 წლის 17 დეკემბრის დადგენილებამ მოახდინა სასამართლო ზედამხედველობის დეცენტრალიზაცია. საგუბერნიო სასამართლოებს უფლება მიეცათ გაეუქმებინათ სახალხო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული განაჩენები გუბერნიის პროკურორის და გუბერნიის სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტის საფუძველზე.

რბფსრ-ს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შეცვლის შემდეგ ეს უფლებები მიენიჭათ საოლქო, საოკრუგო, სამხარეო პროკურორებსა და ამ სასამართლოების თავმჯდომარეებს.

ამის თაობაზე პროფ. მ. სტროგოვიჩი წერს:

„სასამართლო ზედამხედველობის დეცენტრალიზაციების წესმა უზრუნველყო უსწორო განაჩენების სწრაფად გადასინჯვა და მისი ღირსება სწორედ ეს იყო. მაგრამ შემდეგ გამოჩნდა ამ წესის არსებითი მანკი: ზომაზე მეტად იწყეს კანონიერ ძალაში შესული განაჩენების გადასინჯვა, ხშირად ეს უსაფუძვლოდაც ხდებოდა. ბევრი ასეთი განაჩენი ან უქმდებოდა ან მასში ცვლილება შეჰქონდათ. ამის შედეგად განაჩენების სტაბილურობა გარკვეულად შეირყა.“⁵

ვერ დავეთანხმებით პროფ. მ. სტროგოვიჩის მოსაზრების მეორე ნაწილს. საქმე ის არის, რომ განაჩენების სტაბილურობის ასეთ გაგებას შეიძლება შედეგად ის მოჰყვეს, რომ იგი კანონიერების დაცვის ინტერესებზე მაღლა დადგეს. არ შეიძლება ლაპარაკი განაჩენების სტაბილურობის შესახებ, თუ კანონიერ ძალაში შესული განაჩენები კანონთან შესაბამისობის და დასაბუთებულობის თვალსაზრისით საეჭვოა. იგი აუცილებლად უნდა გაუქმდეს პროცესის რომელიც გნებავთ საკონტროლო სტადიაში და რაც უფრო ჩქარა მოხდება ეს, მით უკეთესი იქნება საქმისთვის.

განაჩენების სტაბილურობის მომიზეზებით ხშირად არ უქმდებოდა ძალაში შესული უკანონო სასამართლო დადგენილებები. ასეთი მოსაზრების გამო ისიც ხდებოდა, რომ სასამართლოს დადგენილებების გადასინჯვას ზედამხედველობის და საკასაციო წესით ერთმანეთს უპირისპირებდნენ. ცნობილია, რომ საკასაციო წესით საქმეების გადასინჯვა ნაკლებ დეცენტრალიზებული როდია, მაგრამ არავის გამოუთქვია მოსაზრება, თითქოს ასეთ დეცენტრალიზაციას ზიანი მოაქვს განაჩენების სტაბილურობისათვის ანდა ვინმე ზედმეტ თავისუფლებას იჩენდეს და აუქმებდეს განაჩენებს.

⁴ იხ. Резолюции V Всероссийского съезда деятелей советской юстиции, М., НКЮ РСФСР, 1924 г., стр. 8—9.

⁵ იხ. М. С. Строгович, Курс Советского уголовного процесса, т. 2, стр. 439, М., 1970 г.



სასამართლო ზედამხედველობის ეს ერთგვარად დეცენტრალიზებული წესი შეიცვალა სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონით, რომელიც უმაღლესმა საბჭომ მიიღო 1938 წლის 16 აგვისტოს.

ძალაში შესულ სასამართლო განაჩენების ზედამხედველობის წესით გადასინჯვა ამ კანონით კვლავ ცენტრალიზებულ იქნა. იმ პირთა რიცხვი, ვისაც უფლება ჰქონდა ზედამხედველობის წესით გაეპროტესტებინათ სასამართლოს განაჩენი, კანონით მკაცრად განისაზღვრა. ამის უფლება მიენიჭათ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორებს, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეებს. მხარეებისა და ოლქების პროკურორებს, ისევე როგორც სამხარეო და საოლქო სასამართლოების თავმჯდომარეებს, უფლება არ ჰქონდათ ზედამხედველობის წესით გაეპროტესტებინათ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენები.

1938 წლის კანონმა გააუქმა სამხარეო, საოლქო სასამართლოების პრეზიდენტები და პლენუმები. პლენუმი დატოვებულ იქნა მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში.

ზედამხედველობის წესით საქმეთა განხილვა დაეკისრათ სათანადო კოლეგიებს, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმს. ამ კანონმა მნიშვნელოვნად შეამცირა ადგილობრივი სასამართლოების როლი სასამართლო შეცდომების გამოსწორებაში.

შემთხვევითი არ იყო, რომ სამამულო ომის წლებში, აგრეთვე ომის შემდგომ პერიოდში განსაკუთრებით თავი იჩინა ზედამხედველობის წესით სისხლის სამართლის საქმეთა ზედამხედველობის წესით განხილვის დეცენტრალიზაციის ტენდენციებმა. ამის შემდგომ მიღებულ კანონებში გათვალისწინებულია ეს ტენდენციები.

მშენებლობის ძირითადი ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის

კაპიტალურ მშენებლობაზე შემკვეთისა და მოიჯარადრის ურთიერთობა მოწესრიგებულია საიჯარო ხელშეკრულებით. ბოლო დრომდე ხელშეკრულების ეს პრაქტიკა საკმარისად ეფექტური არ იყო. იგი საკმარისად არ ითვალისწინებდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებიდან გამომდინარე ურთიერთობას უხისმგებლობის საკითხებს. სანქციები იშვიათად გამოიყენებოდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის № 389 დადგენილებით 1970 წლიდან სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები თანდათანობით უნდა გადავიდნენ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე. ამასთან დაკავშირებით უნდა შეიცვალოს მოცემული სამშენებლო ორგანიზაციების სამართლებრივი მდგომარეობა შემკვეთ ორგანიზაციებთან, მათი ურთიერთობაც.

სამშენებლო წარმოებისათვის გადასაწყვეტი საკითხები (ტექნიკური დოკუმენტაციის დროულად წარმოდგენა, მშენებლობისათვის გამოყოფილი ნაკვეთის გადაცემა და ნაგებობათა აღება ამ უბანზე, დაფინანსების საკითხი, მოწოდებათა მიწოდება და სხვა), უპირველესად, უნდა მოაწესრიგონ შემკვეთმა ორგანიზაციებმა.

აჭარის ასსრ-ში განლაგებულ შემკვეთ ორგანიზაციებში ტრადიციად იქცა სახელშეკრულებო ვალდებულებათა

დარღვევა მოიჯარადრე ორგანიზაციასთან — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საერთო მშენებლობის № 5 ტრესტთან ურთიერთობაში. განსაკუთრებით ეს ეხება ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოდგენას, მოწყობილობათა მიწოდებას და სხვ. თუ შემკვეთი ორგანიზაციები არ გადაწყვეტენ ამ საკითხებს, მშენებლები ვერ შეძლებენ დაიწყონ ან გააგრძელონ მუშაობა, იძულებული გახდებიან დაარღვიონ სამშენებლო-სამონტაჟო ვადები. ყოველივე ამას შედეგად მოსდევს შემკვეთთა საპასუხო სანქციები. არის თუ არა აქედან გამოსავალი? საჭიროა განუხრელად ავამაძლოთ შემკვეთი ორგანიზაციების პასუხისმგებლობა სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისათვის. ეს გაზრდის მშენებელთა პასუხისმგებლობას, სამშენებლო სამუშაოების ვადაზე შესრულებას, ობიექტების ექსპლუატაციაში დროულად გადაცემას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 24 დეკემბრის № 973 დადგენილებით დამტკიცებული „წესები კაპიტალურ მშენებლობაზე საიჯარო ხელშეკრულებათა დადების შესახებ“ ამომწურავად უპასუხებს კაპიტალურ მშენებლობაში მომწოდებელ პრობლემათა გადაწყვეტის საკითხებს.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საერთო მშენებლობის № 5 ტრესტის იურიდიულმა სამსახურმა 1972 წელს გარკვეულ წარმატებებს მიიღწია. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

1970 წლის 23 დეკემბრის № 1025 დადგენილების — „სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ და საიჯარო ხელშეკრულებათა დადების ახალი წესების წარმოებაში პრაქტიკულად გატარებისა და დანერგვის ღონისძიებების“ — პრაქტიკულად განხორციელებას.

საიჯარო ხელშეკრულებათა დადების ახალი წესებით გათვალისწინებული მე-13, მე-14 და მე-15 მუხლების დარღვევისათვის № 5 ტრესტის იურიდიულმა სამსახურმა შემკვეთ ორგანიზაციებს (ციტრუსკომბინატი, კინოგაქირავების კანტორა, ნავთობბაზა, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის წარმოების მშენებელ საწარმოთა დირექცია და სხვ.) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის საშუალებით გადაახდევინა ჯარიმა 2500 მანეთის რაოდენობით. ამ წესების მე-13 მუხლით შემკვეთი ორგანიზაციების მიერ მოიჯარადრისათვის სამუშაო ნახაზებისა და სხვა დოკუმენტაციის გადაცემის ვადად დადგენილია არაუგვიანეს 1 სექტემბერი, რაც წინ უძღვის მომავალ დაგეგმარებულ წელს. უმეტეს შემთხვევაში, ამ მოთხოვნას შემკვეთი ორგანიზაციები არ ასრულებენ. შეიძლება შეგვეკითხონ, რატომ შეგვაქვს ობიექტები გეგმაში, თუ ისინი არ არიან უზრუნველყოფილი ტექნიკური დოკუმენტაციებით? საქმე ის არის, რომ, თუ ობიექტებს გეგმაში არ გავითვალისწინებთ, შესამჩნევად შემცირდება ტრესტში სამშენებლო-სამონტა-

ჟო სამუშაოთა მოცულობა. ყოველივე ეს იქამდე მიგვიყვანს, რომ არ იქნება გამოყენებული ყველა რესურსი ტრესტის სამშენებლო ორგანიზაციებისა, შემცირდება ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მუშა-მოსამსახურეთა კადრების რიცხვი. უფრო მეტიც: ასეთი გადაწყვეტილება არ უპასუხებს საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობის განვითარების მოთხოვნებს. ყოველივე ამას კი აუცილებლად მოჰყვება საჭირო სამრეწველო, საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის ვადების გაჭიანურება. ამიტომ, მშენებლები, იძულებულნი არიან მიიღონ ობიექტები, რომლებიც თავისდროულად არ არიან უზრუნველყოფილი ტექნიკური დოკუმენტებით. რა შედეგი მოჰყვება ამას? წუნი საამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებში, გეგმით გათვალისწინებული ობიექტების ექსპლუატაციაში გაშვების ვადების დარღვევა და სხვ., რაც უარყოფით გავლენას ახდენს სამშენებლო ეკონომიკაზე.

ვფიქრობთ, ამ საკითხს სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ სათანადო ორგანოებმა, რათა შეიქმნას რეალური საფუძველი იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს მშენებლობის ძირითადი ეკონომიური მაჩვენებლები.

მ. დოლიძე,

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საერთომშენებლობის № 5 ტრესტის იურისკონსულტი.

ქართული მენეჯიკების აგარული პოლიტიკის კრახი

ბ. ლაბარტაშვილი

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე საქართველო მეფის რუსეთის ჩამორჩენილი აგრარული მხარე იყო. თუმცა მისი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ბუნებრივი პირობები და ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა მეტად ხელსაყრელი იყო, ყურადღება არ ექცეოდა მევენახეობის, მეჩაიეობის, მეხილეობის, მეცხვარეობის განვითარებას.

რუსეთში ბატონყმობის გაუქმებას, რასაც შემდეგად მოჰყვა საგლეხო რეფორმის გატარება, უდიდესი სოციალ-ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ამ რეფორმამ ვერ გაამართლა მშრომელი გლეხობის იმედი. „მართალია, გლეხის პიროვნება განთავისუფლებულ იქნა მებატონის თვითნებობისაგან, მაგრამ ამავე დროს გლეხის მარჩენალი მიწა, მისი ცხოვრების უმთავრესი, თითქმის ერთად-ერთი წყარო, მებატონის სრულ საკუთრებად იქნა აღიარებული“¹.

რუსეთში საგლეხო რეფორმამ ვერ მოახდინა სოფლად ბატონყმური წყობილების ლიკვიდაცია, მშრომელი გლეხობა კვლავ უმიწაწყლოდ დარჩა. „ბატონყმური ურთიერთობა, სიტყვით ვითომც გაუქმებული თვითმპყრობელი მეფის მიერ, ნამდვილად ხელახლა დამკვიდრდა სოფლის ცხოვრებაში“².

საქართველოში, სადაც ბატონყმობა უფრო მოგვიანებით გაუქმდა, ვიდრე რუსეთში, მეფენა და ხაზინას 3 862 728 ჰექტარი მიწა ეკუთვნოდა, რაც მიწის მთელი ფართობის 57,6 პროცენტს შეადგენდა. მეფისა და ხაზინის შემდეგ მიწის ყველაზე დიდი მფლობელები იყვნენ ქართველი თავადები და აზნაურები. რეფორმის შემდეგ მათ 2 091 354 ჰექტარი მიწა ჰქონდათ. მართო თბილისის გუბერნიაში 567 მსხვილი მემამულე იყო, რომელთაგან თვითონი 500 დესეტინაზე მეტ მიწას ფლობდა. გლეხობის კუთვნილი მიწის რაოდენობა სულ 418 110 ჰექტარს უდრიდა, რაც სასოფლო-სამეურნეო მიწების საერთო ფართობის 6,4 პროცენტს შეადგენდა. ამ მიწების დიდი ნა-

წილიც გლეხთა ზედაფენის — კულაკობის ხელში იყო.³ მაშინ როცა საქართველოში მთელი მოსახლეობის 80% მეტს სოფლის მოსახლეობა შეადგენდა.

საგლეხო რეფორმის გატარების შემდეგ ქართველ გლეხობას კიდევ უფრო შეუმცირდა იმ მიწების რაოდენობა, რომელთაც რეფორმამდე იყენებდა. უმიწაწყლო გლეხობა იძულებული იყო კაბალურ პირობებში იჯარით აეღო მიწის ნაკვეთი მემამულეთაგან. ამდენად, საგლეხო რეფორმის გატარების შემდეგ ქართველი გლეხობა უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. რეფორმის შემდეგ გადასახადების ზრდა მძიმე ტვირთად აწვევოდა ყოველმხრივ შევიწროვებულ მშრომელ გლეხობას და უკიდურესად ამწვევებდა მათს ეკონომიურ მდგომარეობას, რითაც სარგებლობდნენ ვაჭარ-მევენახეები და კულაკობა. მათ სულ მუქთად უვარდებოდათ ხელში გადატაკებული გლეხების კარმიდამო.

საგლეხო რეფორმის შემდეგ სულ უფრო ძლიერდებოდა გლეხთა უკმაყოფილება. ქართველ გლეხობას კარგად ესმოდა, რომ მემამულეთა მიწათმფლობელობის ლიკვიდაცია და მიწებით მათი დაკმაყოფილება არსებული წყობილების დაუმსობლად შეუძლებელი იყო. ამიტომაც ქართველი მშრომელი გლეხობა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ გამოსვლებში. 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ ვერ დააკმაყოფილა მშრომელი გლეხობის სასუკვარი ოცნება, ვერ მისცა მათ მიწა, რადგან ამ რევოლუციის გამარჯვების შედეგად საქართველოში ორხელისუფლებიანობა შეიქმნა. ბურჟუაზიულმა დროებითმა მთავრობამ მეფის ნაცვლის მმართველობის მაგვირად შექმნა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები, სადაც ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს მენშევიკებმა.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან დაახლოებით 8

¹ ფ. მახარაძე, თხზულებანი, ტ. VII, 1960 წ., გვ. 30.

² იქვე, გვ. 72.

³ საქართველოს ისტორია, 1966 წ., გვ. 216—217.



თვე გავიდა. რუსეთში გაიმარჯვა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც მოსპო მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობა, საბოლოოდ გადაწყვიტა აგრარული საკითხი მშრომელი გლეხობის სასარგებლოდ. მიწაზე კერძო საკუთრება მოისპო. მისალმდნენ იყო, რომ ქართველი მშრომელი გლეხობაც ისარგებლებდა ამ დიდი მონაპოვრით, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში სოციალისტურმა რევოლუციამ მოგვიანებით გაიმარჯვა. ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა, კონტრრევოლუციურმა მენშევიკურმა მთავრობამ, უცხო სახელმწიფოთა მხარდაჭერით, საქართველო მოსწყვიტა საბჭოთა რუსეთს და სამი წლით შესძლო შეენარჩუნებინა ანტი-ხალხური ძალაუფლება.

თუ დროებითი მთავრობის ბატონობის დროს ქართველი მენშევიკები ერთიანი და განუყოფელი რუსეთის იდეას, ესე იგი, საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში ღარჩენის იდეას იცავდნენ, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე ერთბაშად შეცვალეს პოლიტიკა და მიზნად დაისახეს რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფა. ქართველმა მენშევიკებმა ყველაფერი გააკეთეს ამისათვის, საქართველო მოსწყვიტეს საბჭოთა რუსეთს და არსებითად ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა კოლონიალად გადააქციეს.

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა პარტიებმა: მენშევიკებმა, დაშაკებმა და მუსსაკეტლებმა რუსეთში დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების ერთი კვირის შემდეგ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის ნაცვლად 1917 წლის 15 დეკემბერს თბილისში შექმნეს ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელმაც თავისი თავი დამოუკიდებელ სამხარეო ხელისუფლებად გამოაცხადა. ამიერკავკასიის კომისარიატს კარგად ესმოდა, რომ მიწის ღენისური დემოკრატები იდეა საქართველოს მშრომელი გლეხობის მხარდაჭერას პოვებდა. საბჭოთა რუსეთის შემყურე ამიერკავკასიის მშრომელი მოსახლეობა აუცილებლად მოისურვებდა, საბჭოთა რუსეთის მსგავსად მშრომელთა ინტერესებიდან გამომდინარე გატარებულიყო რადიკალური ღონისძიებები, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა — მიწის ნაციონალიზაცია. კომისარიატს ისიც კარგად ესმოდა, რომ არსებული მემამულური მიწათსარგებლობის ინსტიტუტის ხელშეუხებლობა და მშრომელი გლეხობის უმიწოდ დატოვება ყოვლად შეუძლებელი იყო. ამას, ჭერ ერთი, სამხარეო მთავ-

რობის მიმართ ამიერკავკასიის მშრომელი მოსახლეობის უკმაყოფილება მოპყვებოდა და, მეორე, — ამიერკავკასიაში მომწიფდებოდა რევოლუციური სიტუაცია. ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა კომისარიატმა 1917 წლის 16 დეკემბერს გამოსცა „დებულება სახაზინო, ყოფილი საუფლისწულო, საეკლესიო-სამონასტრო, იურიდიულ პირთა და კერძო მიწათმფლობელთა მიწების საადგილმამულო კომიტეტებისათვის გადაცემის შესახებ“ ამიერკავკასიის კომისარიატის 1917 წლის 16 დეკემბერს გამოცემულ მიწის შესახებ „დებულების“ პირველ მუხლში სწერია: „რათა უზრუნველყოფილ იქნას მიწით უმიწაწყო და ცოტა მიწის მქონე მშრომელი მიწის მომუშავე — ყველა სახაზინო, ყოფილი საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო, იურიდიული და კერძო პირთა მიწებიდან განსაზღვრულ ნორმაზე ზევით, რომლის რაოდენობა გადაწყვეტილი იქნება სადგებოთ, დგება ამიერკავკასიისათვის საადგილმამულო ფონდი, რომელიც გადადის საგანაპირო და საგუბერნიო ან საოლქო საადგილმამულო ფონდი, რომელიც გადადის საგანაპირო და საგუბერნიო ან საოლქო საადგილმამულო კომიტეტების განკარგულებაში“.⁴

როგორც ვხედავთ, „დებულებაში“ ხელუხლებლად დატოვა მიწაზე კერძო საკუთრების უფლება, კერძო მიწათმფლობელებს ჩამოართვა მიწის ის ნაწილი, რომელიც განსაზღვრულ ნორმას აღემატებოდა. ეს ნორმა კი იმთავთვე განუსაზღვრელი იყო. „დებულების“ მეცხრე მუხლში სწერია: „კითხვის განხილვა იმის შესახებ, თუ რამდენი მიწა უნდა გადაეცეს საადგილმამულო კომიტეტებს, რამდენი იქნეს დატოვებული მემანაპირო ხელში, რამდენი უნდა მიეცეს დასამუშაველად მიწის მუშას და აგრეთვე რამდენი მიწა უნდა იქნას დატოვებული გაუნაწილებელი და საზოგადოებრივი მეთურნობის საწარმოებლათ და რამდენი გადაეცეს ერობებს — სამაზროს, საგუბერნიოს და ამიერკავკასიის, როცა ერობა შემოდებული იქნება, ენიჭება საგანაპირო და საგუბერნიო საადგილმამულო კომიტეტებს. საბოლოო გადაწყვეტა კი ენდობა ცენტრალურ მთავრობას“.⁵

აქედან გამომდინარე, მანამ, სანამ ეს ნორმა არ დადგინდებოდა, მემამულეთა და სხვა კერძო მესაკუთრეთა მიწათმფლობელობა არ ისპობოდა, მაშასადამე, ბატონყმური ურთიერთობა სოფლად ხელუხლებელი რჩებოდა. აქვე საჭიროა ისიც აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის

4 გაზეთი „ერთობა“, 1917 წ., № 221.

5 გაზეთი „ერთობა“, 1917 წ., № 221.



კომისარიატი, რომელიც კონტრრევოლუციური პარტიების წარმომადგენლებისაგან იყო დაკომპლექტებული, შეიცდებოდა მემამულეებისა და სხვა კერძო მიწათმფლობელთათვის ჩამოსართმევი მიწის ისეთი ნორმის დადგენისას, რომელიც მათ რაც შეიძლება მეტი მიწების დარჩენის საშუალებას მისცემდა.

1917 წლის 16 დეკემბრის „დებულებაში“, რაც მთავარია, არ იყო მითითებული, ჩამორთმეული მიწები უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე მშრომელებს სასყიდლით მიეცემოდათ თუ უსასყიდლოდ. ბუნებრივია, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელიც მემამულეთა და კერძო მიწათმფლობელთა ინტერესებს იცავდა, ცდილობდა ჩამორთმეული მიწების მეპატრონეებისათვის საფასური მიეცა, მაგრამ ამის საჭაროდ აღიარება არ შეეძლო, რადგან ამას მშრომელი გლეხობის უკმაყოფილება, სამხარეო მთავრობისადმი უნდობლობა, სოფლად რევოლუციური მოძრაობის გაძლიერება და გამძაფრება მოჰყვებოდა.

ამიერკავკასიის კომისარიატის 1917 წლის 16 დეკემბრის „დებულებით“, ჩამორთმეული მიწებიდან შექმნილი საადგილმამულო ფონდი გადადიოდა საადგილმამულო კომიტეტების განკარგულებაში, რომელთაც უფლება ჰქონდათ მიწის ფონდის განაწილებისა და განკარგვისა. მაგრამ დებულებაში არაფერი იყო ნათქვამი საადგილმამულო კომიტეტების შექმნის საკითხზე, მათს შემადგენლობაზე, წევრების არჩევითობაზე. ბუნებრივია, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი ამ კომიტეტებს ბურჟუაზიისა და მემამულეთა ინტერესების დამცველი პირებისაგან დააკომპლექტებდა. გაზეთი „ერთობა“ 1918 წლის 8 მარტის მოწინავე სტატიაში წერდა: „არის ისეთი კომიტეტები (ლაბარაკია „დებულებით“ გათვალისწინებულ საადგილ-მამულო კომიტეტებზე), რომელშიც მემამულეებს მოუკალათებიათ“⁶. მასხადამე, დებულებით, მშრომელი გლეხობა ფაქტურად მოწყვეტილი იყო მიწის საკითხის თვის სახარგებლოდ გადაწყვეტის შესაძლებლობას.

1917 წლის 19 დეკემბრის დებულება სელუხლებლად ტოვებდა მემამულეთა და სხვა კერძო მსხვილ მესაკუთრეთა მიწათმფლობელობას ფ. მახარაძე წერდა: „ამიერკავკასიის კომისარიატის „დებულება“ სელუხლებლად სტოვებს იყო მე საკუთრების უფლებას და ამ წმიდათაუწყისე ინსტიტუტის ბეღის შეხებას ვერ ბედავს“⁷.

ქართველი მენშევიკების ლიდერი ნ. უორდანი 1918 წლის 15 თებერვალს ამიერკავკასიის სემის სხდომაზე აღიარებდა: „ჩვენში კი აგრერთი წელი გადის და ხალხს არ მიუღია ის, რის გულისთვის ის ახდენდა რევოლუციას: დღემდე ვერ მოხერხდა აგრარული საკითხის გადაჭრა, მართალია, უკვე გამოცა დეკრეტი მიწის შესახებ, მაგრამ იგი დღემდის მხოლოდ ქაღალდზე ღარჩა და ცხოვრებაში დღემდის არ გატარებულა“⁸.

1917 წლის 19 დეკემბრის „დებულების“ მიზანი იყო მემამულეთა და სხვა მსხვილ მიწათმფლობელობა მიწების კონფისკაციის ბუნდოვანი და არაფრისმთქმელი, მაღალფარდოვანი ფრაზეებით მშრომელი გლეხობის მოტყუება, დაშოშმინება და რევოლუციური მოძრაობისაგან ჩამოცილება. „დებულება ფაქტურად დაკლარაცია იყო. მან ვერ დაკმაყოფილა გლეხთა მოთხოვნები“⁹.

ამიერკავკასიის სამხარეო კომისარიატის ანტიხალხური აგრარული პოლიტიკით დიდა უკმაყოფილების გამო ამიერკავკასიის უმრავლეს რაიონებში დაიწყო გლეხთა შეიარაღებული გამოსვლები მემამულეთა წინააღმდეგ, მათი მიწების ხელში ჩასაგდებად. ამასთან ერთად ბოლშევიკური ორგანიზაციების გავლენით იზრდებოდა მშრომელთა რევოლუციური განწყობილება. ამიერკავკასიის კომისარიატმა, გათვალისწინა შექმნილი მდგომარეობა და, მშრომელთა რევოლუციური გამოსვლების წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად, თბილისში 1918 წლის 10 თებერვალს მოიწვია ამიერკავკასიის სემი „პარლამენტი“. რომელმაც ამიერკავკასია საბოლოოდ მოსწყვიტა საბჭოთა რუხეთს. გლეხთა რევოლუციური გამოსვლებით შეშინებულმა ამიერკავკასიის სემმა 1918 წლის 7 მარტს მიიღო დებულება „მიწის მფლობელთა ხელში დატოვებული მიწის ნორმისა და საადგილმამულო რევორმის განსახორციელებელი ზომების“ შესახებ.

1918 წლის 7 მარტის „დებულებაში“ ხწერია: „ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ 1917 წლის 16 დეკემბერს შემუშავებული დებულების სახაზინო, საუფლისწულო, სამონასტრო და კერძო მიწების კომიტეტებზე გადაცემის შესახებ, შესავსებად კომისიამ დაადგინა:

1. ყველა კერძო მეპატრონეთა მიწები, ვარდა იმ ზომისა, რაც აღნიშნულია შემდეგ სტატიაში (2) ჩამოერთმევა მეპატრონეთ და სრულად უფასოდ გადავა საადგილ-მამულო

⁶ გაზეთი „ერთობა“, 1918 წ., № 54.
⁷ ფ. მახარაძე, თხზულებანი, ტ. VII, 1930 წ., გვ. 61.
⁸ გაზეთი „ერთობა“, 1918 წ., № 40.
⁹ თ. უდენტო, საკლემურნო წყობილების გამარჯვება საქართველოში, 1967 წ., გვ. 41.



ფონდში, რომელიც საადგილმამულო კომიტეტების განკარგულებაში იქნება.

2. ჩამორთმეულ მამულების მეპატრონეთ დაუტოვებენ:

ა) 7 დესეტინას, თუ ამ რაიონში ეწვეიან ძვირფას კულტურის მეურნეობას.

ბ) 15 დესეტინას, უკეთეს მართო პურის თესვას მისდევენ ამ რაიონში.

გ) 40 დესეტინას, უკეთეს შინაურ საქონლის მოშენებას მისდევენ...

შენიშვნა: 1. საოლქო და საგუბერნიო საადგილმამულო კომიტეტებს უფლება ეძლევათ, ადგილობრივი პირობების მიხედვით ამ სტატის ძალით მიწის მეპატრონეზე დატოვებულ მიწების ზომა გააღიაროს; როცა პირველი კატეგორიის მამული ჩამორთმევა ამ დესეტინამდე, როცა მეორე კატეგორიის 20 დესეტინამდე და მესამე — 50 დესეტინამდე¹⁰.

როგორც ვხედავთ, ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 7 მარტის „დებულება“ განსაკუთრებით მისი მეორე მუხლის № 1 შენიშვნა თითქმის ხელუხლებლად ტოვებდა მემამულურ და, საერთოდ, კერძო მიწათმფლობელობას, მაგრამ „დებულება“, ასე თუ ისე, მაინც წყვეტდა მემამულეთა და სხვა კერძომიწათმფლობელთათვის მიწების ჩამორთმევის საკითხს, მაგრამ იგი არ განსაზღვრავდა უმიწაწყო და მცირე მიწის მქონე გლეხობისათვის გადასაცემი მიწის ოდენობასა და წესს. ამრიგად, ვერც ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 7 მარტის „დებულებაში“ დაკმაყოფილა მშრომელი გლეხობის სანუკვარი ოცნება მიწებით უზრუნველყოფის შესახებ. 5. უორდანიამ საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 24 ივნისის სხდომაზე განაცხადა: „ჩვენ აგრარული კანონი გვაქვს, მაგრამ ის ცალმხრივია, რადგანაც იქ აღნიშნულია, თუ ვის რამდენი ჩამორთვას და რამდენი დაურჩევს; მაგრამ ვის მიეცეს — გლეხს თუ სახელმწიფოს, ამის შესახებ უნდა გამოიკვას კანონი“¹¹.

ამიერკავკასიის სეიმი, ისევე როგორც ამიერკავკასიის კომისარიატი, ბურჟუაზიისა და მემამულეთა ინტერესების დამცველი იყო. ამის ნათელი დადასტურებაა ამიერკავკასიის სეიმის მიერ 1918 წლის 2 მაისს გამოცემული კანონი, რომლის თანახმად ჩამორთმეული მამულები ან მათი ნაწილი, რომლებსაც განსაკუთრებული სახალხო სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა, საოლქო ან საგუბერნიო მიწის გამგე-

ობის განკარგულებით დროებით შეიძლება დატოვებოდა წინანდელ მფლობელებს.

როგორც ვხედავთ, ამიერკავკასიის სეიმი ყველაფერს აკეთებდა მიწაზე კერძო საკუთრების უფლების შენარჩუნებისათვის, მემამულური საკუთრების დაცვისათვის, იმისათვის, რომ მშრომელ გლეხობას საბოლოოდ არ მისცემოდა მიწა.

ამიერკავკასიის სეიმის აგრარულ და ეროვნულ ანტიხალხურ პოლიტიკას ამიერკავკასიის მშრომელი გლეხობის დიდი უკმაყოფილება მოჰყვა, მან შუღლი და მტრობა ჩამოაგდო ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხებს შორის. პაღე, 1918 წლის 26 მაისს „ამიერკავკასიის სეიმა“ არსებობა შეწყვიტა, „ამიერკავკასიის ფედერაცია“ დაიშალა. მის ნაცვლად სამი დამოუკიდებელი რესპუბლიკა შეიქმნა — საქართველოსი, სომხეთისა და აზერბაიჯანისა. ქართველი ხალხის უბოროტესმა მტრებმა — მენშევიკებმა მოტყუებით, მოღალატურად ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება, საქართველო „დამოუკიდებელ რესპუბლიკად“ გამოაცხადეს და შექმნეს საქართველოს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მენშევიკური მთავრობა, სინამდვილეში კი ქვეყანა ევროპის იმპერიალისტური ქვეყნების კოლონიად აქციეს.

მენშევიკურმა მთავრობამ ხელუხლებლად დატოვა მშრომელი მოსახლეობის უსასტიკესი ჩაგვრის ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატი. სოფლად მენშევიკები მეფისდროინდელი რუსეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის სტოლიპინის საყოველთაოდ ცნობილ ანტიხალხურ რეფორმას ატარებდნენ. ს. ორჯონიკიძის სიტყვით, „მიწის საკითხმა საქართველოში თავისებური გადაწყვეტა მიიღო ჯერ კიდევ მენშევიკების დროს, რომლებმაც ამოცანად დაისახეს განთქმული სტოლიპინის რეფორმის გატარება“¹². იგი, როგორც პროფ. ბ. გუგუშვილი წერს, მიზნად ისახავდა „მიწაზე კერძო საკუთრების არა მოსაზობას, არამედ რევოლუციის მეოხებით ძირითადად შერყეული ამ ინსტიტუტის განმტკიცებას“¹³.

მენშევიკური მთავრობის აგრარული პოლიტიკაც მემამულეთა, მსხვილ მიწათმფლობელთა ინტერესებს, მათს საკუთრებას იცავდა. მშრომელი გლეხობა კვლავ უმიწოდ დარჩა. მენშევიკური მთავრობის ანტიხალხურ აგრარულ პოლიტიკას და სახალხო მეურნეობის ნგრევის გაძლიერებას შედეგად მოჰყვა მუშა-

10 გაზეთი „ერთობა“, 1918 წ., № 56.
11 გაზეთი „ერთობა“, 1918 წ., № 130.
12 გ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, ტ. I, 1957 წ., გვ. 247.
13 ბ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება



თა კლასისა და მშრომელი გლეხობის შეიარაღებული გამოსვლები არსებული წყობილების წინააღმდეგ. მშრომელი მასების რევოლუციური გამოსვლებით შეშინებულმა მენშევიკურმა მთავრობამ 1919 წლის 28 იანვარს მიიღო „სახელმწიფო კანონი სახელმწიფო საადგილმამულო ფონდიდან მამულების მცხოვრებთათვის კერძო საკუთრებად მიცემის შესახებ“.

დებულებით გათვალისწინებული იყო, რომ მემამულეებსა და სხვა მსხვილ მიწათმფლობელებს მიწები უნდა ჩამორთმეოდათ და ისინი საადგილმამულო კომიტეტებს გადასცემოდათ, რათა ამ კომიტეტებს იგი მშრომელი გლეხობისათვის გადაეცათ. გაზეთი „ერთობა“ წერდა: „სახელმწიფო საადგილმამულო ფონდის მამულეები მიეცემით სოფლის მცხოვრებთ კერძო საკუთრებად“¹⁴. სინამდვილეში მენშევიკების აგრარული რეფორმა არ იყო რეალური, თვალს უხვევდა მშრომელ გლეხობას.

ქართველ თავადაწნაურობას კაპიტალიზმის განვითარების შედეგად უჭირდა ძველებურად ცხოვრება. უსასსრობის გამო ისინი იძულებულნი იყვნენ თავიანთი მიწების დიდი ნაწილი ბანკში დაეგირავებინათ. წლების მანძილზე ამ გზით ბანკიდან აღებული და დაუფარავი სესხს ვალად ედო ქართველ თავადაწნაურობას. მენშევიკური მთავრობამ იკისრა მემამულეთა საბანკო ვალების დაფარვა. დაგირავებული მიწების შესყიდვა და მათი 1919 წლის 28 იანვრის კანონით გათვალისწინებული საადგილმამულო კომიტეტების განკარგულებაში გადაცემა, მაგრამ იგი გლეხობას საკუთრებად კი არ გადაეცემოდა, არამედ მიეყიდებოდა. ამის ნათელი დადასტურებაა კანონის მე-17 მუხლი, სადაც სწერია:

„მცხოვრებთა შორის ვასანაწილებელი მიწა გაიყიდება იმათზე, ვისაც მიწის მიღების უფლება აქვს, რათა ამ გზით დაფარული იქნას ხარჯები, რომლებიც სახელმწიფოს დაეკისრება საადგილმამულო ბანკების ვალების თავისთავზე გადატანით. მიწების გაშრობის და მორწყვის, გადასახლების და დასახლების. აგრარული რეფორმის განხორციელების და მასთან შეკავშირებული აუცილებელ საქიროებათა დაკმაყოფილების გამო და აგრეთვე ცალკე ფონდის დაარსებით, რომელიც საჭირო იქნება აუცილებელ სასოფლო-სამეურნეო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად“¹⁵.

¹⁴ „ერთობა“, 1918 წ., № 282.
¹⁵ გაზეთი „ერთობა“, 1918 წ., № 288.
¹⁶ გაზეთი „ერთობა“, 1918 წ., № 138.
¹⁷ კ. ჩარკვიანი, ქართველი მენშევიკების ანტიხალხური ეკონომიური პოლიტიკის შესახებ, 1970, გვ. 93.

როგორც ვხედავთ, სინამდვილეში მენშევიკური მთავრობას მემამულეთა და სხვა მსხვილ მიწათმფლობელთათვის მიწები არ ჩამოურთმევია. ფაქტიურად, მემამულეებმა თავიანთი უვარგისი და აუთვისებელი მიწები გაყიდეს, ხოლო მათი ინტერესების დამცველმა მენშევიკურმა მთავრობამ ეს მიწები შეისყიდა და შესასყიდად გადებული, აგრეთვე თავისი „უდიდესი აგრარული რეფორმით“ გათვალისწინებული ღონისძიებების ვატარებისათვის (მიწების დაშრობა, მორწყვა და სხვა) საჭირო მატერიალური და ფინანსური სახსრების დასაფარავად მიწები ყიდვა-გაყიდვის საგნად გამოაცხადა.

მენშევიკების ორგანო გაზეთი „ერთობა“ წერდა: „მართალია, ჩვენ მიწები ჩამოვართვით მემამულეებს, მაგრამ არსად არ გვითქვამს, რომ მას გადავცემთ უფასოდ გლეხებს. სჭობს გლეხობისათვის იჯარის ხდას ერთხელ და სამუდამოდ გამოისყიდოს მიწა, გახდეს სრული ბატონ-პატრონი“¹⁶.

მემამულეებისათვის „ჩამორთმეული“ მიწების სასწრაფოდ გლეხობას საადგილმამულო კომიტეტებისათვის დადგენილი სასყიდელი უნდა გადაეხადა. მშრომელი გლეხობა, რომელსაც მიწების შესაძენად ფულადი სახსრები არ გააჩნდა, კვლავაც უმიწოდ რჩებოდა. „ამრიგად, ქართველი მენშევიკები მთელი თავისი პოლიტიკური და ეკონომიური ღონისძიებებით, მათ შორის აგრარული რეფორმით, ქმნიდნენ იმის მტკიცე ნიადაგს, ... კაპიტალისტური ექსპლოატაციის მიმე უღელი დაეგათ ქართველი გლეხობის დიდი უმრავლესობისათვის — მისი ნახევრადპროლეტარული და პროლეტარული ფენებისათვის“¹⁷, — სამართლიანად წერს კ. ჩარკვიანი.

მენშევიკურ მთავრობას, რომელიც მშრომელ გლეხობას აგრარულ რეფორმასა და მიწებით უზრუნველყოფას ჰპირდებოდა, სინამდვილეში არ შეეძლო გაეტარებინა ეს რეფორმა.

მენშევიკური მთავრობის „აგრარული რეფორმა“ მემამულეთა ინტერესებს იცავდა და ხელს უწყობდა ექსპლოატატორული კლასის — კულაკობის გაძლიერებას. მენშევიკები, როცა მიწა ყიდვა-გაყიდვის, სპეკულაციის საგნად გამოაცხადეს, ამით გარკვეულ კლასობრივ ინტერესებს გამოხატავდნენ: ეს იყო კულაკობის, გლეხური ბურჟუაზიის ინტერესების დაცვა და

ღარიბი და მშრომელი გლეხობის მიმართ მო-
დალატური პოლიტიკის გატარება¹⁸.

მენშევიკური მთავრობის „აგრარული რეფორ-
მა“ არ იყო დამყარებული საზოგადოების გან-
ვითარების კანონებზე, არ ითვალისწინებდა იმ
პერიოდის საქართველოს ეკონომიური და სო-
ციალური განვითარების მოთხოვნებს; იგი მიზ-
ნად არ ისახავდა მემამულეთა მიწების კონ-
ფისკაციას, მთელი მიწების ნაციონალიზაციას,
მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობას და უფა-
სოდ სარგებლობისათვის მიწების მშრომელი
გლეხობისათვის გადაცემას. ამიტომაც, „მენშე-
ვიკური მთავრობის ეს ნაბიჯი (ლაბარტყა აგ-
რარულ რეფორმასზე) მიზნად არ ისახავდა აგ-
რარული საკითხის გადაჭრას, არამედ წარმოად-
გენდა გლეხობის მოსატყუებელ ფანდს“¹⁹. უფ-
რო მეტცი: „არცერთ მემამულურ და ბურჟუ-
აზიულ პარტიას, მათ შორის მენშევიკებსაც,
არ შექონია აგრარული პროგრამა, რომელიც
მემამულურ საკუთრებას ძირფესვიანად მოს-
პობდა და ამით შეარყევდა კაპიტალისტური
საკუთრების საფუძველს“²⁰.

საქართველოში მენშევიკების სამწლიანი ბა-
ტონობის პერიოდში მშრომელი გლეხობის ეკო-
ნომიური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარეს-
და, დაქვეითდა სოფლის მეურნეობა, მკვეთ-
რად შემცირდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქ-
ტების წარმოება; ყურადღება არ ექცეოდა
სოფლის მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექ-

ნიკის მიღწევების გამოყენებას, მუშაობის ეფექ-
ტური ფორმებისა და მეთოდების დანერგვას.
სასოფლო სამეურნეო იარაღები კვლავ მამაპა-
პური იყო (ხის კავი, გუთანა, ცული, ნამგა-
ლი და სხვ.).

მენშევიკურმა მთავრობამ ისეც სუსტად
განვითარებული საქართველოს სახალხო მეურ-
ნეობა სრულ გაპარტახებამდე მიიყვანა. სოფ-
ლის მეურნეობის მწარმოებლური ძალები უკი-
დურესად დაეცა. გაიზარდა სიღატაკე. საქარ-
თველოს სახალხო მეურნეობა კრიზისში მოიცვა.
„საქართველოს კატასტროფული სამეურნეო
და სასურსათო მდგომარეობა — ამბობდა
ი. ბ. სტალინი 1920 წლის ნოემბერში — გა-
ნეთ „პრავდის“ თანამშრომლებთან საუბარში
„მდგომარეობა კავკასიაში“ — ფაქტია, რასაც
ახლანდელი საქართველო მესვეურებიც კი
აღნიშნავენ. ანტანტის ბადეში გახვეული საქარ-
თველო, რომელმაც ამის გამო დაკარგა როგორც
ბაქოს ნავთი, ისე ყუბანის პური, საქართველო,
რომელიც ინგლისისა და საფრანგეთის იმპერი-
ალისტური ოპერაციების ძირითად ბაზად გა-
დაიქცა და ამიტომ საბჭოთა რუსეთთან მტრუ-
ლი ურთიერთობა დაამყარა, — ეს საქართვე-
ლო ამჟამად თავისი სიცოცხლის უკანასკნელ
დღეებს ითვლის“²¹.

ი. ბ. სტალინის ეს სიტყვები საქმით დაადას-
ტურა ისტორიამ.

¹⁸ ა. გაჩეჩილაძე, აგრარული რეფორმის განხორციელება საქართველოში, ყურნალი
„საქართველოს კომუნისტი“, 1957 წ., № 3, გვ. 48.

²⁰ ს. ჯორბენაძე, სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების წარმოშობა სსრ კავ-
შირში, 1963 წ., გვ. 134.

²¹ ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, 1948 წ., გვ. 446—447.

¹⁸ დ. ქორიძე, აგრარულ ურთიერთობათა განვითარება საბჭოთა საქართველოში,
1970 წ., გვ. 138.

ქართველი პეოკავები ღირ სამაგერო ოგები

1941 წლის იგლისიდან — 22 სექტემბრამდე საქართველოს სსრ ადგოკატ-თა კოლეგიის 70 წევრი წავიდა მონახლისედ გერმანულ ფაშისტთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მათ შორის იყოენენ: გიორგი რაქდენის ძე გამსახურდია, გიორგი გიორგის ძე მექვევრიშვილი, ზაქარია აბრამის ძე გელიაშვილი, შალვა ოქროპირის ძე ჯონაძე, მიხეილ ვიქტორის ძე ალხაზიშვილი, სერაპიონ დარისპანის ძე შავლაძე, ბენიამინ ფერმანის ძე ხიზანიშ-ვილი, ალექსანდრე ვასილის ძე კველიშვილი, სერგო ბაგრატის ძე ამირ-ჯანოვი, სერგო ვარლამის ძე გეწაძე, სერგო აბრამის ძე გელაშვილი, გიორგი ნესტორის ძე კიკაბიძე, კარპეზ ნიკიფორეს ძე პაიჭაძე, ილია ესტატეს ძე მეძ-ველია, არშატ გრიგოლის ძე ამირხანოვი და სხვ.

სამამულო ომის წლებში 114 ქართველი ადგოკატი იბრძოდა ფაშისტი ბარბაროსების განადგურებისათვის. შინ დარჩენილებიც არ იყვენენ გულზელ-დაკრეფილნი. „ყველაფერი ფრონტისათვის“ — ასეთი იყო მათი დევიზი.

საქართველოს ადგოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა ომის დაწყების მეო-რე დღესვე — 1941 წ. 23 ივნისს თავდაცვის ფონდში 150.000 მანეთი გადარიცხა, ხოლო იმავე წლის 28 ნოემბერს — 25.000 მანეთი. მტერი გააფთრებით წინ მოიწევდა, ცეცხლითა და მახვილით სპობდა ყველა-ფერს თავის გზაზე. საავადმყოფოები დაჭრილი მეომრებით გაიგსო, საჭირო გახდა ახალი ჰოსპიტლების მოწყობა. ამის გამო 1942 წლის 2 იანვარს საქარ-თველოს ადგოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა თავდაცვის ფონდში 12.000 მანეთი გადარიცხა, იმავე წლის 31 აგვისტოს კი ტანკების მშენებლობისათვის გა-ღებულ იქნა 30.000 მანეთი.

ახლოვდებოდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდა-მეოთხე წლისთავი. 1942 წლის 31 ოქტომბერს ადგოკატთა კოლეგიის პრეზი-დიუმმა ფრონტზე მყოფი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის 5000 მანეთი გაი-ღო. ამას გარდა ქ. თბილისის თითოეული კონსულტაციის ადგოკატებმა ამან-თები გაავზავნეს ფრონტის წინა ხაზზე.

1943 წელს მტერი კავკასიის მისადგომებს მოადგა. 9 თებერვალს ადგო-კატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა საავიაციო ესკადრილიის მშენებლობისათვის 10.000 მან. გადარიცხა. ამის გარდა ბრძოლის ველიდან შინ ახლად დაბრუნე-ბულმა მძიმედ დაჭრილმა ადგოკატმა ვ. ბ. ჩიქოვანმა საკუთარი დანაზოგი 40.000 მან. თავდაცვის ფონდში გადარიცხა. მან ასეთი წერილი გაუგზავნა უმაღლეს მთავარსარდალს:

მოსკოვი, კრემლი

საბჭოთა კავშირის მარშალს სტალინს

გაივლის წლები და მაღლიერი საზოგადოებრიობა აღნიშნავს ჩვენი ხალხის გმირულ აწმყოს, გამოწრთობილს თქვენი შეუვალი ნებისყოფით. ძღვევამოსილი საბჭოთა არმიის გამარჯვება სისხლიან ფაშისმზე უზრუნველყოფს სოციალისტურ სამშობლოსა და ევრო-პის ხალხების თავისუფლებას. თქვენს მიერ შექმნილმა და გან-



ხორციელდებულმა გრანდიოზულმა გეგმებმა, უშუალოდ თქვენი ხელმძღვანელობით განხორციელებულმა ომის წარმოების სტრატეგიამ და ტაქტიკამ შექმნა ომის წარმოების ახალი ისტორია, რომლის შესწავლას საუკუნეები მიეძღვნება.

სიამაყის გრძნობით აღვნიშნავ, რომ ვარ თქვენი ეპოქის მოქალაქე და აღზრდილი. მტრების განადგურებისათვის წარმოებულ ბრძოლაში ვცდილობ არ ჩამოვრჩე ჩვენი ქვეყნის სხვა პატრიოტებს და საერთო დიდი საქმისათვის თავდაცვის ფონდში ვთხოვთ მიიღოს ჩემი მცირე დანაზოგი — ორმოცი ათასი მანეთი.

ადვოკატი ვლადიმერ ბაღოს ძე ჩიქოვანი. 1948 წლის ივლისი

ვ. ჩიქოვანის ეს თავდადება მთავარსარდალმა მადლობით აღნიშნა.

1948 წელი. 26 აპრილი. განმეორებით.

„თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 3, ჩიქოვანს ვლადიმერ ბაღოს ძეს. ვლადიმერ ბაღოს ძე, მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების თავდაცვის საქმეში თქვენი მზრუნველობისათვის. **ი. სტალინი**“.

ამ დეპეშამ ალაფრთოვანა ქართველი კაცი. მან 20 ათასი მანეთი სახელმწიფო სესხის ობლიგაციებიც თავდაცვის ძლიერებას შესწირა და შეჯიბრებაში ადვოკატი შალვა მესხიშვილი გამოიწვია. შალვა მესხიშვილმა 15000 მანეთი გადარიცხა თავდაცვის ფონდში და გამოიწვია ადვოკატი ამირაგოვი. ამირაგოვმა — ადვოკატი ივანე ჩაჩიბაია, მან — ბიძინა ბარათაშვილი და ასე შეგროვდა 2 მილიონ მანეთამდე თანხა თავდაცვის ფონდისათვის. ადვოკატმა ვანო სხილაძემ კი ფულის გარდა ხელიდან ოქროს საათი მოიხსნა და ისიც დიდი საქმისათვის გაიღო.

საქართველოს ადვოკატები მარტო თავდაცვის ფონდში როდი რიცხავდნენ თავიანთ ფულს. მათ ქ. სტალინგრადში ბავშვთა სახლის ასაშენებლად 1943 წ. 29 სექტემბერს 10.000 მანეთი გადარიცხეს, ხოლო საშეფო ჰოსპიტალს იმავე წლის 23 ოქტომბერს — 15.000 მან.

გმირი ქალაქის — ლენინგრადის ადვოკატებს საქართველოს ადვოკატურამ 1944 წლის 21 მარტს 20.000 მანეთი გადაურიცხა, დნებროპეტროვსკელ ადვოკატებს 1944 წლის 26 იანვარს — 10.000 მან., ოდესის ადვოკატებს — 30.000 მან.

1944 წელი. ახლოვდებოდა მაისის დღესასწაული, მტერი თავქუდმოგლეჯილი უკან ვარბოდა. საჭირო იყო მათი საკუთარ ბუნჯეში მოსპობა. 28 აპრილს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა 100.000 მანეთი გადარიცხა ავიაესკადრილის მშენებლობისათვის.

მალე უმაღლესი მთავარსარდალისაგან შემდეგი დეპეშა იქნა მიღებული:

„თბილისი. ათარბეოვის 32, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნატაშა ერმალოვის ასულ ლომოთაიძეს.

გთხოვთ გადახციეთ საქართველოს სსრ ადვოკატებს, რომლებმაც შეაგროვეს 100.000 მანეთი ავიაესკადრილის მშენებლობისათვის, ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა.

ი. სტალინი“.



1944 წ. 17 ნოემბერს პრეზიდიუმმა 40.000 მანეთი გამოყო სამამულო ომში მყოფთა მარტოხელა ოჯახების დასახმარებლად.

1944 წლის 28 დეკემბერს სამხედრო ფონდში ქართველ ადვოკატთა შორის შეგროვილი 720.000 მანეთი გადაირიცხა.

1945 წლის 23 იანვარს 50.000 მანეთი გადაერიცხა უკრაინის რესპუბლიკის რუსტიციის სახალხო კომისარიატს კურსების მოსაწყობად.

საქართველოს ადვოკატურა, ქართველი ადვოკატები მთელი შეგნებით, და შესაძლებლობით იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ ფაშიზმზე საბოლოოდ გამარჯვებისათვის.

ბევრი მათგანი მკერდამშვენებული დაუბრუნდა ოჯახს, მეგობრებს, ზოგიერთი მათგანი მტრის წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლაში დაეცა ბრძოლის ველზე. მათ სწამდათ, სჯეროდათ, რომ იბრძოდნენ ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისათვის, ჩვენი ბედნიერებისათვის. აკი ამიტომაც სწერდა ადვოკატი ზაქარია აბრამის ძე გელიაშვილი თავის მეუღლეს:

„ჩვენ დროებით ერთმანეთს დავცილდით. ეს იცო, ჩემო, არც ჩემი და არც შენი ბრალია. მაპატიე, რომ ოჯახის მოვლა-პატრონობა შენ დაგაწვა თავზე, ჩვენი შვილის აღზრდა შენ გავალია. მე იმედს არ ვკარგავ, ჩვენ გავიმარჯვებთ. მე ასე ვფიქრობ. დარდს არ უნდა მიეცე, მომავალს უნდა გაჰყურებდე. თუ ისე მოხდა, რომ შემთხვევამ მიმსხვერპლა, გამაგრდი. მე ხომ ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისათვის ვიბრძვი, თქვენი ბედნიერებისათვის. იმედი მაქვს, რომ გამარჯვებული დავბრუნდები“.

ჩვენ გავიმარჯვეთ, გაიმარჯვა ძლევამოსილმა საბჭოთა არმიამ. გაიმარჯვეს ზ. გელიაშვილმა, დ. ჭარბაძემ, ა. რატიანმა, გ. ეთერიამ და სხვებმა, რომლებიც დაეცნენ ბრძოლის ველზე მტერთან ბრძოლაში და მარადიული ძეგლი დაიდგეს თავიანთ სადიდებლად.

ახლა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის რიგებში სამამულო ომის მონაწილე 130 ადვოკატი მუშაობს. მათ შორის 79 ადვოკატი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

დღეს, მადლიერების გრძნობით ვიხსენიებთ ყველას, ვინც ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისათვის ბრძოლაში თავისი წვლილი გაიღო.

რ. თალაშვაძე,

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის კონსულტანტი.

თბილისში სასოფროკომუნალური ფართობის განაწილების ახალი წესი

წლებიდან წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციის და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით დამტკიცებული ახალი დებულება — „ქალაქ თბილისში საცხოვრებელი ფართობის განაწილების წესის შესახებ“.

საბინაო მშენებლობაში მოპოვებულ მიწებსა და პრაქტიკაში წამოჭრილი საკითხების გათვალისწინებით დებულებამ ბევრი ცვლილება შეიტანა დედაქალაქში საცხოვრებელი ფართობის განაწილების მანამდე მოქმედ წესებში.

პირველყოვლისა, აღსანიშნავია საწარმო-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა როლის გაზრდა მოქალაქეთა ბინებით უზრუნველყოფის საქმეში. თუ წინათ ბინის მიღების აღრიცხვაზე მოქალაქენი ძირითადად მუნიციპალიტეტის რაიონული საბჭოების ადმინისტრაციებს აპყავდათ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო საწარმო-დაწესებულებები და ორგანიზაციები მხოლოდ მაშინ აიყვანდნენ თავიანთ მუშაკებს აღრიცხვაზე, თუ ისინი აშენებდნენ ბინებს ან იღებდნენ საცხოვრებელ, ახალი ფართობს შესაბამისი ლიმიტით, ახალი დებულებით ეს მინდობილი აქვთ საწარმო-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რაისაბჭოს ადმინ-

სტრუქტურაზე აიყვანენ მხოლოდ გარკვეული კატეგორიის პირებს: სამამულო ომის ინვალიდებს, სსრ კავშირის დაცვისას ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას დაღუპული თუ უვხო-უვლოდ დაკარგულ სამხედრო მოსამსახურეთა და პარტიზანთა ოჯახის წევრებს; თადარიგში გასულ ან გადამდგარ ოფიცრებს; რეაბილიტირებულებს; პენსიონერებს; სამოქალაქო ომის მონაწილეებს; საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურ პენსიონერებს, რომლებიც პარტიაში მიღებული არიან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე; წითელ პარტიზანებს, აგრეთვე სხვა პირებს, რომელთა უპირატესობა საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფისას გათვალისწინებულია მთავრობის დადგენილებებით; ბარაკებში მცხოვრებ მოქალაქეებს.

საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ მუშაკების აღრიცხვაზე აყვანას ამტკიცებს ის ადმინისტრაციები, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება ორგანიზაცია. ეს ეცნობება იმ რაიონ-ადმინისტრაციას, სადაც ცხოვრობს მუშაკი. ახალი წესი უზრუნველყოფს ბინების განაწილებაში მეტი გარკვეულობის შეტანასა და წესრიგის დამყარებას.

საწარმო-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, რაიონ-ადმინისტრაციებთან ერთად, დაევალოს მიიღონ აქტით იმ მუშაკთა საქმეები, რომლებიც

აღრიცხვაზე იყვნენ აყვანილი რაიონულ-
ლი საბჭოების აღმასკომებში.

როგორც საერთო წესი, აღრიცხვაზე
აყვანისათვის საჭიროა მოქალაქე 7 წე-
ლი ცხოვრობდეს ქ. თბილისში და ჰქონ-
დეს საცხოვრებელი ფართობი არაუმე-
ტეს 4 კვ. მეტრისა ოჯახის თითოეულ
წევრზე. ფართობს მნიშვნელობა არა
აქვს, თუ ერთ ოთახში ცხოვრობს ორი
და მეტი ოჯახი, აგრეთვე მაშინ, როცა
მობინადრენი ცხოვრობენ სხვის საკუ-
თარ სახლებში.

გარდა ამისა, საწარმო-დაწესებულე-
ბებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს
უფლება აქვთ ბინის მიღების აღრიცხვა-
ზე აიყვანონ ის მუშაკები, რომლებსაც
უჭირავთ 4 კვადრატულ მეტრზე მეტი
საცხოვრებელი ფართობი, მაგრამ არა-
უმეტეს 11 კვადრატული მეტრისა,
ოღონდ იმ პირობით, თუ არა ჰყავთ
უფრო ნაკლები საცხოვრებელი ფარ-
თობის მქონე მუშა-მოსამსახურეები.
მათ უფლება აქვთ აღრიცხვაზე აიყვან-
ონ აგრეთვე მუშები და მოსამსახურე-
ები, რომლებიც ქ. თბილისში ცხოვრო-
ბენ 7 წელზე ნაკლები დროის განმავ-
ლობაში, თუ არა ჰყავთ ისეთი პირები,
რომლებიც მეტ ხანს ცხოვრობენ
ქ. თბილისში.

აღრიცხვაზე აიყვანებიან მოწვეული
ან სადირექტივო ორგანოების გადაწყ-
ვეტილებით ქ. თბილისში სამუშაოდ
გადმოყვანილი სპეციალისტები, ახალ-
გაზრდა სპეციალისტები, რომლებსაც
საგზურებში მითითებული აქვთ ბინით
უზრუნველყოფა და არ გააჩნიათ სა-
ცხოვრებელი ფართობი. მნიშვნელობა
არა აქვს იმას, რამდენ ხანს ცხოვრობენ
მუშაობენ ისინი თბილისში.

აღრიცხვაზე მოქმედი დებულებით ბინის
მიღების აღრიცხვაზე არ აიყვანებოდა
ის მოქალაქე, რომელსაც პირადი სა-
კუთრების უფლებით ჰქონდა საცხოვ-
რებელი სახლი. ახალი დებულებით ეს
არ ეხებათ იმ მოქალაქეებს, რომლებიც

ცხოვრობენ საცხოვრებლად გამოუსა-
ღებარ ბინებში.

ბინების განაწილებაში წესრიგის გან-
სამტკიცებლად უფრო მკაცრი რეჟიმი
დაწესდა წლის დაწყებისას აღრიცხვა-
ზე მყოფი პირების ხელახალი რეგისტ-
რაციის საქმეში. პირები, რომლებიც
არ გაივლიან ხელახალ რეგისტრაციას,
და არ ექნებათ საპატიო მიზეზი, მოიხ-
სნებიან აღრიცხვიდან.

დაზუსტდა და კანონს შეესატყვისა
უწყებებიდან და ორგანიზაციებიდან წა-
სული პირების აღრიცხვიდან მოხსნის
რეგლამენტაცია. ადრე მოქმედი დებუ-
ლებით ასეთი პირები აღრიცხვიდან
მხოლოდ მაშინ მოიხსნებოდნენ, როცა
თავისი სურვილით შეეწყვეტდნენ შრო-
მითს ურთიერთობას უწყებასთან. ამჟა-
მად მარტო ის პირები კი არ მოიხსნე-
ბიან აღრიცხვიდან, ვინც თავისი სურ-
ვილით გაწყვიტა შრომითი კავშირი ამ
ორგანიზაციასთან, საწარმოსთან და და-
წესებულებასთან, არამედ შრომის
დისციპლინისა და მართლწესრიგის და-
რღვევისათვის დათხოვნილი პირებიც.

მას შემდეგ, რაც რაისაბჭოს აღმას-
კომს ექნება თავის სამოქმედო ტერი-
ტორიაზე არსებულ ორგანიზაციებში
აღრიცხვაზე მყოფ პირთა დაზუსტებუ-
ლი სიები (აღრიცხვაზე აყვანის წლების
და სხვა მონაცემების მიხედვით), საქა-
ლაქო საბჭოს აღმასკომიდან მიცემული
საცხოვრებელი ფართობის ყოველწლი-
ურ ფონდს განაწილებს როგორც სა-
წარმო-დაწესებულებათა და ორგანიზა-
ციათა შორის, ისე თვით აღმასკომში
აღრიცხვაზე მყოფ პირებზე.

ხაზი უნდა გაესვას დებულების მე-
ტად საყურადღებო მოთხოვნას, რასაც
აღრიცხვითი წესებიც ითვალისწინებდა.
მაგრამ ზოგიერთ ორგანიზაციაში არ
ექცეოდა სათანადო ყურადღება. იმ მო-
ქალაქეთა სიები, რომლებსაც საცხოვ-
რებელი ფართობი ეძლევათ მოცემულ
წელს, წინასწარ უნდა იქნას შედგენი-



ლი და გამოკრული თვალსაჩინოებისათვის.

გაურკვევლობასა და პრაქტიკულ სიძნელეებს წარმოშობდა ადრე მოქმედი დებულების ნორმა, რომლითაც საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში ბინების განაწილება სართულების მითითებით ხდებოდა სახლის მშენებლობის დამთავრების შემდეგ. ამას შედეგად მოჰყვებოდა ხოლმე ექსპლოატაციაში მიუღებელ სახლებში მოქალაქეთა შესახლება, სახლის ექსპლუატაციაში მიღების გაჭიანურება და ბევრი სხვა უკმაყოფილება და საჩივრები. ახალი დებულებით კოოპერატიულ სახლში ბინების განაწილება, სართულების მითითებით, მხოლოდ ამ სახლის ექსპლოატაციაში მიღების შემდეგ ხდება. ეს უზრუნველყოფს კოოპერატიულ სახლებში შესახლებისას მეტორგანიზებულობასა და გართულებების თავიდან აცილებას.

ქ. თბილისში საბინაო მშენებლობის ფართო მასშტაბით განვითარების შედეგად გაიზარდა საცხოვრებელი ფართობის საშუალო ნორმა. იგი ახლა თითოეულ ადამიანზე 8 კვადრატულ მეტრს შეადგენს, ნაცვლად ადრე არსებული 7 კვ. მეტრისა. ეს თითქმის უტოლდება რსდსრ-სა და ზოგიერთ სხვა მოკავშირე რესპუბლიკაში დაწესებულ სანიტარულ ნორმას (9 კვ. მეტრი).

ქალაქის თითოეულ მცხოვრებზე საცხოვრებელი ფართობის საშუალო ნორმის გაზრდას თავისთავად მოჰყვება დასანგრევად ან გასათავისუფლებლად გათვალისწინებული შენობიდან გამოსაყვან მოქალაქეთათვის მისაცემი ფართობის მინიმალური ნორმის გაზრდა (არანაკლები 8 კვ. მეტრისა ოჯახის თითოეულ წევრზე). თუ დასანგრევი სახლი მოქალაქის პირადი საკუთრებაა, მე საკუთრეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 აგვისტოს № 651 დადგენილების თანახმად უნდა მიეცეს

საცხოვრებელი ფართობი ოჯახის თითოეულ წევრზე არანაკლები 12 კვ. მეტრისა.

ოთახი, რომელიც გათავისუფლდება მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოს, სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში, შეიძლება მიეცეს ამავე ბინაში მცხოვრებ იმ მოქალაქეს, რომელიც აღრიცხვაზეა აყვანილი, ხოლო იმ პირებს, რომლებიც აღრიცხვაზე არ იმყოფებიან, ოთახი იმ შემთხვევაში მიეცემათ, თუ ოჯახის თითოეულ წევრზე უჭირავთ არაუმეტეს 8 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობისა. ეს ისეთ ოთახს ეხება, რომელიც იზოლირებულია დამქირავებლის მომიჯნავე ოთახისაგან. რაც შეეხება არაიზოლირებულ მომიჯნავე ოთახს, ის ყველა შემთხვევაში გადაეცემა ამ ბინაში მცხოვრებ დამქირავებელს. იზოლირებულად ითვლება ისეთი ოთახი, რომელსაც დამოუკიდებელი გასასვლელი აქვს საერთო სარგებლობის დერეფანში და სხვა ოთახის გაუვლელად უკავშირდება დამხმარე სათავსოებს, თუნდაც ემიჯნებოდეს დამქირავებლის მიერ დაკავებულ ოთახს.

ისევე, როგორც ადრე მოქმედი დებულებით, ამჟამადაც ყველა ფონდის (გარდა პირადი საკუთრების სახლებისა) ბინაში შესახლება ორდერით ხდება. ორდერის საფუძველია რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება, რომლითაც მოქალაქეებს ან უშუალოდ ეძლევათ ბინა ანდა მტკიცდება ორგანიზაციათა მიერ ბინების განაწილების შესახებ მიღებული დადგენილება. გამონაკლისია ის ბინები, რომლებიც სოციალისტური სახელმწიფო სამრეწველო საწარმოს შესახებ დებულების შესაბამისად ნაწილდება. ამ შემთხვევაში ადმინისტრაციისა და პროფკავშირის ადგილკომის გადაწყვეტილება შემდგომ დამტკიცებას არ საჭიროებს და ის აღმასკომს

მხოლოდ ეგზავნება ცნობისათვის, რომ მის მიხედვით გაიცეს ორდერები. ორდერის გაცემისას მკაცრად უნდა იქნას დაცული გადაწყვეტილება ბინის მიცემის შესახებ. განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს საბინაო-სამშენებლო კოორპორაციებისა და იმ საწარმოთა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა, რომლებიც თავიანთი ფონდისა და ფართო მოხმარების ფონდის სახსრებით აშენებენ სახლებს, რათა ბინებში მოქალაქენი არ შეასახლონ, თუ ამის საფუძველი არ ექნათ.

ასეთია, ძირითადად, ის სახლე, რაც ახალმა დებულებამ შეიტანა ჩვენს დედაქალაქში მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანისა და საცხოვრებელი ფართობის განაწილების წესში.

ამ წესების ზუსტად დაცვა და შესრულება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თბილისში საცხოვრებელი ფართობის განაწილების საქმეში უკანონობის აღკვეთას, ადრე არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრასა და შემდგომში თავიდან აცილებას.

ილია ზურაბიშვილის ღვაწლი ქართული საკანონმდებლო ენის განვითარებაში

(დაბადების 100 წლისთავისათვის)

პროფ. ს. ჯორჯანიანი

გასულ წელს შესრულდა ილია ზურაბიშვილის დაბადების 100 წლისთავი. ქართული პრესა ფართოდ გამოეხმაურა ამ დიდი-სახსოვარ თარიღს. წიგნად გამოიცა ი. ზურაბიშვილის — „თეატრალური პორტრეტები, ნარკვევები მუსიკაზე“. „მერანი“ მალე მკითხველებს მიაწვდის ი. ზურაბიშვილის მხატვრულ ნაწარმოებთა კრებულს.

ქართულ პერიოდიკაში გამოქვეყნებულ მასალებში აღნიშნულია თეატრალურ და მუსიკალურ კულტურაზე ი. ზურაბიშვილის მიერ დაწერილი ნაშრომების დიდი შემეცნებითი და ესთეტიკური მნიშვნელობა, დახასიათებულია მისი შესანიშნავი მოთხრობები და ნოველები, ნაჩვენებია ამ დიდი მოღვაწის უაღრესად სასარგებლო საქმიანობა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენაში (სიტყვანის რეცენზია და სარედაქციო კომისიაში მონაწილეობა). განსაკუთრებით დიდია ი. ზურაბიშვილის როლი განმარტებითი ლექსიკონის II ტომის რეცენზირებაში. ბევრი რამ ითქვა ი. ზურაბიშვილის მდიდარ მთარგმნელობით მოღვაწეობაზე, როგორც ქართული სიტყვის ფხიშელ და სწორუპოვარ დარაჯზე, განსაკუთრებით საქართველოს რადიოკომიტეტის სტილისტად მუშაობის დროს. მაგრამ არაფერი არ ითქმულა ილია ზურაბიშვილის როგორც — ქართული საკანონმდებლო ენის მოამბეზე. ეს კი მისი შემოქმედებითი ცხოვრების დიდ მონაკვეთს შეადგენს და საინტერესოა იმდენად, რომ მისმა მოღვაწეობამ ამ დარგში შეადგინა კანონის ენის სრულყოფის მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი.

ქართული მდიდარი ნორმატიული აქტების ენის ბუნებრივ-ისტორიული განვითარება

XIX საუკუნის დასაწყისიდან შეჩერდა. ერთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ოფიციალურად თითქმის აღარ იბეჭდებოდა ქართულ ენაზე კანონები, შემდგომ სასამართლო წარმოებაც აღარ მიმდინარეობდა ქართულად.

მართალია XVIII საუკუნის სამოციან წლებში გაწყდა ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარება ანტონ კათალიკოსისა და მისი სკოლის მოღვაწეობის გამო. ამ დროიდან ახალ ქართულ სალიტერატურო ენას წაართვეს ლიტერატურა და მეცნიერება, მაგრამ პროფ. არნ. ჩიქობავას სიტყვებით „ახალ ქართულს იყენებენ საქმიან მიწერ-მოწერაში, განკარგულების გაცემისას, სასამართლოში განჩინების გამოტანისას“. ახასიათებს რა 1801 წელს გამოტანილ ერთ-ერთი განჩინების ენას პროფ. არნ. ჩიქობავა წერს „განჩინების ენა ხალხურზე ხალხურია, სანიმუშოა თავისი სისადავით არა მხოლოდ სასამართლო კანცელარიისათვის“¹.

გასაგებია რა უბედურება იყო ნორმატიული აქტების მიღებისა და სასამართლო წარმოების სფეროდან ქართული ენის გამოდევნა.

ბევრი იურიდიული ტერმინი საუკუნეზე მეტი ხანი იყო ამოღებული მიმოქცევიდან და ამის გამო დაიკარგა. გართულდა ახალი ურთიერთობის გამომხატველი ტერმინების გამოძენაც. გამოსავალი მდგომარეობდა ძველი მემკვიდრეობისა და XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და მეცნიერების მოღვაწეთა მიერ შექმნილი ტერმინოლოგიური მონაპოვრების გამოყენებაში.

ილია ზურაბიშვილი იყო სწორედ ის

¹ იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, გვ. 022.

პიროვნება, რომელსაც ქართული სიტყვის სისხარტისა და სიმარჯვის გრძნობა კარგად ჰქონდა შეთავსებული ქართული ტერმინოლოგიური ლექსიკის არსენალის ღრმა ცოდნასთან. ნამდვილი ბედნიერება იყო, რომ ქართული საბჭოთა კანონის ენის შემუშავების სათავეებთან იდგა ილია ზურაბიშვილი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე 1921 წლის 24 მარტიდან იგი მუშაობას იწყებს საქართველოს რევკომის იურიდიული განყოფილების კანონდებულებათა რედაქტორის თანამდებობაზე, შემდეგ კი საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს კანონდებულებათა რედაქტორად. ამ პოსტზე 17 წელს დაჰყო.

საკანონმდებლო ენის შექმნა და შესაბამისი ტერმინოლოგიური სრულყოფა არა მარტო შრომატევადი საქმიანობაა, ეს ნამდვილი შემოქმედებითი მოღვაწეობაცაა. ასე განიხილავდა მას ი. ზურაბიშვილი. უფრო მეტიც, მას ეს საქმიანობა არ მიაჩნდა სამსახურებრივი მოვალეობის მოხდად, არამედ მზად იყო იმ პატრიოტული საქმიანობის სასარგებლოდ ხელი აეღო ლიტერატურულ მოღვაწეობაზე, რომელიც ნამდვილად მისი მოწოდება იყო. ამას არც ნანობდა, ვინაიდან იგი მიაჩნდა თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის გაგრძელებად.

გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ილია ზურაბიშვილის პირად ფონდში დაცულია მრავალი დოკუმენტი, რომლიდანაც ნათლად ჩანს თუ რა ღრმა პასუხისმგებლობითა და მოწინავეთი ეკიდებოდა იგი თავის მოვალეობას ქართული საკანონმდებლო ენის შესაქმნელად.

კანონდებულებათა პარალელური ტექსტების გამოცემა როდია მექანიკური საქმე, ანდა კანონთა ენის ქართულად გაშლას ნიშნავდა. ეს შემოქმედებითი პროცესია, რომელიც არა მარტო ენის თავისებურებათა გათვალისწინებას გულისხმობს, არამედ მოითხოვს აგრეთვე ამ ენის მატარებელი ხალხის კულტურულ-საზოგადოებრი-

ვი ისტორიის ცოდნასაც. კანონდებულებათა მრავალგზისი გამოყენების დროს ადვილი შესამჩნევია შეცდომები, რაც დაშვებულია თარგმანში, ამიტომ მთელი ეს მუშაობა სასტიკი და მრავალმხრივი კონტროლის ქვეშ ტარდება. შეცდომის ანდა კანონის აზრის შეუსაბამოდ გამოთქმას შეიძლება მოჰყვეს კანონიერების დარღვევა. სიძნელე მარტო მარჯვე იურიდიული ტერმინის მიგნებაში კი არაა, კანონი მხოლოდ იურისტებისათვის არ იწერება, იგი გასაგები უნდა იყოს მასებისათვის.

კანონის ენის სრულყოფა გართულებული იყო იმით, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ქართულ ენას, რომელიც სახელმწიფო ენად იქცა, არ ჰქონდა კანონდებულებათა ენის შემუშავების თავისი სტილი და პრაქტიკა, შესაბამისი ტერმინოლოგია. ისტორიული წარსულის მდიდარი მემკვიდრეობა ამ დარგში არქივის მტერით იყო დაფარული, გაფანტული უამრავ ხელნაწერებსა და გამოკვლევებში, რომლებიც სახმარად მიუწვდომელი იყო, ანდა ხალხის კოლექტიურ მეხსიერებაში იყო მიმალული. გასაგებია, რომ დროის სიმცირე, საკანონმდებლო აქტის ენის შემუშავებისათვის განკუთვნილი დრო არ იძლეოდა ცალკეული ცნებისა და ტერმინის შემუშავებისათვის ხანგრძლივი მუშაობის საშუალებას. ამასთან, რომ ძველი ტერმინების გამოყენებაც დიდ ხიფთხილესთან იყო დაკავშირებული, ვინაიდან ახალ სოციალ-ეკონომიურ გარემოში ბევრი ადრინდელი ტერმინი კვდება და მოქმედი კანონდებულებისათვის იგი ხრულიად გამოუსადეგარია.

ზომიერების დაცვა იმ ვითარებაში, როცა ცხოვრება საკანონმდებლო აქტების სიუსვით ხასიათდებოდა, მხოლოდ ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობით შეიძლება დაძლეულიყო. ილია ზურაბიშვილის სიტყვებითვე ეს იყო ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობა, ვინაიდან ამ დროს აუცილებელია „საკანონმდებლო ნორმების სათანადო, ზუსტ, ნათელ გამონაკვეთულ ფორმაში ჩამოყალიბება ისე, რომ ზედმიწევნით იყოს

გადმოცემული იურიდიული აზრი, მაშინ როდესაც ამ სფეროში ენა ჯერ კიდევ სრულყოფილი არ არის, ამ ენის ახალი ფორმებით და ცნებებით გამდიდრება, ძველი ლიტერატურისა და სამართლის ძეგლთა მეოხებით დრო-ჟამისგან მოჭმული ფორმულებისა და ტერმინების გამოცოცხლება, თანაც მათი დიდი სიფრთხილით შერჩევა და შეფარდება, რათა არქაულობის უფსკრულში არ გადაიჩხოთ“.

ილია ზურაბიშვილი მონაწილეობდა საკანონმდებლო აქტებისა და ყველა იმ კოდექსის ქართულ ტექსტების დადგენაში, რომელიც 1937 წლის 11 ივლისამდე გამოვიდა. დროის მთელ ამ მონაკვეთში არ ყოფილა კანონმდებლის აზრის უხეში დამახინჯების არც ერთი შემთხვევა.

როგორც ილია ზურაბიშვილი იგონებს ხშირად ხდებოდა, რომ მრავალი მტანჯველი საათი სჭირდებოდა კანონის ნორმის რამდენიმე სტრიქონის აზრის გადმოცემას ქართულად. ამ მუშაობის ჩატარება ერთი ადამიანის შესაძლებლობებს აღემატებოდა. ილია ზურაბიშვილმა მოამზადა აპარატი, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელი-სუფლებების პირველ დღიდან მომსახურებას უწყვედა კანონმდებლებათა ქართულად გამოცემას. თანამშრომელ სპეციალისტთა ამ ჯგუფს ილ. ზურაბიშვილი განუმარტავდა თუ როდენ პატრიოტული ხასიათისა იყო მათი საქმიანობა. იგი აღნიშნავდა რომ საბა-სულხანის ენა, დავით გურამიშვილის ენა, ილიასა და აკაკის ენა სხვა ენებზე ნაკლები სიზუსტით არ უნდა გამოხატავდეს კანონმდებლის აზრს და თავის თანამშრომლებს აგონებდა... „და თუ ვერ ვახერხებდი ამ ენაზე სათანადოდ მეტყველებას — ეს მაშასადამე ჩვენი ბრალი იყო: ჩვენ ჯეროვნად არ ვიცოდით იგი, მისი საილუმლო საკუჭნაოები, მისახვევ-მოსახვევები, ერთი სიტყვით მთელი საგანძური ქართული სიტყვა-პასუხისა, რაც ხალხს დაეგროვებინა მრავალი საუკუნის მანძილზე და შენახული ჰქონდა თავის წიაღში.

და ჩვენც დავეძებდით შესაფერის სიტ-

ყვა-პასუხს ყველგან, ხადაც კი შეიძლებოდა, დაწყებული უნივერსიტეტით და დამთავრებული სულ პაწია ფესსაცმლის სახელოსნოთი: რამოდენიმეჯერ მივსულვართ ბევრ მეწადესთან თუ მეტყვევებთან თუ რა ეწოდება ქართულად „გამოსატრელები საქირის (подошвенный раскрой) ამა თუ იმ ნაწილს“.

ბევრჯერ მიუღია მადლობა ილია ზურაბიშვილს უნივერსიტეტის პროფესორისაგან იმ ტერმინის მიგნებისათვის, რომელსაც იგი წლობით ეძებდა. თავის მხრივ ილია ზურაბიშვილი ხშირად მიმართავდა უნივერსიტეტის სწავლულ იურისტებს, რათა მიეღწია მრავალმნიშვნელობის მქონე რუსული ტერმინის ქართულად სწორად გადაღებისათვის.

ი. ზურაბიშვილი იხსენებს „რამდენჯერ შემიწუხებია ესა თუ ის იურისტი პროფესორი თუ ვეჭილი პრაქტიკოსი, ბაასით იმის თაობაზე, რა შემთხვევაში უნდა გადაითარგმნოს «Право» როგორც „სამართალი“ და რა შემთხვევაში როგორც „უფლება“... წინანდელ პრაქტიკაში ე. ი. ჩვენამდე ეს ცნებები დომხალივით იყო არეული“.

პროფესორი ლ. ნ. ანდრონიკაშვილი დიდად აფასებდა და მხარს უჭერდა ი. ზურაბიშვილის მოღვაწეობას, საჯაროდ უწოდებდა მის პატრიოტულ საქმიანობას „სიტყვათქმნის“ მოღვაწეობას.

ილია ზურაბიშვილი სიყვარულით ელოლიავებოდა მის მიერ უნარიანად მიგნებულ სიტყვას. იგი სიამაყით გადახედავდა ხოლმე მის მიერ საკანონმდებლო აქტებში ასობით გამოყენებულ მარჯვე და კეთილხმოვან სიტყვებს, უმთავრესად იურიდიული ხასიათისას. ილია ზურაბიშვილი უდიდეს ბედნიერებას გრძნობდა, როცა მის მიერ პირველად დანერგილი ახალი სიტყვები და ტერმინები ისეთი როგორიცაა: განაწესი (Наказ), განაკვეთი (Ставка) საწარმო (Предприятие), ანგარიშგება (Отчетность) ანგარიშსწორება (Расчет), ხელყოფა (Посягательство), გამოძალვა (Вымогательство), ნაკრძალი



(Заповедник), კ ა ვ შ ი რ გაბმულობა² და მთელი რიგი სხვა ტერმინებისა სამუდამოდ დამკვიდრდა ქართულ ენაში და მილიონთა კუთვნილება გახადა.

ილია ზურაბიშვილის ბიოგრაფები ყურადღების გარეშე ტოვებენ მისი მოღვაწეობის ერთ მეტად მნიშვნელოვან მხარეს. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ივანე ჯავახიშვილი სათავეში ჩაუდგა ქართული უნივერსიტეტის გახსნის თადარიგს. ამავე წლის აპრილიდან იგი უკვე თბილისშია. აქ გაიშალა უნივერსიტეტის დასაარსებლად ბრძოლის მთავარი ასპარეზი. იქმნებოდა პირველი ორგანიზაციული წარმონაქმნი ამ საშვილიშვილო საქმის ხორცის შესასხმელად. 1917 წლის 12 მაისს შედგა უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების დამფუძნებელთა პირველი კრება, რომელსაც დაესწრო ქართველ მეცნიერთა, მწერალთა, კულტურისა და საზოგადო მოღვაწეთა 28 წარმომადგენელი. დამფუძნებელთა კრება გახსნა ივანე ჯავახიშვილმა. თავმჯდომარედ ექვთიმე თაყაიშვილს ირჩივენ, მდივნად ილია ზურაბიშვილს, შემდეგ კი მას გამგეობის მდივნადაც ირჩივენ.

საზოგადოების მდივანს მნიშვნელოვანი მოვალეობანი ჰქონდა დაკისრებული. ეს ის დროა, როცა ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით, არ არიან რა დარწმუნებული წამოწყებული საქმის წარმატებით დაგვირგვინებაში, ხშირად თვით გამგეობის წევრი მეცნიერებიც აცდენდნენ სხდომებს. ამ მიზეზით ბევრჯერ გამგეობის კრებებიც კი ჩაშლილა. ი. ზურაბიშვილის ხელით დაწერილ მიმართებებში ვკითხულობთ „გთხოვთ უმორჩილესად მოზრძანდეთ სსენებულ კრებაზედ. ყველა წევრის დასწრება აუცილებლად საჭიროა, რადგანაც სათათბირო საგნები მეტის-მეტად საპასუხისმგებლოა და ა. შ. და ა. შ.“.

ილია ზურაბიშვილის ხელითაა ჩამოქნილი ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების თითქმის ყველა ოქმი, ეს ნამდვილი ძეგლისწერანი საუნივერსიტეტო იდეის საერთო სახალხო პროპაგანდისა. გამგეობის მდივნის სამუშაო თანდათან რთულდებოდა. ილია ზურაბიშვილი მას ყოველთვის უსასყიდლოდ ასრულებდა. 1917 წლის 9 ოქტომბერს მას წინადადებაც მისცეს აედოთ თვეში ათი თუმანი მდივნობისათვის, ამაზე ის უარს ამბობს, მუშაობას კი აგრძელებს. ამ ხელფასს მისი წინადადებით მდივნის თანაშემწეს უნიშნავენ.


ივანე ჯავახიშვილი შემდგომ წლებში დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ილია ზურაბიშვილის მთელს მოღვაწეობას, დიდად აფასებდა დახვეწილი, წმინდა ქართულით დაწერილ მის მხატვრულ გამოკვლევებს თეატრალურ და მუსიკალურ მოღვაწეებზე.

ივანე ჯავახიშვილი დიდი სიხარულით შეხვდა ი. ზურაბიშვილის წიგნის — „ვანო სარაჯიშვილის“ გამოქვეყნებას, რაც 1939 წელს განხორციელდა.

ივანე ჯავახიშვილი აქტიურად უჭერდა მხარს ილია ზურაბიშვილის ნაწერთა დაბეჭდვას. მან არ დაიშარა და ორჯერ გააგზავნა დასკვნა ზაქარია ფალიაშვილის „ბებსალომ და ეთერის“ ცალკე წიგნად დაბეჭდვისა. მანამდე ეს ნაშრომი 1939 წელს „საბჭოთა ხელოვნებაში“ გამოქვეყნდა. 1940 წლის 19 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილი სწერდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ პასუხისმგებელ მდივანს: „რაკი თქვენს წერილობითს შეკითხვაზე ჩემი პასუხი როგორც სჩანს ფოსტას დაუკარგია და თქვენ მიღებული არ გქონიათ, ამით ხელმეორეთ მოგასხენებთ რაც იქ ეწერა:

ილ. ზურაბიშვილის მონოგრაფია ზ. ფალიაშვილის ოპერის „ბებსალომ და ეთერის“ შესახებ კარგად არის დაწერილი და

² ამირან გაბესკირია თავის მოგონებაში, რომელიც 1972 წლის 17 მარტს გამოქვეყნდა „ლიტერატურულ საქართველოში“ იგონებს ილია ზურაბიშვილის ხუმრობით ნათქვამ სიტყვებს: „სიტყვა კ ა ვ შ ი რ გა ბ მ უ ლ ო ბ ა ჩემი შემოღებულია და კავშირგაბმულობის შენობაში არ მიშვებენ, საშვს მთხოვენ, ეს რა კანონიაო“.



იქ ამ უკუდავი ნაწარმოების ღირსება, მი-
სი მუსიკის მომხიბლავი თვისებები და
ღრმა ეროვნული საფუძველი ნიშანდობ-
ლივ არის დახასიათებული. დარწმუნე-
ბული ვარ ამ ნაშრომს ყველა სიამოვნე-
ბით წაიკითხავს. ამიტომაც სასურველია,
რომ ეს მონოგრაფია ცალკე წიგნადაც ყო-
ფილიყო გამოცემული“.

ივანე ჯავახიშვილს სიბლავდა ქართუ-
ლი კულტურის საკითხებზე შთაგონებითა
და ღრმა წვდომით დაწერილი სტატიები,
რომლებიც ყოველთვის კომპეტენტურად
მიმოიხილავდა საკვლევ საგანს. ამას გარ-
და ივანე ჯავახიშვილმა კარგად იცოდა,
რომ ქართველ სტახოვად წოდებული ი.
ზურაბიშვილის განსაკუთრებული მხატვ-
რული ალღო, მაღალი ესთეტიკური გემოვნე-
ბა და წმინდა პატრიოტიზმი დიდ ნდო-
ბას იმსახურებდა საქარია ფალიაშვილის
შემოქმედებაში. სწორედ ი. ზურაბიშვილი
იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელიც
„აბესალომ და ეთერის“ ავტორს შთაავო-
ნებდა შემოქმედებით რწმენას და წინას-
წარმეტყველებდა „აბესალომ და ეთერის“
მსოფლიო მნიშვნელობაზე.

ივანე ჯავახიშვილი კარგად ხედავდა,
რომ უფრო უკეთესად არავის არ შეეძლო
ეთქვა „აბესალომისა და ეთერის“ სისხლ-
ხორცეულ კავშირზე ქართველი ხალხის
ეროვნულ გენიასთან, ვიდრე ეს ილია ზუ-
რაბიშვილმა გააკეთა. თავის ნაშრომში იგი
აღწერს იმას, რომ ხალხს როგორც ეროვნუ-
ლი კულტურის შემქმნელსა და შემნახ-
ველს დროდადრო უჩნდება იშვიათი მაღ-
ლით მოხილი ადამიანები, რომლებიც ბუ-
ნებისაგან მათთვის მიკუთვნებული გონე-
ბის თვალთ და გულისყურით ღრმად იხე-
დებიან ხალხის მიერ დაგროვილ საგანძურ-
ში. ამოკრეფენ იქედან თვალსაზრისს და
თავიანთ არსებაში ათვისებულსა და გარ-
დაქმნილს ხალხსვე უბრუნებენ მის სადი-
დებლად, ამ ცოცხალ, გრძნეულ სარკვეში
ხალხს ხედავს თავის შემოქმედ სახეს.

საქარია ფალიაშვილი უკვე სათანადოდ
მომზადებული და განსწავლული მუსიკის
სფეროში, ოპერის წერას შეუდგა მხოლოდ

მას შემდეგ, როდესაც ვზიარა და შეეთვისა
ქართველი ხალხის მიერ მრავალი საუკუ-
ნის განმავლობაში ინტუიტურად შექმნილ
მუსიკას. ამის შემდეგ გვინდა მოვიყვანოთ
სურნელოვანი ქართული ხატონად ნათქ-
ვამი სიტყვები საქართველოს სხვადასხვა
კუთხეების მუსიკალურ მრავალფეროვნება-
ზე „...როდესაც ქართულ-კახურ სიმღერებს
ისმენთ, დიდი მხატვრული ალღო როდია
საჭირო იმისათვის, რათა ცოცხალ სურა-
თად წარმოიდგინოთ ფართოდ გაშლილი,
ძვირფასი ხალივით აფერადებული ველ-
მინდორი, სხვა და სხვა მშვენიერი ხილით
დაზუშმული ბაღები და ვენახები, დარბა-
ისლურად დინჯი ადამიანები, ამ ბუნების
წიაღში რომ ცოცხლობენ, შრომობენ და
იბრძვიან არსებობისათვის.“

ხოლო როდესაც ისმენთ გურულ-მეგ-
რულ სიმღერებს, თქვენს თვალწინ თით-
ქოს იშლება ბორცვ-გორაკებიან ნაოჭად ას-
ხმული რელიეფი და ამ ნათქვებს შორის
მოქცეულ პატარ-პატარა ვაკეებზე თუ კალ-
თებზე მკვირიცხლად მონავარდე ბუნებრი-
ვი გრაციით აღსავსე ფიგურები, ან თით-
ქო ახლო-მახლო ლივლივებს ზღვის ზედა-
პირი, ერთ წამს სსივებით ალაპლაპებული,
მშვიდი და წყნარი, მეორე წამს — ქარ-
ტებისლისაგან მძლევ აქოჩირილი.

ან, როდესაც ისმენთ სვანურ „ლილეს“
უნებურად წარმოიდგენ ზეცამდე აყუდე-
ბული მკაცრი მთის მწვერვალს, სადაც
ხალხი თითქო ლიტანიად დგას და ყოვ-
ლის გაცოცხლებულ მზეს რაღაც წარმარ-
თული აღტკინებით განმსჭვალულ პიმნს
უგალობს“.

თავის მხრივ ილია ზურაბიშვილი უწ-
მინდესი სიყვარულით და მოწიწებით ლა-
პარაკობდა ივანე ჯავახიშვილზე — ეროვნუ-
ლი უნივერსიტეტის მესაძირკველზე და
ქართული მეცნიერების სინდისზე.

1953 წლის 14 ოქტომბერს ს. ჯანაშიას
სახელობის სახელმწიფო მუზეუმმა სთხოვა
ილია ზურაბიშვილს დაეწერა მოგონება
აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილზე.

1953 წლის 2 ნოემბერს მან ასეთი პა-
სუხი (წერილის დედანი ინახება გიორგი

ლენინძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმში ი. ზურაბიშვილის პირად ფონდში № 23141) გაუკზავნა მუზეუმის დირექტორს:

„დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩემთვის მეტად საპატიოა თქვენი დავალება მოგაწოდოთ მოგონება განსვენებულ აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილზე.

ძალიან ვწუხვარ, რომ ჯერჯერობით ვერ ვასრულებ ამ დავალებას.

ჩემი ქვეყნის კულტურულ სფეროში ივანე ჯავახიშვილი ესოდენ დიდი პიროვნებაა როგორც მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აგრეთვე მაღალ ზნეობრივ თვისებათა მქონე ადამიანი და გულმსურვალე პატრიოტი, რომ ყოველი სიტყვა რაც მასზე ითქმის, სათანადოდ უნდა იყოს აწონილ-დაწონილი და ფაქტებთან ზედმიწევნით შემოწმებული, როგორც თვითონ იგი საკვირველი სიფრთხილით და მორიდებით ახორციელებდა ამას თავის პრაქტიკაში.

სამწუხაროდ ჩანაწერები და რაიმე დოკუმენტაცია, რაც ხელს შემიწყობდა მოგონების დაწერაში, მე არ აღმომაჩნდა, ხოლო მართ მესსიერებაზე დაყრდნობა ჩემს ხანში (82 წლისა ვხდები) ვერ გაუბედვ. აუცილებლად საჭიროა საარქივო მასალებში ჩახედვა და მესსიერების გაცოცხლება და შეკრება ამა თუ იმ საზოგადო მოვლენის გამო.

იმ წამიდან, რაც თქვენი მიმართვა მივიღე, ერთთავად ყოყმანში ვიყავ. ხანდახან მოგონების დაწერის სურვილი იმდენად

ძლიერი იყო, რომ სული წამძლევდა სოლმე და მზად ვიყავი დამეწერა ის, რასაც მიმქრალი მესსიერება მაწვდიდა. მაგრამ შიში, რომ რაიმე სიყალბე, რაიმე უსწორობა ამა თუ იმ ფაქტისა არ წამომცდენოდა და ჩემდაუნებურად არ შემებღალა ძვირფასი ნათელი ხსოვნა განსვენებულისა, მაკავებდა და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ წინასწარ მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებლად თქვენს დავალებას, რომელიც ბუნებრივად დაემთხვევა ჩემს პირად სულიერ მოთხოვნილებას, თავს ვერ გაუართმევდი, ხოლო წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას ამჟამად ვერ შევუდგები, რადგანაც ჩაბმული ვარ ქართული განმარტებითი ლექსიკონის გამოსაქვეყნებული მასალის სარეცენზით განხილვის სამუშაოებში, რაც მეტად საშურია და რასაც 1945 წლიდან ვეწევი.

სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ვერ ვასრულებ თქვენს დავალებას და ჩემ საკუთარ პირად სურვილს — მცირედი წვლილი შევიტანო დიდი ქართველი ადამიანის ხსოვნის აღდგენაში“.

ეს უკიდურესი თავმდაბლობა და სიფრთხილე გახდა მიზეზი იმისა, რომ მან 83 წლისამ (გარდაიცვალა 1955 წელს) ააფლავში წაიღო ბევრი მოგონება ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის უცნობ ფაქტებზე. ილია ზურაბიშვილის მადლიანი კალმით დახატული ესკიზებიც კი უძვირფასესი წვლილი იქნებოდა დიდი მეცნიერის ბიოგრაფიის შესწავლისათვის.

რამოქდეს მახვილი*

პროფ. მ. კვიციანი

ნიურნბერგის პროცესის მონაწილის შთაბეჭდილებანი

არ ვიცი, ასე თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ეჭვი ჭეშმარიტების საფუძველია, ამბობენ. სულერთია, გადაჭრით აქ ვერაფერს იტყვის კაცი, მაგრამ ვარაუდი კი მართლაც შესაძლებელია:

ძველი ებრაელების სვლა „აღთქმული ქვეყნისაკენ“ ხომ ე. წ. „ეგვიპტური ღამის“ შემდეგ დაიწყო. ამ უმოწყალო ქლემამ აიძულა ებრაელები, გასცლოდნენ ეგვიპტეს, სადაც მრავალი საუკუნის განმავლობაში ცხოვრობდნენ და მათი ღმერთის იეღოვას მიერ მოვლენილი მოსეს მეთაურობით წასულიყვნენ აღთქმული ქვეყნის საძიებლად. ზოგიერთთა აზრით, ჩვენს დროშიც რაღაც ამის მსგავსი იყო საჭირო, რომ სხვა ერებს შეზრდილი ებრაელობა ისევ დაძრულიყო პალესტინისაკენ. ისიც თქვეს, „ქირურგიული ოპერაციის“ გარეშე ეს შეუძლებელი იყო. ვინც ამას ამბობდა, ცხადია, იცოდა კიდევ, რომ ამით დიდი მსხვერპლი იქნებოდა გაღებული, მაგრამ სამაჟოროდ სხვა ერებს ძალით მოწყვეტილი და ცოცხლად დარჩენილი ებრაელები დაუბრუნდებოდნენ თავიანთ სამშობლოს; იმათი სიცოცხლე კი, ვინც ამ მოწოდებას ბაიბურში არ აგდებდა, არაფრად უღირდათ ახალი აღთქმული ქვეყნის მაძიებელთ. პირიქით, რაც უფრო მეტი მსხვერპლი იქნება გაღებული, მით უფრო გაძლიერდება ლტოლვა პალესტინისაკენ. თან ასეთ ფაქტსაც იმოწმებდნენ: მაშინ, როდესაც ნაციონალ-სოციალისტურ გერმანიაშიც მოეწყო ებრაელთა რაღაც ბიბლიური „ეგვიპტური ღამის“ მსგავსი რბევა, ამ ოპერაციას ანალოგიით „კრისტალის ღამე“ უწოდეს. უფრო საოცარი ის არის, რომ გერმანის დავალებით, ყველაზე გაცოფებული ანტისემიტი აინზანი დაუკავშირდა სახლვარგარეთის ებრაულ ორგანიზაციებს და მათი მეშვეობით გააჩაღა ჰიტლერული რეჟიმის დაცვის პროპაგანდა. ამ „ფანტასტიკური ურთიერთობის“ ერთადერთი შესაძლებელი ახსნა იმაში უნდათ დაინახონ, რომ ეს იწვევდა ებრაელთა პალეს-

ტინისაკენ ლტოლვის გაძლიერებას. რაც შეეხება მსხვერპლს, მოგესხენებათ, რომ არც ბიბლიური მოსე და არც ჰიტლერი არ ერიდებოდნენ ჯერ ათასობით, ხოლო შემდეგ მილიონობით ადამიანების მსხვერპლშეწირვას. შეიძლება ეს მართლაც იმის საბუთად იქნეს მიჩნეული, რომ ამგვარი „კურიოზული ალიანსი“ ჩვენს დროში ბიბლიური ლეგენდების გაცოცხლებას წარმოადგენს. ყოველ შემთხვევაში, ამ ბუნდოვან ვარაუდებს რომ თავი ვანებოთ, ჰიტლერის ანტისემიტიზმის მიზანი სრულიად გაჩვეულად იყო ჩამოყალიბებული. იგი ამბობდა:

— ანტისემიტიზმი მოხერხებული რევოლუციური საშუალებაა, ანტისემიტიური პროპაგანდა კი ჩვენი პოლიტიკური კომპანიის თითქმის აუცილებელი პირობაა ყველა ქვეყანაში. თქვენ ნახავთ თუ რა მცირე დრო დაგჭირდება იმისათვის, რომ ებრაელებზე თავდასხმით გადავატრიალოთ მთელი მსოფლიოს წარმომადგენლები და კრიტიკიუმები. ეჭვი არ არის, რომ ეს ჩემი პროპაგანდისტული არსენალის ყველაზე ძლიერი იარაღია...

სწორედ რომ იარაღი, რამაც ექვსი მილიონი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერალა. ნიურნბერგის პროცესზეც უმთავრესად ამას აქცევდნენ ყურადღებას, ბრალდების მხარე კი მხოლოდ ფაქტების კონსტატაციას ახდენდა. ამგვარი ფაქტები კი იმდენად შეიმადრწუნებელი იყო, რომ სხვა ყველაფერი მიიჩნეებოდა. თან ეს დაუსრულებელი საბუთები... დოკუმენტები... მკვლელობისა და წამების საშინელი სურათები... ისე დამაჩლუნებლად მოქმედებდა, რომ უკვე მოსმენაც არავის შეეძლო ამისი. მაგრამ რა ექნათ, მილიონი ადამიანის დახოცვა ისეთი საქმე ხომ არ არის, რომ გვერდის ავლა შეიძლებოდეს. ამიტომ პროცესის წინაშე ისევ ჩაიარა ამ შეიმადრწუნებელმა ფაქტებმა: ჯერ მოქალაქეობის ჩამორთმევა, მერე სამკერდე ნიშანი — ექვსქიმიანი ვარსკვლავი, სამუშაოდან დათხოვნა, ფულადი ჯარიმა, სინაგოგების დაწვა, კრისტალის ღამე, საკონცენტრაციო ბანაკები და გეტოები, ბოლოს კი ებრაელობის საკითხის „საბოლოო გადა-

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1972 წ., № 3, გვ. 58—67, № 5, გვ. 68—71, № 6, გვ. 65—71.

წყვეტა“: 6 მილიონი კაცი — ფერფლი და კვამ-
ლი, სხვა არაფერი...

ელემის ბალი...

როგორ ხდებოდა ეს, საკონცენტრაციო ბანაკების
ყოფილმა ტუსადებმა აჩვენეს პროცესზე. როცა
ისინი შემოიყვანეს ღარბაშში, „მეზობელმა“ გად-
მომილაპარაკა:

— ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, თითქოს ჯო-
ჯოსეთის არჩილებს ვხედავდეთ...

პირველი ასეთი „არჩილი“ მორის ლამპი იყო.
ლუშრმენსი: თქვენი სახელი და გვარი?

ლამპი: მორის ლამპი.

ლუშრმენსი: გაიმეორეთ ჩემთან ერთად ფიცის
სიტყვები: ფიცავ, ვილაპარაკო ყოველგვარი შიშის
გარეშე...

ლამპი: ფიცავ, ვილაპარაკო ყოველგვარი შიშის
გარეშე...

ლუშრმენსი: ვილაპარაკო სიმართლე...

ლამპი: ვილაპარაკო სიმართლე...

ლუშრმენსი: სრული სიმართლე, მხოლოდ სი-
მართლე...

ლამპი: სრული სიმართლე, მხოლოდ სიმართლე...

ლუშრმენსი: ასწიეთ მარჯვენა ხელი და გაიმეო-
რეთ: მე ფიცავ!

ლამპი: მე ფიცავ!

და დაიწყო საშინელებათა მოყოლა: 12 გრადუ-
სი ყინვა. საქონლის გადასაყვანი ვაგონები. 1200
სრულიად შიშველი ფრანგი სამხედრო ტყვე. მატუ-
ტაპუნენი. კომენდანტის მიმართვა:

— მე უნდა წინასწარ გაგაფრთხილოთ, რომ
უკვე არასოდეს არ დაუბრუნდებთ თქვენს ოჯახს.
ვინც ამ ბანაკში ხვდება, აქედან მხოლოდ კრემა-
ტორიუმის საკვამლე მილით გადის...

თვითონ ლამპმა თქვა:

— ეს იყო დანტეს ჯოჯოსეთის სურათები! 1944
წლის სექტემბერს მობრძანდა ჰიმლერი. ბანაკის
კომენდატურამ მას წარმოდგენა გაუმართა: 50
ოფიცრის დახვერტა.

სხვა დროს: ეშვლონი საკენებაპუნენის ბანაკიდან
2500 ტყვე. გზაში მოკვდა 800. 1700 მოიყვანეს
მატუტაპუნენში. მათგან 400 მოხუცი და ავადმყოფი
გადაარჩიეს „ლაზარეთში გადასაყვანად“. მერე
10 გრადუს ყინვაში გახადეს და ისე დააყენეს ეზო-
ში. ზოგი მაშინვე გაიყინა. სხვები ცივი შხაპის
ქვეშ გაატარეს და ისე ეზოში გამოიყვანეს, ვიდრე
ისინიც გაიყინებდნენ. ეს პროცედურა 18 საათი
გრძელდებოდა. ვინც კადვე ფთქავდა, ნაჯახის
დარტყმით უღებდნენ ბოლოს...

ფრანგმა ბრალმდებელმა, რომელიც მორის ლამპს
დაკითხავდა, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და ენის
ბორძივით ჰკითხა:

— თქვენ პირადად უყურებდით ამას?

— დიას, — მიუგო ლამპმა და მეორე შესაძ-
ლებელი მოწმეც დაასახელა: ფრანგული კავალე-
რიის კაპიტანი დოდიონი, რომელიც იმ ოთხასთან
იყო და სასწაულით გადარჩა. იგი დაიმალა გვა-
მებს შორის და აიცილნა ნაჯახის დარტყმა. ესეუ-
ლებს „ძალიან სასაცილოდ“ ჩვენება, რომ მკვდრე-
ბის გვამებიდან ცოცხალი კაცი წამოიღვა და გაიქ-
ცა... ესროლეს, ტყვია მხარში მოხვდა, მაგრამ... გა-
დარჩა... ის დოდიონი ახლა საფრანგეთის სამხედ-
რო სამინისტროში მუშაობსო, — თქვა ლამპმა.

მერე ის მოყვა, ჰაიდრიხის მოკვლის ამბავი რომ
მოვიდა მატუტაპუნენში, როგორ დახვერტეს 3 ათა-
სი ჩენი სამხედრო ტყვე.

ლუშრმენსი შეეკითხა დაცვის მხარეს, ხომ არ
სურს რომელიმე თქვენგანს, ჰკითხოს რამე მოწმესო.
ამის მსურველი, რა თქმა უნდა, არც ერთი მათ-
განი არ აღმოჩნდა. სხვა დროს კი ზოგჯერ დამც-
ველიც ჩაერეოდა ხოლმე ამგვარ დაკითხვაში. ერთ-
ხელ ყოფილ საბჭოთა სამხედრო ტყვე ექიმს და-
კითხავდნენ. ის მოყვა:

— ყოველდღე ბანაკში, ან ერთი ბანაკიდან მეო-
რეში გადაყვანის დროს, შიშვლიდან იხრებო-
და 700, 800, 900 ტყვე. აქ გერმანიის უმაღლესი
სარდლობისა და გენშტაბის დამცველი ლატერნე-
რი წამოიღვა და რამდენიმე კითხვის შემდეგ ასე-
თი რამ უთხრა მოწმეს:

— თქვენ სამხედრო ექიმი ბრძანდებით და უნდა
იცოდეთ, რომ არმიის მომარაგება სურსათით ად-
ვილი საქმე არ არის..

მოწმე დაეთანხმა, ადვილი არ არისო, მაგრამ
ისიც იკითხა: მოსახლეობას რატომ არ აძლევდნენ
უფლებას, პროდუქტები გადაეცათ მათთვის?
ან:

ლატერნერი: თქვენ თქვით, რომ ტყვეები შეყა-
რეს ბოსელში. მე გეკითხებით, იმ ბოსელს ჰქონდა
თუ არა სახურავი?

მოწმე: ბოსელში მხოლოდ მცირე ნაწილი ეტეო-
და, დანარჩენები ეზოში იყვნენ, ღია ცის ქვეშ.

ლატერნერი: თუ იცით, სადმე ახლოს იყო უკე-
თესი შენობა?

ეს იმიტომ ჰკითხა, ვითომ, სხვა საშუალება თუ
არ იყო, რა უნდა ექნათო.

ექვლის ასეთი საუბარი აღწვთებებს მეტს რას
გამოიწვევდა!.. სხვაც ბევრი დაკითხეს ასე, მაგრამ
ამის მოყოლა არ ღირს, სულ ერთი და იგივე სუ-
რათი: დამცირება, დახოცვა, თანაც გართობა და
გამახალისებელი მუსიკა...

ყოველივე ეს იმის შედეგი იყო, რომ ჰიტლე-
რელებს არმიის წინაშე დასახული ჰქონდათ არა
მხოლოდ გამარჯვების მოპოვების, არამედ მოწინა-
აღმდეგის სრული მოსპობის ამოცანა. ამასთან, „მო-
წინააღმდეგის“ ცნებაში იგულისხმებოდა მშვიდო-
ბიანი მოსახლეობაც. ამას მოითხოვდნენ ჰიტლერი,
ჰიმლერი, გერინგები, კაიტელი და სხვებიც, ე. ი. პო-
ლიტიკოსები, არმიის ხარდლები და ესეულები.



პროცესზე წაიკითხეს ფელდმარშალ ჰერტ რუნდ-შტედტის სიტყვები, წარმოქმნილი ზერლინის სამხედრო აკადემიების კურსანტთა წინაშე:

— 1918 წლის სერიოზულ შევდომათა შორის ერთი პირველადანია ის იყო, რომ ჩვენ დავინდეთ მოწინააღმდეგე ქვეყნების სამთავროს წინააღმდეგობას სიკეთესა და მშინ როდესაც აფილიებულობა, გერმანელები ორჯერ მეტი იყვნენ, ვიდრე დაპყრობილ ქვეყნებში მცხოვრებნი. ამიტომ ჩვენ მოვალენი ვართ, გავეღობოთ მათი მოსახლეობის სულ მცირე მუშა-მედი მიანიც...

სომ ხედავთ, რა „მოკრძალებითა“ ნათქვამი „სულ მცირე მუშავედი მიანიცო“. მართალია, პიტლერი, ჰიმლერი და სხვები მეტს მოითხოვდნენ, მაგრამ დაფანტვით ახლა ამას თავი და რუნდშტედტის „სულ მცირე“ ეფერება ჩაუკვირდეთ. აბა, თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, რამდენი მოსახლეობა იყო გერმანელების მიერ დასავლეთისა და აღმოსავლეთში დაპყრობილ ტერიტორიებზე და გაყავით სამზე, „სულ მცირე“ ახა მივლით მიანიც სომ გამოვლიც? ხედავთ, რას მოითხოვს „მოკრძალებული“ ფელდმარშალი? ვიპოვებ, არა პიტლერი ან ჰიმლერი, არამედ რუნდშტედტი, რომელიც თვითონ იყო ხან აღმოსავლეთის და ხან დასავლეთის არმიათა ჯგუფების სარდალი. როგორ გვნათიათ, ის გაიმეორებდა იმ „შევდომებს“ რაც, მისივე სიტყვებით, 1918 წელს იქნა დამტკიცებული? რა თქმა უნდა, არა. მაშ, რატომ გაუკვირდათ, როცა პროცესზე იმავე რუნდშტედტის ოფიცერის, უფროს ლეიტენანტ მიუ-ლერის ასეთი შემაძრწუნებელი მოხსენებით ბარათი წაიკითხეს:

1942 წლის 21 სექტემბერს ჩემმა ასეულმა მიი-ლო ბრძანება სოფ. ბორკის მოსახლეობის შესახებ... გაცნობებთ ამ ოპერაციის რიცხობრივ შედეგს. დასერეტილია: მამაკაცი — 203, ქალი — 372, ბავშვი — 130.

ეს ერთ სოფელში! სხვაგან? ვინ მოსთვლის, სად რამდენი დასოფეს. მიერ თვითონაც გაუჭირდათ ეს და იმაზე იზრუნეს, თუ როგორ გაფრთხილებოდნენ მკვლელების ნერვებს. ამიტომ იყო, რომ ჰიმლერმა უბრძანა დამსჯელი ჯგუფების ხელმძღვანელებს, ამიერიდან ქალები და ბავშვები „ბეკერის სისტემით“ დასოცეთო. საქმე ის არის, რომ დამსჯელი რაზმების „სამუშაოს“ ფსიქოლოგიურად შესაბამისობადად „ფრიად განათლებულმა ინჟინერმა“ ბეკერმა გამოიგონა ის ჯოჯოხეთის მანქანა, რომელსაც შემდეგ „გაზაგენი“ ანუ „დუშეგუბა“ დაერქვა. ეს მანქანა პირველად გამოიყენა ოლენდორფმა, რომელსაც თავისი დამსჯელი რაზმი მოჰყავდა გაყვასისკენ. პროცესზე მან თქვა, რომ, მიუხედავად დიდი იმედებისა, ბეკერის სისტემის გამოყენებამ მიანიც ვერ შეამსუბუქა დამსჯელი რაზმების „ფსიქოლოგიური დაძაბულობა“ ქალებისა და ბავშვების დასოცვის დროს.

ღა აი, ახლა ეს ლამაზი გარეგნობის ახალგაზრ-

და გენერალი დგას მოწმის ტრიბუნალს და სიმბოლო ბრალდებულის მოადგილე პოკროფსკი არკვევს, რატომ მოხდა ეს ასე:

პროკროფსკი: თქვენ თქვით, რომ ამ მანქანებში უმთავრესად მოცადნენ ქალებსა და ბავშვებს, რა მოსაზრებით?

ოლენდორფი: ჰიმლერის კატეგორიული ბრძანება იყო, ამიერიდან ქალები და ბავშვები დავეცოცა მხოლოდ „გაზაგენების“ საშუალებით, რათა თავიდან აგვეციდინა ზედმეტი სულიერი მღვდვარება. ეს საშუალებას აძლევდა მამაკაცებს, რომელთაც ცოლ-შვილი ჰყავდათ, არ ესროლათ ქალებისა და ბავშვებისათვის.

პროკროფსკი: ვინმე თუ აღწევდა თვალყურს მათ მოწამულას „გაზაგენის“ ძარაში?

ოლენდორფი: დიას, ექიმი.

პროკროფსკი: იცით თუ არა თქვენ იმის შესახებ, რომ ბეკერის მოხსენების მიხედვით ამტკიცარი სიკვდილი განსაკუთრებით მტანჯველი იყო?

ოლენდორფი: არა. ბეკერის მოხსენების შესახებ მე მხოლოდ აქ შევიტყვე. როცა გამაცნეს მისი წერილი რაუფისადმი...

პროკროფსკი: თქვენ თუ მოგდით ცნობები, რომ დამსჯელი რაზმები, არცთუ ისე ხალისით იყენებდნენ ამ მანქანებს?

ოლენდორფი: მე ვიცოდი, რომ ოპერატიული ჯგუფები იყენებდნენ ამ მანქანებს.

პროკროფსკი: არა, მე სხვა რამე მაქვს მხედველობაში. გაცნობებდნენ თუ არა თქვენ, რომ ოპერატიული ჯგუფები ბეკერის სისტემის მანქანის გამოყენებას სხვა სახით სიკვდილით დასჯას ამჟობინებდნენ?

ოლენდორფი: ე. ი. თქვენ გინდათ თქვათ, რომ ისინი ბეკერის მანქანას ამჟობინებდნენ სხვა სახით დასოცვას?

პროკროფსკი: პირაქით, რომ მათ ენრიათ დაესერიტათ ისინი, ვიდრე მოეწამლათ გაზაგენებში.

ოლენდორფი: დიას, მე ამის შესახებ უკვე მოგახსენეთ...

პროკროფსკი: რა მოსაზრებით ხდებოდა ეს ასე?

ოლენდორფი: რამდენადაც მახსოვს, იმიტომ, რომ ორგანიზმის მოწამულის შედეგები ეტყობოდა გემებს. ეს ძალიან ცუდი სანახაობა იყო. გარდა ამისა, მანქანის ძარის დაცვა იყო ძნელი, რადგან გემები მოსვრილი იყო განავალით...

პროკროფსკი: თქვენ გინდათ თქვათ, რომ გვამებს ეტყობოდათ ტანჯვა, რასაც დასჯალები განიცდიდნენ სიკვდილის დროს? ასეა, არა?

ოლენდორფი: მხედველობაში გაქვთ „გაზაგენი“ მოწამულა?

პროკროფსკი: დიას!..

ოლენდორფი: მე შემიძლია გაგიმეორო, რაც უკვე მოგახსენეთ. ექიმმა მიხსრა, ასეთი სიკვდილის დროს ისინი არ იტანჯებოდნენო...



პრობლემაში: მაშინ სრულიად გაუგებარია, თქვენნი ნათქვამი, რომ ოპერატიული ჯგუფები ირჩევდნენ დასჯერტას და არა ამ მანქანის გამოყენებას?

ოლმდლორში: დიას, მე უკვე მოგასხენეთ გვაგებობის მდგომარეობის გამო. ისინი ამოგანგულუი იყვნენ...

ის ოჯახაშენებელი პოკროვსკიც რომ არ მოეშვა ამ კითხვას! იგი ჩააცვიდა ოლენდორფს და ერთხელ კიდევ ათქმევინა, რომ „გაზვაგენის“ ძარა მოსვრილი იყო...

როგორც ჩანს, ამან ნიკიტჩენკოს ჩვეული „ოლიმპური სიმშვიდე“ დაარღვია და თვითონ ჩაერია დაკითხვაში, რომ საუბარი სხვა თემაზე გადაეტანა, მაგრამ დარბაზში ისევ ის ისმოდა: სოცვა-ულეტა, ძალადობა, გაუპატიურება, ძარცვა. მეჩვე ისეთი შემადრწუნებელი მასალები იქნა წარდგენილი, რომ ამის მოსმენა, მართლაც, აღარ შეიძლებოდა... ბევრმა ყურმილი მოისხნა... კორესპონდენტების ნაწილი გავიდა დარბაზიდან. ეს იყო თითხმეტყვიან ცხარეშეკრები თებერვლამდე... საბჭოთა ბრალმდებელმა აღნიშნა, ამკვარი დანაშაულებრივი მოქმედების 54.784 აქტია შედგენილი, მაგრამ ამას ვინ ჩამოთვლიდა ან რა გული აიტანდა ამის მოსმენას!

ტრიბუნაზე კი ასეა საბჭოთა ბრალმდებელი სმირნოვი იდგა და ისიც იმას ვგებოდა — ხად, ვინ და რამდენი დასჯერტეს, რამდენი კაცი, ქალი, ბავშვი, მოსუფი; რამდენი გაუპატიურეს და მოკლეს...

ბავშვების წარმოება...

შემადრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა პროცესზე დასახუბა და ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკების „სამედოცინო ლაბორატორიებში“ ჩატარებული ცდების შესახებ წარდგენილმა საბრალდებო მასალებმა. ამ ლაბორატორიებში გამოჩენილი გერმანელი ექიმები სრულიად ჯანსაღ ადამიანებზე ასდენდნენ ცდებს — კაცებზე, ქალებსა და ბავშვებზე. აქ წარმოება მამაკაცების კასტრაცია, ქალების სტერილიზაცია, სხვადასხვა ავადმყოფობით ხელოწურვი დაავადება, შხამიანი ნივთიერებების გამოცდა ბავშვებზე და ა. შ. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა კასტრაციისა და სტერილიზაციის ჩატარებას რენტგენის სხივებით. ამისთვის მხოლოდ ერთ „ბლოკში“ 400 ქალი და ამდენივე კაცი ჰყავდათ ერთდროულად შერჩეული. „ცივის ობიექტების“ უდიდესი ნაწილი იხოცებოდა. მათ ადგილს კი ახალ-მოყვანილებით ავსებდნენ — უმთავრესად 16-18 წლის ქალიშვილებით. მეჩვე ამგვარმა ცდებმა მასობრივი ხასიათი მიიღო.

როგორც მოგესხენებოთ, ადრე მხოლოდ აღმოსავლეთის დესპოტურ სახელმწიფოებში მიმართავდნენ დასაჯურისებას, და ისიც, უმთავრესად ჰარამხანების საჭიროებისათვის. ახლა კი ჰიტლერელებმა ეს

საზიზღრობა თავიანთი გეოპოლიტიკის ნაწილად აქციეს. პროცესზე გაოცებოთ უსმენდნენ საბჭოთა ბრალმდებელ სმირნოვს, რომელიც მამაკაცების მასობრივი დასაჯურისების მასალებს უდგენდა ტრიბუნალს. ჰიმლერი დაქინებით მოითხოვდა ამ „საქმის“ კიდევ უფრო მასობრივად გაშლას. არკვევდა, თუ რამდენი კაცისა და ქალის კასტრაცია შეიძლებოდა ყოველდღიურად. რატომ? რისთვის? კითხვობდა გაოცებული ხალხი. პასუხი კი ნათელი იყო: დაპყრობილ ტერიტორიებზე არაგერმანული მოსახლეობის მკვეთრად შესამცირებლად, რაზედაც ჯერ კიდევ 1934 წელს ესაუბრებოდა ჰიტლერი რაუმინიგს:

— ცნება „მოსაბოზაში“ მე არ ვგულისხმობ იმ ხალხის აუცილებელ გაქვტას. მე, უბრალოდ, მივიღებ ზომებს მოსახლეობის ბუნებრივი ნაშაბის შენაწყვებლად... არსებობს მრავალი საშუალება, რითაც შესაძლებელია შედარებით უმტკივნეულოდ, ყოველ შემთხვევაში, ყოველგვარი სისხლისღვრის გარეშე, მივალწიოთ არასახურველი ხალხების თანდათან გაქრობას.

პროცესზე ფრანგი ბრალმდებელი დიუბოსტი შეეკითხა მოწმედ გამოძახებულ კლოდ მარი ვაიანკუვიურის, რომელმაც ოსვენციმში ნახა ქალების სტერილიზაცია:

— რა მიზნით აწარმოებდნენ ესეცელები ქალების სტერილიზაციას?

— ამას არც მალავდნენ — უბასუხა კლოდ მარიმ, — ამზობდნენ, რომ ეძებდნენ სტერილიზაციის საუკეთესო საშუალებას, რათა ოკუპირებული რაიონების მოსახლეობა თანდათან შეეცვალათ გერმანელებით...

... პროცესზე წარმოადგინეს აგრეთვე გერმანული პოლიციის მიერ გამოცემული დოკუმენტები, სადაც ეწერა: ამას და ამას უფლება აქვს იცხოვროს ამა და ამ ქალაქში, მხოლოდ იმ პირობით, თუკი მას დასაჯურისებენ...

დამახასიათებელია, რომ ექიმები, რომელთაც სურდათ საკუთარ კლინიკებში ჩატარებინათ ამგვარი ცდები, საკონცენტრაციო ბანაკებში ყოფილობდნენ „ცდების ჩასატარებელ მასალებს“ — ქალებსა და კაცებს...

თუ ამით ჰიმლერს, ერთი მხრივ, უნდოდა განეხორციელებინა ჰიტლერის მითითება „ნაციონალური ერთეულების ლიკვიდაციის“ შესახებ, მეორე მხრივ, იგი გერმანული ხალხის ინტენსიურ გამრავლებასაც ზრუნავდა. მისი მოთხოვნით, ოსვენციმშივე წარმოებდა ცდები „ხელოვნური განაყოფიერებით“ ფრიცებისა და ჰანსების, გრეტჰენებისა და ჰეტრუდების მოსამრავლებლად...

(დასასრული შემდეგ ნომერში)

შრომა საბინაო კოოპერაციის შესახებ

პროფ. შ. ჩიკვაშვილი სასარგებლო მუშაობას ეწევა საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული ურთიერთობის შესწავლის საკითხში. მისი წიგნი „კანონი და საბინაო კოოპერაცია“ სამართლის აქტუალური პრობლემებს ეძღვნება.

წიგნის შესავალში ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ სხვადასხვა უწყებების მიერ გამოცემულ საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის მომწესრიგებელ ნორმატიულ აქტებში შეიმჩნევა წინააღმდეგობა. ეს აქტები პასუხს არ იძლევა ბევრ საკითხზე. ცხადია, ასეთ პირობებში, ამ თემაზე ნაშრომის შექმნა რთულია.

ნაშრომი დაწერილია 1971 წლის 1 ივლისამდე ე. ი. ჩვენს რესპუბლიკაში საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის შესახებ ახალი წესდების დამტკიცებამდე (მაგრამ გამოცემულია ახალ სანიმუშო წესდების შემოღების შემდეგ).

თეორიულად, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ინსტიტუტი, კერძოდ, ამხანაგობის ნაირსახეობა უნდა იყოს, მაგრამ ეს ინსტიტუტი ამჟამად განდევნილია სამოქალაქო სამართლის კოდექსიდან. ამის გამო საბინაო-სამშენებლო კოოპერაცია¹ ადმინისტრაციული რეგლამენტაციის ერთ-ერთ საფეხურზე მოექცა, სამოქალაქო სამართლებრივი მცირე ელემენტებით.

იურიდიულ ლიტერატურაში, ხშირად გამოითქმის შეხედულებები და წინადადებები, კოოპერატივების ბინების ექსპლუატაციის პირობების კომუნალური ბინების ქირავნობასთან დაახლოების ან გათანაბრების შესახებ. ეს პროცესი ფაქტურად დაწყებულია. კოოპერატივების სახლების მშენებლობას ახორციელებენ სახელმწიფოს საიჯარო ორგანიზაციები სახელმწიფო ვეგმის მიხედვით. კოოპერატივებს არ გააჩნიათ თავიანთი ცენტრი, მატერიალური ბაზა და არც შემკვეთნი არიან, რამდენადაც ეს მოვალეობა გადაცემული აქვს აღმასკომის სათანადო სამმართველოს, კოოპერატივის წევრები შრომითს მონაწილეობას არ იღებენ სახლის მშენებლობაში, სახლები სახელმწიფოს კრედიტის დახმარებით შენდება და სხვ. მართალია, კოოპერა-

ტივები აგროვებენ თანხებს წევრთა შორის, ეწევიან წევრების დაკომპლექტებას, ანაწილებენ ბინებს წევრთა შორის და სხვ., მაგრამ სახალხო მეურნეობრივი თვალსაზრისით, ამ მეორეხარისხოვანი საკითხების გადაწყვეტის დროსაც, მათ სრული ადმინისტრაციული კონტროლი ეწევათ. ბევრი იურისტი, მათ შორის შ. ჩიკვაშვილიც ე. წ. კოოპერატიული დემოკრატიის დაცვის მიზნით, კოოპერატივის საერთო კრების განსაკუთრებულ კომპეტენციას მიაკუთვნებს ბევრი საკითხის გადაწყვეტას და საჭიროდ არ სცნობს მათს სასამართლო განსჯადობას. კომუნალური ბინების ქირავნობა უახლოვდება ბინაზე, დამოუკიდებელ სანივთო უფლებას. იგი გაცხდა ვალდებულებით ურთიერთობის სფეროს.

მართალია მოქალაქე კომუნალურ, პირადი საკუთრების თუ კოოპერატიულ სახლში ცხოვრების დროს სხვადასხვა უფლებებით სარგებლობს, მაგრამ ეს განსხვავება მათი თავისებობის „დიფუზიის“ წყალობით თანდათან ნიველირდება. ამიტომ არ უნდა გავავიადოთ კოოპერატივის ის თავისებურებები, რაზეც მიუთითებს შ. ჩიკვაშვილი თავის ნაშრომში. ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია ის, რაც ახასიათებს საბინაო-სამშენებლო კოოპერაციას ჩვენს რესპუბლიკაში და რომელიც საკმარისად არა აქვს გაშუქებული ავტორს. ეს თავისებურება მხოლოდ აღწერილია შრომის მეოთხე თავში და არავითარ ზეგავლენას არ ახდენს ავტორის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ კონსტრუქციებზე, მავალითად, კოოპერატივის წევრობაზე და სხვ.

ჩვენში არსებული თავისებურებანი ახალ სანიმუშო წესდებაში, სრულად არ აისახა.

სხვა რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, საქართველოს სსრ-ში კოოპერატივისათვის გამოყოფილ ნაკვეთზე დასანარკვეი სახლების მესაკუთრეთა და მობინადრეთა ბინებით უზრუნველყოფას თვით კოოპერატივები ახორციელებდნენ. სხვა რესპუბლიკებში ეს მოვალეობა დაკისრებული ჰქონდათ აღმასკომებს. ასეთმა წესმა, ან უკეთ რომ ვთქვათ, კოოპერატივის

1 შემდგომში საბინაო-სამშენებლო კოოპერატივს კოოპერატივად მოვიხსენიებთ.

წევრისთვის ასეთი დამატებითი ხარჯების დაკისრებამ, დიდი დახმარება გაუწია ადგილობრივ აღმასკომებს და გაუადვილა მათ კოოპერატიული ბინათმშენებლობის ხელმძღვანელობა².

ჩვენს რესპუბლიკაში კოოპერატიული ბინების მშენებლობის თავისებურებასთან დაკავშირებით წამოიჭრება საკითხები: როგორ და როდის ფორმდება დასანარგევი სახლის მესაკუთრის და მობინადრის წევრობა; რამდენად სწორია გამგეობის მიერ დადებულ საგარანტიო ხელშეკრულებები, რომლებიც საერთო კრების გარეშე უკვე წევრობის და ბინის მოთხოვნის უფლებას აძლევენ მესაკუთრეებს და მობინადრეებს; როგორ ეთანაწყობა სსრ კავშირის სახმშენის 1965 წლის 20 მაისის მითითების მე-13 მუხლი ბინის სამშენებლო ღირებულების განსაზღვრას (დასანარგევი სახლის ღირებულების ჩაუთვლელად) 1962 წლის სანიმუშო წესდების მე-14 მუხლის მოთხოვნას, რომლის მიხედვით დასანარგევი სახლების მესაკუთრეთა და მობინადრეთათვის პაის დარიცხვა კოოპერატივის წევრების ხარჯზე ხდებოდა.

ჩვენს რესპუბლიკაში არსებულ თავისებურებებს მართლაც სჭირდებოდა გამოკვლევა და დასაბუთება.

სარეცენზიო შრომის 52-ე გვერდზე, სადაც თითქოსდა ლაპარაკია აღნიშნულ თავისებურებებზე მისგან გამომდინარე შედეგებით, ავტორი წერს, რომ დასანარგევი სახლების მესაკუთრეებს და მობინადრეებს (რომელნიც ერთ წელზე მეტხანს ცხოვრობენ დასანარგევ სახლში) „კოოპერატივში შესვლის უპირატესი უფლება ენიჭებათ კოოპერატივის დაარსების დროს, ხოლო შემდეგ ისინი ჰკარგავენ ამ უფლებას და კოოპერატივის წევრებად მიიღებიან საერთო წესით“. ასეთი შეხედულება არაფერს არ ემყარება. აღნიშნულ პირებს უფლება არა კოოპერატივის წევრობაზე წარმოეშობათ არა კოოპერატივის დაარსებასთან დაკავშირებით, არამედ კოოპერატივისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის გამო, რომელზეც მათს სარგებლობაში არსებული სახლები და ბინე-

ბია აგებული. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მე ჩემს შენიშვნებს სარეცენზიო შრომის შესახებ ორ ჯგუფად დავყოფდი: პირველი შეეხება ავტორის მიერ გამოთქმულ უხერხულ ან დაუზუსტებელ განმარტებებს, მეორე ავტორის პრინციპულ შეხედულებებს.

1. უზუსტო გამოთქმის მაგალითს შესავალშივე ვხვდებით. ავტორი აღნიშნავს, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმები, რომლებიც აწესრიგებს კოოპერატიულ ორგანიზაციის სახლებში ბინის ქირავნობასთან დაკავშირებულ საკითხებს, კოოპერატივების მიმართ არ გამოყენება (გვ. 3). ეს არ არის სწორი, რადგან სამოქალაქო სამართლის ნორმები კოოპერატივის სახლების მიმართაც გამოიყენება, რასაკვირველია, კანონით მითითებულ შემთხვევებში (იხ. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 293-ე მუხლი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1967 წლის 25 თებერვლის № 3 დადგენილების მე-4 მუხლი).

2. ავტორი წერს, რომ სხვა კოოპერატიული ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში საცხოვრებელი ფართობის დასაკავებლად ორდერს იძლევა მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი, სათანადო ორგანიზაციის აღმინისტრაციისა და პროფესიული ორგანიზაციის ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე (გვ. 6). ეს ერთ-ერთი თავისებურებაა, რომელიც თითქოს განსხვავებს აღნიშნული სახლების და კოოპერატივების სახლების რეჟიმს.

ავტორს დაავიწყდა, რომ იმ ორგანიზაციების მიერ აგებულ სახლებში, რომლებზედაც ვრცელდება სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულება და აგებულია ზეგემპურა მოგებისა და ზეგემპური ეკონომიის ხარჯზე³ ბინების დეკავება (ჩასახლება) ხორციელდება საწარმოს აღმინისტრაციის და პირველად პროფორგანიზაციის ერთობლივი გადაწყვეტილებით „რაც შემდგომ ეცნობება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს“. ეს დებულება ვრცელდება არა მარტო საწარმოებზე არამედ ყველა ორგანიზაციაზე, რომელმაც სახლი ააგო საკუთარი ფონდების ხარჯზე. მაშასადამე, ორდერი, რომელიც ყო-

² მაგრამ თითოეული სახლის მშენებლობა თბილისში საშუალოდ 5—6 წელს მაინც გრძელდებოდა და მშენებლობის გეგმები არ სრულდებოდა (ი. ციციშვილი, საბინაო მშენებლობის განვითარების საკითხები საბჭოთა საქართველოში, „საქართველოს სახალხო მეურნეობა“, 1971, № 3, გვ. 8—12).

³ იხ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის ოქტომბრის № 842 დადგენილება და სოციალურ-კულტურული ფონდის შესახებ დებულების მე-7 მუხლი, Законодательство о капитальном строительстве, выш. 4, стр. 363.



ველთვის საჭირო არაა ბინაში ჩასახლები-სათვის, ვერ გამოდგება აღნიშნული სახლები-სათვის პრინციპიალური განსხვავებულობის და-სადგენად.

3. ავტორის აზრით, ინდივიდუალურ მენაშე-ნეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის არ ახა-სათებს ისეთი ერთიანობა, „რაც მიანიჭებდა მის შესაძლებლობას იურიდიული პირის სახით ემოქმედა“ (გვ. 12) საქართველოს სსრ მინისტრთა სიბჭის 1958 წლის 18 აგვისტოს № 539 დადგენილებით⁴ დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მიხედვით კოლექტივი იურიდიულ პირად არის აღიარებული.

4. კოოპერატივის მოწყობის პროცედურის აღწერისას, ავტორი ხმარობს ტერმინებს „დამ-ფუძნებელი“, „დაარსებითი აქტი“ და აღმას-კომის „ნებართვას“. ამ ტერმინებს ხხვაგვარი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო სამართალში და კოოპერატივის სანიმუშო წესდება არ იხსენ-იებს. საქართველოს სსრ 1923 წლის სამოქალ-აქო სამართლის კოდექსის მიხედვით, სააქ-ციო საზოგადოების წესდების სათანადო ორ-განოში დამტკიცებამდე, საზოგადოების დამ-ფუძნებლები იწვევდნენ წინასწარ და შემდეგ დამფუძნებელ კრებებს (იხ. საქართველოს სსრ 1928 წლამდე რედაქტირებული სამოქალა-ქო სამართლის კოდექსის 322, 332, 333 მუხ-ლები). შ. ჩიკვაშვილის მიერ აღწერილი ე. წ. მოსამზადებელი სტადია ძალიან წაგავს დამ-ფუძნებლის წინასწარ კრებას, ხოლო მის მიერ აღწერილი მეორე სტადია — სააქციო საზო-გადოების დამფუძნებელ კრებას.

თავისთავად ცხადია, რომ თუ კოოპერატივის დაარსება დამოკიდებული იქნებოდა დამფუძ-ნებლებზე, მაშინ მის ყოველ წევრს უფლება ექნებოდა გაესაჩივრებინა სასამართლოში კო-ოპერატივის საერთო კრების ყოველგვარი დად-გენილება.

მაგრამ შ. ჩიკვაშვილი თავისივე თეორიის სა-წინააღმდეგოდ დაყენებით იცავს კოოპერატი-ვის საერთო კრების დადგენილების სასამართ-ლო წესით გასაჩივრების შეუძლებლობას, გარდა ვარიცხული წევრის აღდგენის საკითხი-სა და უპირატესი უფლების მქონე პირის კო-ოპერატივში წევრად მიღების უარის თქმის შემთხვევისა.

5. ავტორი მოითხოვს, რომ წესდებაში განი-საზღვროს კოოპერატივის წესდების რეგისტ-რაციის ვადა. ასეთი ვადის დაწესება აუცილე-ბელი და საჭირო იქნებოდა, რომ კოოპერა-ტივი მართლაც დამფუძნებელთა ინიციატივით

და ნებართვითი წესით ყოფილიყო წარმოშო-ბილი. მაგრამ ამჟამად, ამას არავითარი პრაქტი-კული მნიშვნელობა არა აქვს. რეგისტრაცია წარმოებს იმ მომენტისათვის, როდესაც კოო-პერატივის გამოეყოფა მიწის ნაკვეთი და მშე-ნებლობა შეტანილი მქნება მშენებელი ორგა-ნიზაციების ვეგემაში.

6. ავტორი აღნიშნავს, რომ 25 წლის მან-ძილზე კოოპერატივის სანიმუშო წესდება სამ-ჯერ შეიცვალა — 1934, 1958, 1962 წლებში. საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული ამხანაგო-ბები და მუშათა საბინაო კოოპერატიული ამხა-ნაგობები საქართველოში 1924 წლიდან 1937 წლის ოქტომბრამდე არსებობდა და წესდების მიხედვით მოქმედებდა, მაგრამ მათს სანიმუ-შო წესდებს მთავრობა არ ამტკიცებდა, რად-გან ისინი კანონის შესაბამისად, სწორედ დამ-ფუძნებლების მიერ წარმოიშობოდნენ და ტარ-დებოდნენ რეგისტრაციის სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ, ე. ი. იმ პროცედურის პირო-ბებში, რასაც ავტორი ამჟამად მოქმედ კო-ოპერატივებს მიაწერს.

7. ავტორი განიხილავს გაუქმებული და ახ-ლად მიღებული სანიმუშო წესდების თანაფარ-დობის საკითხს და მიდის იმ დასკვნამდე, „რომ გაუქმებული სანიმუშო წესდებების საფუძ-ველზე მიღებული გარკვეული საბინაო-სამშე-ნებლო კოოპერატივების წესდებები ინარჩუ-ნებს ძალას იმ ნაწილში, რომელიც არ ეწინა-აღმდეგება ახალ სანიმუშო წესდებას“ (გვ. 20).

სინამდვილეში, გაუქმებული წესდების არც ერთი ნორმა არ ინარჩუნებს ძალას. მოქმედებს არაა გაუქმებული წესდება და მისი ნა-წილები, არამედ ძველი წესდების მოქმედ-ების დროს განხორციელებული უფლება-მოვალეობანი, რომელთა გადასინჯვა არ შეიძლება, თუ ახალ სანიმუშო წესდებას მთავრობის დად-გენილებით მიღებული არა აქვს უკუქცევითი ძალა. ახალი სანიმუშო წესდება გამოყენებულ უნდა იქნეს იმ უფლებების და მოვალეობების მიმართ, რომლებიც წარმოიშობიან ახალი სა-ნიმუშო წესდების სამოქმედოდ შემოღების შემდეგ. ავტორის თვალსაზრისზე რომ დავდ-გეთ, მაშინ, შეიძლება უკვე განხორციელებუ-ლი უფლება-მოვალეობის გადასინჯვა, თუ ამის შესახებ, ძველ წესდებაში არაფერი იყო ნათქ-ვამი და თუ ახალი წესდება, დამკვიდრებულ ურთიერთობას სხვაგვარად აწესრიგებს.

8. ავტორს შემოაქვს წინადადება, რომ კო-ოპერატივის წევრებს დაეკისროთ ჯერადი პა-

⁴ საბინაო კანონმდებლობის კრებული, ქ. თბილისი, 1966, გვ. 133.

სუსხისმგებლობა საპაიო შენატანის კვალობაზე „თუ პასუსხისმგებლობა გამომდინარეობს საერთო კრების მიღებული გადაწყვეტილებიდან ან მოქმედი კანონმდებლობიდან“ (გვ. 21). თავისი აზრის დასაბუთებლად ავტორი მითითებს სამოქ. სამ. კოდექსის 35-ე მუხლზე. ვიდრე არსებითად შეეცებოდეთ ამ საკითხს, რომელიც ავტორის სრულყოფილად არა აქვს განხილული, უნდა აღვნიშნოთ, რომ პასუსხისმგებლობა კოოპერატივის ეკისრება არა მარტო საერთო კრების გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ვალდებულებებისათვის, არამედ მისი ორგანოს ბრალით მიყენებული ზარალისათვის (სამოქ. სამ. კოდ. 458 მუხ.). ეს არ ნიშნავს კოოპერატივზე პასუსხისმგებლობის დაკისრებას არაკეთილსინდისიერი დაზარალებულის წინაშე, რომელმაც იცოდა, რომ კოოპერატივის ორგანო უკანონოდ ან უფლებამოსილების გადაჭარბებით მოქმედებდა. ეს პირდაპირ გამომდინარეობს სამოქ. სამ. კოდ. 471 მუხლის და ამავე კოდექსის 56 მუხლის შინაარსიდან. უფრო მკაფიოდ, ეს წესი ვადმოცემულია ჩეხოსლოვაკიის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 421 მუხლში. მაშასადამე, კოოპერატივის პასუსხისმგებლობის შეზღუდვა საერთო კრების დადგენილებებიდან გამომდინარე ვალდებულებების ფარგლებით, გწინააღმდეგება სამოქ. სამ. კოდ. 471 მუხლს.

სწორი არ არის ავტორის მითითება სამოქ. სამ. კოდ. 35 მუხლზეც. ეს მუხლი აბსტრაქტული ნორმა და გულისხმობს ყოველგვარ კოოპერატიულ ორგანიზაციას, განსაკუთრებით ისეთებს, რომელთაც საბრუნავი სახსრები აქვთ. ასეთები იყო, მაგალითად სარეწაო არტელები: მისი გავრცელება საბინაო კოოპერატივზე არ შეიძლება, რადგან საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში დაერთვლენ პაიზე, რომელიც რეალიზებულია ბიზნესში, გადასდევინების მიქცევა არ შეიძლება (სამოქ. სამ. სავრ. კოდ. დანართი 10 მუხლი), არ შეიძლება გადასდევინების მიქცევა თვით კოოპერატივის სახლზეც (სამოქ. სამ. კოდ. 99 მუხლი). ჯერადი პასუსხისმგებლობის პრინციპის გამოყენება კოოპერატივის არსებობის პირობებში, ეწინააღმდეგება სამოქ. სამ. კოდ. 35 მუხლს და თვით ოურიდიულ პირს, ამ შემთხვევაში კოოპერატივის ბუნებას, რომელმაც პასუსხი უნდა აგოს თავისი ქონებით (წესდების 18 მუხლი).

ამასთან დაკავშირებით წარმოიშობა შემდეგი საკითხი: შეიძლება თუ არა ვალაუვალობის საბაბით ლიკვიდირებული კოოპერატივის ბინებზე და პაიზე გადასდევინების მიქცევა?

ეს საკითხი დადებითად არის გადაჭრილი ახალი სანიმუშო წესდების მე-17 მუხლით

(ძველი წესდების 22-ე მუხლი). ამ ნორმის მიხედვით კოოპერატივის სახლის გადაცემა ორგანიზაციებზე და მოქალაქეებზე შესაძლებელია კოოპერატივის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით. ამგვარად, მხოლოდ ლიკვიდაციის ჩატარების შემდეგ შეიძლება ჯერადი პასუსხისმგებლობის დაკისრება წევრებზე თუ კოოპერატივის ლიკვიდირებული ქონება არ იქნა საკმარისი კრედიტორების დასაკმაყოფილებლად.

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ავტორი მოითხოვს ჯერადი პასუსხისმგებლობის დაკისრებას კოოპერატივის ვალდებულებებისათვის კოოპერატივის ლიკვიდაციის გარეშე, რაც წევრების არასამართლიან პასუსხისმგებლობას ნიშნავს. კოოპერატივის ლიკვიდაციის შემდეგ ბინები უნდა დარჩეს მოქალაქეებს დავალიანების გადახდის პირობით, ან ორგანიზაციას (სანიმუშო წესდების 17 მუხლი). ამგვარად, ჯერადი პასუსხისმგებლობა კანონსაწინააღმდეგოა კოოპერატივის ლიკვიდაციამდე, ხოლო ლიკვიდაციის შემდეგ — განუხორციელებელი, რადგან თუ ლიკვიდირებული ქონება (ბინები) გადადის კოოპერატივის წევრებზე, ისინი პასუსხისმგებლობის პრინციპით, არამედ სრულად, შენატანის პროპორციულად (სამოქ. სამ. კოდ. 450 მუხლი).

სამწუხაროდ, შ. ჩიკვაშვილის წინადადება გეზიარებულ იქნა ამჟამად მოქმედი სანიმუშო წესდების მე-18 მუხლში. ეს სრულ გაუგებრობას უნდა მიეწიროს.

9. ავტორი წერს: „მაგრამ საერთო კრების ზოგიერთი გადაწყვეტილება ძალაში შედის მხოლოდ მისი დამტკიცების შემდეგ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის მიერ (გადაწყვეტილებანი კოოპერატივის წევრად მიღების, კოოპერატივის საცხოვრებელი ფართობის განაწილების და სხვ.)“ (გვ. 25).

მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი ამტკიცებს კოოპერატივის წევრთა შემადგენელთაში ცვლილებას (წესდების მე-6 მუხლი). ბინების განაწილების დამტკიცების აუცილებლობა არცერთი ნორმატიული აქტით არ არის გათვალისწინებული. წევრებისათვის ბინის მიცემის ვალდებულება განსხვავდება ბინების განაწილებისგან. საცხოვრებელი ფართის რაოდენობის საკითხი, წყდება წევრის კოოპერატივში მიღების, ან მასთან საგარანტო ხელშეკრულების დადების დროს. მოქალაქის კოოპერატივში მიღებას ამტკიცებს აღმასკომი, მისთვის მინიჭებული საერთო ზედამხედველობისათვის უფლების ძალით. ის ამოწმებს ამასთან დაკავშირებულ საკითხებსაც, მათ შორის წევ-



რისათვის მინაცემი ბინის ოდენობის საკითხსაც. მაგრამ ბინების განაწილება წევრთა შორის, საერთო კრების კომპეტენციას შეადგენს და აღმასკომის დამტკიცებას არ საჭიროებს. აღმასკომს შეუძლია ამა თუ იმ შემთხვევაში გააუქმოს საერთო კრების გადაწყვეტილება, როგორც შედამხედველ ორგანოს, მაგრამ იგი არ არის ვალდებული დამტკიცოს ბინების განაწილების შესახებ გამოტანილი დადგენილება.

წესდებით არ არის გათვალისწინებული საერთო კრების გადაწყვეტილების ძალაში შესვლა აღმასკომის მიერ კოოპერატივის გადაწყვეტილების დამტკიცებასთან დაკავშირებით. შ. ჩიკვაშვილი, რომელიც კოოპერატივის წარმომომბის მომენტს, დამფუძნებელთა ნებას და კოოპერატივის საერთო კრების გადაწყვეტილებას უფარდებს, ამავე დროს, გამოთქვამს აზრს, რომ თუ საერთო კრების მიერ წევრს არ ჰქონდა გამოყოფილი „კონკრეტული“ ბინა, არ შეუძლია მისი ინტერესების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს (გვ. 102, 103 და სხვა).

სასამართლო პრაქტიკაში აღიარებულია ის დებულება, რომ ბინების განაწილება არ შეიძლება განხილულ იქნეს სასამართლო ორგანოების მიერ (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1967 წლის 25 თებერვლის № 3 დადგენილების მე-3 მუხლი). მართლაც, სასამართლო ვერ განიხილავს იმას, თუ რომელ სადარბაზოში ან რომელ სათულზე უნდა მიეცეს ამა თუ იმ წევრს ბინა, თუ ეს დავა არ არის წარმომბობილი გამოყოფილი ან უკვე მიცემული ბინის სარგებლობაზე უარის თქმასთან, ან ამ უფლების კოოპერატივის მიერ განუხორციელებლად დატოვებასთან დაკავშირებით. ჩვენს რესპუბლიკაში კოოპერატივის წევრობა საგარანტიო ხელშეკრულების საფუძველზეც არის შესაძლებელი და, მაშასადამე, ამ უკანასკნელის ინტერესების დარღვევისას დავა გადაწყვეტილი უნდა იქნეს სასამართლოს მიერ.

თუ კონკრეტული ბინა უფლებამოსილ წევრს გამოყოფილი არ ჰქონია, სასამართლოს შეუძლია დაევალოს კოოპერატივის მისცეს მას სათანადო ბინა. ასეთი დავები სასამართლოს ექვემდებარება⁵. თუ კონკრეტული ბინა გამოყოფილი იყო, სასამართლოს მითუმეტეს შეუძლია დააკმაყოფილოს უფლებამოსილი პირი, თუნდაც მისი ბინა დაკავებული იყოს სხვა კეთილსინდისიერი წევრის მიერ და ამ უკანასკნელისათვის სხვა ბინის მიცემა დაევალოს კოოპერატივს⁶.

შ. ჩიკვაშვილი დაუშვებლად თვლის სასამართლო წესით დავის განხილვას, თუ წევრს არა აქვს გამოყოფილი კონკრეტული ბინა, უფრო მეტიც: იგი დაუშვებლად თვლის კოოპერატივში ახლად მიღებული წევრის გამოსახლება სხვისი ბინიდან და ბინის ძველ წევრისთვის გადაცემას. (გვ. 154).

გარდა იმისა, რომ ეს ეწინააღმდეგება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1967 წლის 27 თებერვლის № 3 დადგენილების მე-6 მუხლს და სასამართლო პრაქტიკას, რომლის ზოგიერთი მაგალითი უკვე მოვიყვანეთ, ვასაღიარებ მეცნიერი იურიდიტის ასეთი პოზიცია.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზემოაღნიშნულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ კოოპერატივის წევრს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს სარჩელით. თუ მას არ გადაეცა საერთო კრების მიერ მისთვის გამოყოფილი ბინა. მაგრამ გამოყოფილი ბინა აუცილებლად არ ნიშნავს კონკრეტულ ბინას. ავტორის აზრით, მეტაფორა შორის საცხოვრებელი სადგომების განაწილება წარმოებს „ჯერ კიდევ მშენებლობის დაწყებამდე და, როგორც წესი, მშენებლობის გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებისთანავე“ (გვ. 99).

მაშასადამე, ავტორი, „ბინების განაწილებას“ უწოდებს წევრებისათვის ბინების გამოყოფის პროცესს, პაის შესაბამისად, ვინაიდან სახლის ექსპლუატაციაში მიღებამდე კონკრეტული ბინების განაწილება არ შეიძლება, ბინებს ჯერ კიდევ არა აქვს მიცემული ნუმერაცია და მშენებლობის დროს სახლი ზნობრად განიცდის ცვლილებას.

კოოპერატივის წევრობა შეუძლებელია, თუ ბინა გამოყოფილი არ არის (სამოთახიანი, ორმოთახიანი ფართობის რაოდენობა), მაგრამ თუ წევრობას დაუკავშირებს კონკრეტულ ბინას (სართულს, სადარბაზოს და ბინის ნომერს), მაშინ გამოდის, რომ კოოპერატივიდან გამოორცხულ არცერთ წევრს არ ექნებოდა სარჩელის უფლება სახლის ექსპლუატაციაში მიღებამდე, ვინაიდან ამ დრომდე ბინები ინდივიდუალურზე-ბული არაა.

სახლის ექსპლუატაციაში მიღების შემდეგაც კოოპერატივის წევრს, რომელსაც გამოყოფილი ჰქონდა ან ერგებოდა ბინა, არ აქვს სარჩელის უფლება თუ მისთვის გამოყოფილი ბინა ახლად აშენებულ სახლში ინდივიდუალურიზებული არ იყო.

ამგვარად, კოოპერატივის შეუძლია ხელოვნურად წაართვას კოოპერატივის წევრს სასამარ-

⁵ Бюллетень Верховного Суда РСФСР, 1968, № 7, стр. 3.

⁶ Бюллетень Верховного Суда РСФСР, 1972, № 9, стр. 7.

თლო წესით თავდაცვის საშუალება თვითნებობის წინააღმდეგ, რაც კოოპერატივის წევრის მიმართ ჩადენილი იქნება კოოპერატიული ბინის მიუთითებლობის შედეგად.

შ. ჩიკავაშვილის მოსაზრება ეწინააღმდეგება სასამართლო პრაქტიკას, განსაკუთრებით ჩვენს რესპუბლიკაში, სადაც ყოველი დავა განიხილება იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირს უფლება აქვს კოოპერატიულ ბინაზე საგარანტიო ხელშეკრულებით ან სხვა საფუძველით საერთო კრების გადაწყვეტილების გარეშე⁷.

ავტორის პოზიცია, რომ საერთო კრების მოქმედება ან უმოქმედობა, ჩადენილი მისთვის მინიჭებულ კომპეტენციის ფარგლებში, თითქოს არ გასაჩივრდება სასამართლო წესით, ვარდა კანონით აღნიშნული შემთხვევებისა. ეს აზრი არ არის სწორი, პირიქით, სამოქალაქო უფლება დაცული უნდა იქნეს სასამართლო წესით. სამოქალაქო უფლების დაცვა ადმინისტრაციული წესით შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში (სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-6 მუხლი). მაშასადამე, საერთო კრების გადაწყვეტილებები გამოტანილი მისთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში გასაჩივრდება სასამართლო წესით, თუ ვასახივრებელი გადაწყვეტილების ან მოქმედების განხილვა სპეციალური კანონით არა აქვს მიკუთვნილი ადმინისტრაციულ ორგანოს და ამოღებული არ არის სასამართლო ორგანოს ქვემდებარეობიდან, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა ამოიღო სასამართლოს განსჯადობიდან ბინის განაწილებასთან დაკავშირებული დავები და კოოპერატივში წევრად მიღების საკითხები, მაგრამ ისეთი საკითხები, როგორცაა ბინების განაწილების შესახებ საერთო კრების წესების დარღვევა, რომლის შედეგად დარღვეულია წევრის უფლება და ჩვენს რესპუბლიკაში კოოპერატივის წევრობა საგარანტიო ხელშეკრულებით ან უამისოდ, თუ პირს აქვს კოოპერატივისგან ბინის მიღების უფლება და სხვ. სასამართლოს განსჯადია, რადგან ამ საკითხების სასამართლოების ქვემდებარეობიდან ამოიციხვა არ არის დადგენილი სპეციალური ნორმატიული აქტი. ერთ-ერთ განჩინებაში სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ მიუთითა: «Нельзя признать правильной и ссылку в определении Верховного Суда РСФСР на параграф 25 примерного Устава ДСК, так как этот параграф устава, определяя права общего собрания членов кооператива, от-

нодь не относит к его компетенции споры о праве гражданском»⁸.

ამის გამო, მცდარია ავტორის შეხედულება, რომ, თუ საერთო კრების მიერ სადგომების განაწილება მოხდა კოოპერატივის წესდების დარღვევით, ასეთი განაწილების გაუქმების უფლება აქვს მხოლოდ ადმასკომს (გვ. 103), რომელიც, ავტორის აზრით, ამტკიცებს განაწილებას (გვ. 25). ასეთი საქმის განხილვა არ არის ამოღებული სასამართლოს ქვემდებარეობიდან, რამდენადაც ბინების განაწილებასა და ბინების განაწილების შესახებ წესდებით დადგენილი წესების დარღვევას შორის დიდი განსხვავებაა.

10. ავტორის შეხედულებით, „კოოპერატივი, გამგეობის თავმჯდომარის მოქმედებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში აგებს პასუხს, როდესაც იგი საქმიანობას წარმართავს თავის კომპეტენციის ფარგლებში“ (გვ. 27). კოოპერატივის თავმჯდომარე წარმოადგენს კოოპერატივის ორგანოს და არა წარმომადგენელს (სამოქალ. სამ. კოდ. 27 მუხლი). მისი ყოველგვარი ბრალეული მოქმედებისათვის კოოპერატივი პასუხისმგებელია, თუ ვნება მის მიერ მიყენებულია შრომითს (სამსახურებრივ) მოვალეობასთან დაკავშირებით, განურჩევლად იმისა, კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებდა იგი თუ კომპეტენციის გადაჭარბებით (სამოქ. სამ. კოდ. 458 მუხლი). მაგრამ კოოპერატივი პასუხს არ აგებს იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულმა იცოდა, რომ კოოპერატივის ორგანო, ამ შემთხვევაში თავმჯდომარე, მისთვის მინიჭებული უფლების გადაჭარბებით მოქმედებდა და მიანიჭ სარგებლობა აღნიშნული გარემოებით. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს სამოქ. სამ. კოდ. 471 მუხლის შინაარსიდან.

კომპეტენციის ან უფლებამოსილების ფარგლებში მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებს რწმუნებული და არა ორგანო (სამოქ. სამ. კოდ. 62 მუხლი).

11. „გამგეობის გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შეიძლება შედეგად მოჰყვეს საერთო კრების მიერ კოოპერატივის შემადგენლობიდან იმ პირების გარიცხვა, ვინც ამ გადაწყვეტილებას არ ასრულებს“ (გვ. 29). ეს არ არის სწორი. წევრის გარიცხვა შეიძლება წესდებით მოთხოვნილებათა და საერთო კრების მიერ დადგენილი ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის (სანიმუშო წესდების 32 მუხლი).

12. ავტორი აღნიშნავს, რომ „არ გამოირიცხება კომპეტენტური სახელმწიფო ორგანო-

⁷ იხ. თურბ. „საბჭოთა სამართალი“, 1972, № 3, გვ. 78.

⁸ Жилищное и жилищно-строительное законодательство. Киев, 1967, стр. 67.



ების მიერ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სათვის პირდაპირი განკარგულების მიცემის შესაძლებლობა“ (გვ. 32). „კოოპერატივის ორგანოს უფლება აქვს გაასაჩივროს იმ ორგანოს მითითება ან განკარგულება, რომელიც მას ხელმძღვანელობს უწევს, მაგრამ ასეთი საჩივრის შეტანა არ აჩერებს მითითების, განკარგულების ასრულებას“ (გვ. 33). ასეთი ზოგადი ფორმულირება კოოპერატივისა და ხელმძღვანელორგანოს შორის დამოკიდებულების შესახებ სწორი არ არის. თავისთავად ცხადია, რომ კოოპერატივმა უნდა შეასრულოს „საქმენის“ მიერ მიცემული მითითება, გამომდინარე მშენებლობის სფეროში გამოცემული ნორმატიული აქტებიდან; უნდა შეასრულოს საფინანსო ორგანოებს კანონიერი მითითება და სხვა. მაგრამ სრულიად არ არის ვალდებული შეასრულოს მითითებები, რომლებიც იჭრება კოოპერატივის კომპეტენციაში ან უზღუდავ მისთვის განკუთვნილი მოქმედების სფეროს. კონტროლის გაწევა და მეთვალყურეობა, რასაც აღმასკომი ახორციელებდა 1962 წლის დამტკიცებულ სანიმუშო წესდების მიხედვით იურიდიულად (და არა პრაქტიკულად) ამოიწურებოდა კოოპერატივის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებათა გაუქმებით. ამ პრინციპმა უფრო სრულყოფილი გამოსახულება ჰპოვა ახალ სანიმუშო წესდებაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს აღმასკომის ყოველგვარ მითითებათა შესრულების აუცილებლობას. ასეთი სამხედრო რეჟიმი საერთოდ არ არის დამყარებული ორგანიზაციათა შორის, როგორც სახის სუბორდინაციაც არ უნდა არსებობდეს მათ შორის.

13. ავტორი უარყოფს ჩვენში წევრობის მემკვიდრეობით გადახვლის შესაძლებლობას (გვ. 35). ეს მოსაზრება სწორია ყველა მოკავშირე რესპუბლიკისათვის. მაგრამ ჩვენი რესპუბლიკისათვის მცდარია. სახლის მესაკუთრე კოოპერატივის წევრად აუცილებლად უნდა ყოფილიყო მიღებული, თუ იგი სურვილს განაცხადებდა კოოპერატივში შესვლაზე, ამგვარად მესაკუთრის სურვილს ანუ ნებას იურიდიული ფაქტის მნიშვნელობა აქვს, რომელსაც შედეგად მოსდევდა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა მესაკუთრესა და კოოპერატივს შორის. თუ კოოპერატივი ვალდებულებას არ შეასრულებდა, მესაკუთრის სარჩელით დავა განიხილებოდა სასამართლოს მიერ, რომელიც ამავე დროს განსაზღვრავდა კოოპერატივის ვალდებულებას ბინის მიცემის შესახებ ოჯახის

სულადობის კვალობაზე ან სავარანტიო ხელშეკრულების მიხედვით. ასეთი პრაქტიკა ჩვენს რესპუბლიკაში მტკიცედ იყო დამკვიდრებული. თუ ემყარებოდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 8 იანვრის № 7 დადგენილებას, რომლის მიხედვით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები ვალდებული იყვნენ მიწის ნაკვეთის გამოყოფისთან დაკავშირებით, ეკისრათ დასაზღვრევი სახლების ხარჯები და ამ სახლებში მცხოვრები მოქალაქეების დაბინავება. ეს დადგენილება ამჟამად მოქმედებს. მესაკუთრის ასეთი მდგომარეობა, რომელიც თავის სურვილის გამოთქმის ფაქტით კოოპერატივის წევრი ხდებოდა, საერთო სამემკვიდრეო წესით ვადაღის დასაზღვრევი სახლში მცხოვრებ მემკვიდრეებზე, რამდენადაც მემკვიდრეებს ისეთივე უფლება წარმოეშობათ ბინაზე, როგორც გარდაცვალებულ სამკვიდროს დამტოვებელს ჰქონდა.

შ. ჩიკვაშვილის წიგნში არ არის განხილული ჩვენს რესპუბლიკაში ზემოთ აღნიშნული სამართლებრივი თავისებურებიდან გამომდინარე შედეგები.

14. ავტორის სამართლიანი მოთხოვნა კოოპერატივიდან გარიცხული ან ნებაყოფლობით გასული წევრის, ოჯახის წევრისათვის კოოპერატივის წევრობაზე უპირატესი უფლების მინიჭების შესახებ, საკმარისად არ არის გარანტირებული მის მიერ წამოყენებულ წინადადებაში.

დასახელებულ პირებს თითქმის შეუძლიათ განახორციელონ უფლება წევრობაზე საერთო კრების საშუალებით. გამგეობის მიერ უარის თქმა ბათილია და ასეთ შემთხვევაში არ არსებობს საშუალება დავა (გვ. 59). კოოპერატივის გამგეობის დადგენილებათა ბათილობას მისთვის განკუთვნილი კომპეტენციის დარღვევის შემთხვევაში, ავტორი აღნიშნავს სხვა შემთხვევაშიაც (გვ. 25) გარიგების ან მოქალაქეთა უფლებათა შემზღვეველი აქტის ბათილობის საკითხი განხილულ უნდა იქნეს სასამართლო წესით და ამასთან ერთად უნდა გადაწყდეს ბათილობიდან გამომდინარე მოთხოვნათა დაკმაყოფილების საკითხი (სამოქ. სამ. კოდ. 48 მუხლი). ბათილობა აქტისათვის თავისთავად არ არსებობს, იგი უნდა დადგინ-

დეს სასამართლო წესით. მაშასადამე, ბათილობასთან დაკავშირებული დავა სამოქალაქო სამართლებრივ დავაა. შეიძლება ეს საკითხი სასამართლომ არსებითად განუხილველად დატოვოს მისი წინასწარი დადგენილი წესით განუხილველობის გამო (სამოქ. სამ. საპროც. კოდექსის 228 მუხლის 1 ნაწილი). ეს საკითხი სულ სხვა სფეროს ეხება, მაგრამ როგორ უნდა ვუზრუნველყოთ უფლებამოსილი პირის მოთხოვნის განხორციელება, თუ კოოპერატივი საერთო კრებას არ იწვევს ან არ აყენებს ამ საკითხს დღის წესრიგში და აღმასკომიც არ იღებს საჭირო ზომებს? ვფიქრობთ, რომ ასეთ და იმ შემთხვევაში, როდესაც უფლებამოსილი პირის მოთხოვნა უარყოფილია, უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს თავისი უფლების დასაცავად. ცნობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ 1932 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 349-ე და 351-ე მუხლის თანახმად, სააქციო საზოგადოების წევრს, გარკვეულ პირობებში უფლება ჰქონდა სასამართლოსათვის მიემართა საზოგადოების საერთო კრების მოწვევის შესახებ, თუ მას არ იწვევდა გამგეობა და გაესაჩივრებია მისი ყოველგვარი დადგენილება სასამართლო წესით (მუხლი 351).

ავტორი გვარწმუნებს, რომ კოოპერატივისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა ხდება კოოპერატივისა და აღმასკომს შორის ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმების შედეგად და ამის გამო დავა მიწის ნაკვეთის გამოყოფის უსწორობაზე და მაშასადამე ნაკვეთის ჩამორთმევაზე წყდება სასამართლო წესით (გვ. 61).

მართალია, 1962 წლის ხანმშუშო წესდების 15 მუხლში ნათქვამია მიწის ნაკვეთის უვადო სარგებლობის შესახებ დადებულ ხელშეკრულებაზე, მაგრამ ეს რედაქციული შეცდომაა, რადგან საკანონმდებლო აქტების მიხედვით, მიწის ნაკვეთის გამოყოფა ორგანიზაციებისათვის, მათ შორის კოოპერატივისათვის, ხდება კომუნალური ორგანოს მიერ შედგენილი აქტის საფუძველზე, რომელიც შეიცავდა ორივე მხარის ვალდებულებებს, მაგრამ იგი მაინც აქტს წარმოადგენდა და არა ხელშეკრულებას (იხ.

1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 82² მუხ. დანართი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამჟამად მოქმედი 1966 წლის 22 აპრილის № 230 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლი).

მიწის ნაკვეთის გამოყოფაზე ან ჩამორთმევაზე სასამართლო წესით დავა კოოპერატივისა და აღმასკომს შორის არასოდეს არ შეიძლება და არც ახლა შეიძლება (იხ. საქართველოს მიწის კოდექსის 138-148-149 მუხლები). დავა აღმასკომის მიერ მოქალაქისაგან მიწის ჩამორთმევის შესახებ წყდება სასამართლო წესით, რამდენადაც მათი ურთიერთობა ფორმდება ხელშეკრულებით⁹. ამჟამად ასეთი შესაძლებლობა სადავოა.

16. ავტორი ფიქრობს, რომ საზოგადოებრივი და სახელმწიფო საპირობისათვის კოოპერატივისაგან მიწის ნაკვეთის ჩამორთმევის დროს კოოპერატივს უნდა აღუნაზღაურდეს სახლის საბალანსო ღირებულება, რომლითაც იგი ანგარიშს გაუსწორებს მეპაიებს, რომლებსაც უნდა მიეცეს აგრეთვე ბინები (გვ. 70).

ეს არ არის სწორი. ეს ასე რომ იყოს, მაშინ კოოპერატივის წევრებს არ აღუნაზღაურდებოდათ პაის ღირებულება, რომლის ჯამი ყოველთვის მეტია სახლის საბალანსო ღირებულებაზე სახლის გაცემის გამო, რომლის აღდგენის ანარჩევები (სამაორტიზაციო ანარჩევები) ცალკე ანგარიშზე იწახება. თუ ავტორის თვალსაზრისზე დადგებით, მაშინ გამოდის, რომ სამაორტიზაციო ანარჩევები რჩება იმ ორგანოებს, რომელთაც მიწის ნაკვეთი გამოეყო, ეს სრული შეუსაბამობა იქნებოდა. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1971 წლის 10 აგვისტოს № 39 დადგენილებით, სხვაგვარად გადაწყვიტა ეს საკითხი. კოოპერატივის წევრებს ეძლევათ პაი სრული მოცულობით და გარდა ამისა, ისინი ბინებით უნდა იქნენ დაკმაყოფილებულნი სამოქ. სამ. კოდექსით გათვალისწინებული წესით, მაგრამ ეს წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ კოოპერატივს დასანგრევი სახლის მაგიერ ეძლევა საკუთრების უფლებით სამაგიერო სახლი.¹⁰

17. ავტორი აღნიშნავს, რომ გარდაცვლილ

⁹ Бюллетень Верховного Суда СССР, 1963, № 4, стр. 23.

¹⁰ Бюллетень Верховного Суда РСФСР, 1971, № 10, стр. 2 — 3.



მეპაიესთან მცხოვრებ მემკვიდრეთა შორის წარმოშობილი დავა უნდა გადაწყვიტოს საერთო კრებამო (გვ. 126). ეს არ არის სწორი. ასეთ შემთხვევაში მემკვიდრეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს (იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1967 წლის 25 თებერვლის № 3 დადგენილება და რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 28 იანვრის № 51 დადგენილება).

უნდა აღინიშნოს, რომ კოოპერატივის მიმართ აღძრულ საქმეზე არ არის სავალდებულო, რომ მოსარჩელემ მიმართოს კოოპერატივის დავის წინასწარ გადასაწყვეტელ (რსფსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1963 წელი, № 8). იმ შემთხვევაშიც, როდესაც სანიმუშო წესდებაში გათვალისწინებულია გარიცხული წევრის საჩივრის განხილვა სათანადო აღმასკომის მიერ (მაგ., ჩვენში ახალი სანიმუშო წესდების 28 მუხლი), გარიცხულ წევრს არა აქვს წართეული უფლება უშუალოდ მიმართოს სასამართლოს, რადგან დავა წევრად აღდგენის სახსებზე, რამდენადაც ეს ამავე დროს ნიშნავს დავის ბინაზე, წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ დავას, რომელიც შეიძლება განხილული იქნეს სასამართლოს მიერ გარიცხული წევრის სარჩელით¹¹.

18. მართალია, ავტორს აქვს უფლება წამოაყენოს თავისი წინადადება ამა თუ იმ საკითხის არგვლივ, მაგრამ წინადადებები არ უნდა ცვლიდნენ სამართლის სათანადო ინსტიტუტების პრინციპებს და ბუნებას. ავტორის შეხედულება იმის შესახებ, რომ სამკვიდროს დამტოვებელთან მცხოვრებ მემკვიდრემ გადადის პაი და ბინა კანონიერად ან ანდერაძით მემკვიდრის პაის გადახდის შესაძლებლობის უქონლობის შემთხვევაში იმ პირობით, რომ დანარჩენი მემკვიდრეების წინაშე იყოს ვალდებული უნდა პაის მათი სამემკვიდრეო წილის ღირებულების გადახდას (გვ. 128-129) არ უთავსდება სამემკვიდრეო სამართლის ძირითად პრინციპს, რომელიც მემკვიდრეს ანიჭებს სანიმუშო სამართლებრივი მოთხოვნის უფლებას არსებულ ქონებაზე. ასეთი მოთხოვნა მხარეთა შეუთანხმებლად არ შეიძლება გადაიზარდოს ვალდებულებით სამართლებრივ მოთხოვნად, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ქონება რეალიზებულია ერთ-ერთი მემკვიდრის მიერ (სამოქ. სამ. კოდ. 557 მუხლი).

19. რა თავისუფლადაც არ უნდა ვიყენებდეთ დასაბუთების საშუალებებს სამართლის პოლიტიკის თვალსაზრისით, მაინც შეუძლებელია

გავცდეთ დამკვიდრებულ პრინციპებს და შევცვალოთ ისინი უარესი სიხალით. ავტორის მსჯელობა მემკვიდრის თვითშემკვიდროებაზე სრულიად დაცილებულია სინამდვილეს. აქ ავტორი ფანტაზიის სფეროს უახლოვდება. მაგალითად, ავტორი დასაშვებად თვლის უსახსრო მემკვიდრის თვითშემკვიდროებას იმ მიზნით, რომ განთავისუფლებული ბინის ნაწილის ხარჯზე გასტუმრებული იქნენ დანარჩენი მემკვიდრეები, მაგრამ, აქვე აღნიშნავს, რომ თვითშემკვიდროების შედეგად თავისუფალ ბინაში კოოპერატივის წევრად შეიძლება მიღებული იქნას გარდაცვლილ მეპაიესთან არ მცხოვრები მემკვიდრეც, ოღონდ მისი კოოპერატივში მიღება ხდება არა უპირატესი უფლების ძალით, არამედ საერთო წესით (გვ. 128).

როგორც ცნობილია, მეპაიეს უფლება აქვს გადასცეს თავის ოჯახის წევრს მთლიანად პაი და არა მისი ნაწილი. პაის და ბინის დანაწევრება შეიძლება მხოლოდ მემკვიდრეობის გახსნის დროს.

თუ მეპაიეს მიეცემა საშუალება ბინის თვითშემკვიდროების წესით გადაცემისა, რატომ უნდა ვუთხრათ უარი კრედიტორს (სხვა მემკვიდრეს) მოქციოს გადახდევინება პაის ე. ი. ბინის ნაწილისა? თუ ბინა უნდა გაიყოს მემკვიდრის დასაკმაყოფილებლად, რატომ არ უნდა მიეცეს კრედიტორ მემკვიდრეს უპირატესი უფლება ბინის ნაწილზე და კოოპერატივის წევრობაზე? ან თუ ეს ყველაფერი შესაძლებელია და დასაშვებია, რატომ არ უნდა შეიცვალოს საერთო კრების ნება სასამართლოს გადაწყვეტილებით, როდესაც საერთო კრებამ სწორად არ გადაწყვიტა კოოპერატივში წევრის მიღების საკითხი?

20. ავტორი აღნიშნავს, რომ მეპაიეს ოჯახის წევრი სხვაგან მუდმივად გადასვლის შემთხვევაში ჰკარგავს საცხოვრებელ ფართობზე უფლებას გადასვლის დღიდან (გვ. 116). ავტორს ეს საკითხი ამომწურავად არა აქვს განხილული, რადგან ოჯახის წევრი აგრეთვე ჰკარგავს უფლებას 6 თვეზე მეტ დროს განმავლობაში ბინაში არ ცხოვრების გამო (იხ. სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1967 წ. 25 თებერვლის № 3 დადგენ.). ამ შემთხვევაში უფლება ეკარგება ფართობზე სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან ვინაიდან ამ საბაზით სარჩელი უნდა აღძრას მეპაიემ (რსფსრ უმაღლესი სასამართლოს 1970 წ. 28 იანვრის № 5 დადგენილების 14 მუხლი).

21. მეუღლეთა შორის პაის გაყოფის საკი-

¹¹ П. Трубников. О рассмотрении судами дел по спорам между гражданами и жилищно-строительными кооперативами, Бюллетень Верховного Суда СССР, 1967, № 2, стр. 30.

თხის განხილვისას ავტორი ერთ შემთხვევაში დასაშვებად თვლის ბინის გაყოფას, თუ თითოეულ მეუღლეს შეიძლება გამოეყოს „იზოლირებული“ ბინა, მეორე შემთხვევაში — „ცალკე“ ოთახი (გვ. 121). ეს ცნებები ერთმანეთისაგან განსხვავდება. ბინის გაყოფა შეიძლება იმ შემთხვევაშიაც, თუ თითოეულ მეუღლეს შეხვდება არაიზოლირებული მომიჯნავე ოთახები¹².

წიგნი უნდა გადაშვავდეს. როგორც აღვნიშნეთ, ავტორი ჩვენს რესპუბლიკაში დაგროვილ კოოპერატიული ბინათმშენებლობის გამოცდილებას მხოლოდ მეოთხე ათეულში აღწერს, მაგრამ არ იყენებს მას თავისივე დებულებების დამუშავების დროს. პირიქით, ისინი

დამუშავებულია ამ გამოცდილებას გაუთვალისწინებლად (წევრობა, სსსამართლო წესით კოოპერატივის მოქმედებათა განუხილველობა, მარტოოდენ კონკრეტულ ბინაზე დავის შესაძლებლობის გაპირობება და სხვა). ამასთან დაკავშირებით, უნდა გადაშვავდეს ახალი სანიმუშო წესდებაც, რომელიც ითვალისწინებს ბინაში თვითნებურად შესაძლებელი კოოპერატივის წევრის კოოპერატივიდან გამორიცხვას და მისი სსსამართლო წესით გამოსახლებას, რაც ეწინააღმდეგება სიმოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 63 მუხლს და სსრ კავშირის უმაღლესი სსსამართლოს პლენუმის 1967 წლის 25 თებერვლის № 3 დადგენილებას.

ბ. სოლოვას



იურიდიული სასახურის განვითარებისათვის

სახლხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურის განმტკიცებისა და შემდგომი სრულყოფის საკითხებს მიეძღვნა ქ. ბათუმის იურისკონსულტა თათბირი.

1972 წელს იურისკონსულტა მიერ გაწეულ მუშაობაზე ილაპარაკა ქ. ბათუმის იურისკონსულტა საბჭოს თავმჯდომარემ, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის იურისკონსულტმა ვ. სიხარულიძემ.

კამათში გამოსულმა იურისკონსულტებმა ი. ბაბაიანმა (აჭარის პროფკავშირის საოლქო სახლი), მ. დოლიძემ (საერთომშენებლობის № 5 ტრესტი), თ. დვალისვილი (ბათუმის ფეხსაცმელების ფაბრიკა), უ. ბოლქვაძემ (საქალაქო საბჭოს აღმასკომი) და სხვ. აღნიშნეს, რომ ახლადარჩეულმა იურისკონსულტთა საბჭომ თავისი მუშაობა უნდა შეუთანაწყოს თანამედროვე მოთხოვნათა დონეს, საჭიროა კიდევ უფრო მე-

ტად განზოგადდეს იურისკონსულტთა მუშაობა, საარბიტრაჟო პრაქტიკა, დროულად და საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი ახალი ნორმატიული აქტები, ხშირად მოეწყოს კითხვა-პასუხის საღამოები სამართლებრივ თემებზე და სხვ.

თათბირი შეჯამა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული იურისკონსულტთა საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა პროფ. ნ. წერეთელმა.

დასასრულს აირჩიეს იურისკონსულტთა საბჭოს ახალი შემადგენლობა. აჭარის ასსრ იურისკონსულტთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მ. დოლიძე.

შ. ჩამბა,

აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროს კონსულტანტი.

წიგნი — „კანონი და სავიწრო კომპარატივი“ განხილვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სესიონზე განხილულ იქნა პროფ. შ. ჩიკვაშვილის წიგნი — „კანონი და საბინაო კოპერაცია“.

მონსენებით გამოვიდა სამოქალაქო კათედრის გამგე პროფ. ს. ჯორბენაძე, რომელმაც ილაპარაკა წიგნის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობაზე, აღნიშნა, რომ ნაშრომის ავტორი დიდხანა მუშაობს ამ პრობლემაზე. შ. ჩიკვაშვილის ბევრმა მოსაზრებამ, რაც მის მრავალ შრომაში, მათ შორის მონოგრაფიაშია გამოთქმული, ასახვა პპოვა საბინაო კანონმდებლობაში. წიგნს გარკვეული წვლილი შეაქვს იურიდიულ მეცნიერებაში და დახმარებას გაუწევს როგორც სასამართლო-პროკურატურის ორგანოების მუშაებს, ისე ამ პრობლემებით დაინტერესებულ სხვა პირებს.

კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე გ. იოსავა, საქართველოს სსრ უმაღლე-

სი სასამართლოს წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი გ. დევდარიანი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ა. დულუნიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი მ. მაჭავარიანი, პროფ. ნ. წერეთელი, დოც. ა. ფოცხიშვილი, პროფ. თ. ლილუაშვილი, საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ა. კობახიძე.

გამოსულმა ორატორებმა დადებითად შეაფასეს შ. ჩიკვაშვილის ნაშრომი, ამასთან ერთად ავტორს მიუთითეს იმ ნაკლოვანებებზე, რაც მის ნაშრომს აქვს.

დასასრულ პროფ. შ. ჩიკვაშვილმა მადლობა გადაიხადა იმ საქმიანი შენიშვნისათვის, რაც გამოითქვა და აღუთქვა დამსწრეთ, რომ გაითვალისწინებს წიგნის ხელახალი გამოცემის დროს.

ნეკროლოგი

ალამ ივანეს ქა დიასამიძე

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის ვეტერანი, სკკპ წევრი 1939 წლიდან, საქართველოს ხსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორი ალამ ივანეს ძე დიასამიძე.

ა. ი. დიასამიძე დაიბადა 1912 წელს ქ. თბილისში, მუშის ოჯახში. 1932 წელს დაამთავრა მე-15 შრომის სკოლა და იმავე წელს მუშაობა დაიწყო ბორჩალოს რაიონის სამანქანო-სატრაქტორო სადგურში აგრონომ-ტექნიკოსად.

სამუშაოსაგან მოუწყვეტილად 1938 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1934 წელს ა. ი. დიასამიძე დაინიშნა ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის პროკურატურის სახალხო გამომძიებლად. 1938 წელს ა. დიასამიძე არჩეული იქნა იმავე რაიონში სახალხო მოსამართლედ და ამ მოვალეობას ასრულებდა 1940 წლის აგვისტომდე.

დიდი სამამულო ომის დაწყების დღიდან — 1941 წლის 22 ივნისიდანვე ა. დიასამიძე საბჭოთა არმიის რაგებშია.

1942 წელს ომში მძიმე ჭრილობის მიღების გამო გაიგზავნა ქ. კოსტრომის ევაკო ჰოსპიტალში. გამოჯანმრთელების შემდეგ კი ისევ ფრონტზეა 27-ე გვარდიული დივიზიის 88-ე ლეგიონის პირველი ათასეულის მეთაურად. 1945 წლის მაისში დიასამიძე ინიშნება ქ. კამბურგის სამხედრო კომენდანტად, სადაც მუშაობდა 1947 წლის 29 აპრილამდე.

1947 წელს, საბჭოთა არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ ა. დიასამიძე კვლავ მუშაობს

თავის სპეციალობით. იმავე წელს დიასამიძე აირჩიეს ქარელის რაიონის სახალხო მოსამართლედ, ცოტა ხნის შემდეგ დაინიშნა ახალქალაქის რაიონის პროკურორად, 1958-61 წ. წ. სანჩერის რაიონის პროკურორია. 1961 წლიდან გარდაცვალებამდე ა. დიასამიძე მუშაობდა საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოებში ზედამხედველობის განყოფილების პროკურორად.

ა. ი. დიასამიძე დაჯილდოებული იყო საბრძოლო წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის ორი ორდენითა და 6 მედლით, აგრეთვე საქართველოს ხსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბატო სიგელით, მიღებული ჰქონდა გენერალური პროკურორისა და რესპუბლიკის პროკურორის ფასიანი საჩუქრები და სიგელები.

ა. ი. დიასამიძე არაერთხელ იყო არჩეული სხვადასხვა რაიონული კომიტეტის, აგრეთვე ბიუროს წევრად და დეპუტატად. იყო ომის ვეტერანთა საბჭოს წევრი.

მისი საბრძოლო დამახაურების შესახებ არაერთხელ იყო გამოქვეყნებული მასალა ცენტრალურ და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში.

მტკიცე კომუნისტის, კარგი იურისტისა და აღაშიანის ა. ი. დიასამიძის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ახლობლებისა და მეგობრების გულში.

საპარტიო მუშაოს სს რესპუბლიკის პროკურატურა, თბილისის ოფიცერთა სახლთან პრესბუში სამხედრო სამეცნიერო საზოგადოება.



ბიბლიოგრაფია

შურნალ „საბჭოთა სამართალში“ 1972 წელს გამომცემებული
მასალების სამიხედილი

მოწინავე, სარედაქციო წერილები

თანასწორუფლებიან ხალხთა მძლავრი კავშირი, № 6, გვ. 10—15.

გ. ი. ლენინი — სსრ კავშირის შექმნის ორგანიზატორი, № 2, გვ. 3—5.

პირველი საბჭოთა იურიდიული ჟურნალის ორმოცდამეათე წელი, № 2, გვ. 6—7.

სტატიები

გ. ბილანიშვილი — შრომა-გასწორების ახალი კანონმდებლობა და მსჯავრდებულთა შრომის ორგანიზაციის ზოგიერთი საკითხი, № 2, გვ. 67—71.

გ. თავაძე — ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთების დაძლევის ზოგიერთი საკითხი, № 1, გვ. 42—46.

მ. თოფურაძე — მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესებისათვის, № 1, გვ. 13—18.

მ. კომახიძე — საქართველოს ადვოკატურის სახელოვანი გზა, № 4, გვ. 50—52.

ვ. მაისურაძე — იუსტიციის ორგანოების ამოცანები თანამედროვე ეტაპზე, № 1, გვ. 4—12.

ლ. მელიქსეთ-ბეგი — რელიგიური სექტანტობა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა რელიგიური სექტანტობის შესახებ, № 2, გვ. 29—37.

კ. ნარმანია — სამართლის პრობლემა — ახალი ამოცანების დონეზე, № 3, გვ. 38—42.

ზ. რატიანი — დაცვის ინსტიტუტის შემდგომი სრულყოფისათვის, № 3, გვ. 11—15.

ა. ტაკიძე — ნახევარი საუკუნე ხალხის ინტერესების სადარაჯოზე, № 3, გვ. 3—10.

ე. ტაკიძე — სახელმწიფო არბიტრაჟს ორმოცდაათი წელი შეუსრულდა, № 5, გვ. 21—25.

ა. ფალიაშვილი — საქართველოს სსრ პროკურატურის ისტორიიდან, № 3, გვ. 43—50.

ბ. ფოფხაძე — საქართველოს კომკავშირის მუშაობა ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, № 5, გვ. 10—14.

გ. შაინიძე — პარტიის რაიკომი და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა, № 5, გვ. 15—20.

გ. ციტიშვილი — ავადმყოფთა კვების მრეწ-

ველობის საწარმოებში სამართლებრივი მუშაობის დონე, № 6, გვ. 52—54.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, ისტორია, სახელმწიფო, საერთაშორისო სამართალი

ზ. ანჩაბაძე — სსრ კავშირის შექმნის ისტორიული წინამძღვრები, № 4, გვ. 7—14.

ო. ბაკურაძე — მორალისა და სამართლის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი, № 4, გვ. 30—37.

ვ. უვანია, ს. ლევიშვილი — ილია ჭავჭავაძის ერთი უცნობი იურიდიული მნიშვნელობის ავტოგრაფი და იაკობ გოგებაშვილი, № 5, გვ. 61—65.

ა. მენაბდე — ამიერკავკასიის ფედერაცია და სსრ კავშირის შექმნა, № 6, გვ. 16—23.

გ. ნადარევიშვილი — პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების ერთი განსაკუთრებული შემთხვევის შესახებ ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, № 6, გვ. 59—66.

ვ. ფარქოსაძე — საბჭოთა ხალხი — ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა, № 4, გვ. 15—19.

ა. ფუტყარაძე — საბჭოთა საქართველოს როლი სსრ კავშირის შექმნაში, № 6, გვ. 23—28.

ო. ქაჯია — ეგვიპტის სახელმწიფოს განვითარების ახალი ეტაპი, № 2, გვ. 72—82.

ზ. ჯინჯოლაძე — საქართველოს სსრ სუვერენული სახელმწიფოა, № 4, გვ. 20—29.

სამოქალაქო სამართალი, პროცესი, არბიტრაჟი

ო. კიკვაძე — მომეტებული საფრთხის წყარო და ზიანის ანაზღაურების ზოგიერთი საკითხი, № 3, გვ. 21—26.

ა. კობახიძე — საუწყებო ბინიდან მოქალაქეთა გამოსახლების განსაკუთრებული შემთხვევები, № 4, გვ. 38—49.

ა. ლაბარტყავა — საქართველოში საკოლმეურნეო კანონმდებლობის განვითარების ისტორიიდან, № 5, გვ. 54—60.

თ. ლილუაშვილი — საბჭოთა სამოქალაქო პროცესუალური კანონმდებლობის განვითარება ორმოცდაათი წლის მანძილზე, № 5, გვ. 3—9.

ე. მისკარაძე — მამობის სასამართლო წესით დადგენის საფუძვლები, № 5, გვ. 26—30.

კრიტიკული
ნარკვევები

ა. ლუღუნუშვილი — სახლის წილის შესყიდვის უპირატესი უფლება, № 6, გვ. 29—37.

ლ. ჩორგოლაშვილი — რკინიგზის მიერ ტერიტის დაკარგვა და მისი მტკიცება, № 6, გვ. 38—45.

ბ. ცირაშუა — გავაუმჯობესოთ სასამართლო ვალაწყვეტილებათა საკასაციო წესით გაპროტესტების საქმე, № 3, გვ. 16—20.

ვ. ჯაბადარი — საწარმოთა და ორგანიზაციათა ქონების დაცვის სახელშეკრულებო ურთიერთობანი, № 2, გვ. 55—64.

სისხლის სამართალი, პროცესი, კრიმინალისტიკა, კრიმინოლოგია

ჟ. ბაბილაშვილი — ავტოსატრანსპორტო დანაშაულის კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხი, № 2, გვ. 38—49.

ჟ. ბაბილაშვილი — პასუხისმგებლობა სიმთვრალეში ტრანსპორტის მართვისათვის, № 6, გვ. 46—51.

ა. ვახანი — არასრულწლოვანთა დამნაშავეობის კონკრეტულ-კრიმინოლოგიური გამოკვლევის ზოგიერთი შედეგი, № 2, გვ. 15—28.

რ. გამყრელიძე — პასუხისმგებლობა თანამხრულებლობისათვის, № 1, გვ. 19—25.

ე. გვათუა, ვ. დიომინი — სასამართლო ზედამხედველობის განხორციელების პროცესუალური საკითხები, № 2, გვ. 63—66.

რ. ვახანია — მტკიცებათა ინფორმაციის სანდოობის საკითხისათვის, № 5, გვ. 40—45.

ნ. დავითაია — პროცესზე დამკველის დავების შესახებ, № 4, გვ. 53—56.

ა. ზურაბაშვილი — პერსონოლოგიისა და დენტოლოგიური ფსიქოპროფილაქტიკის საკითხები, № 2, გვ. 8—14.

ვ. კვარაცხელია — საქართველოს სსრ სისხლს სამართლის კოდექსის 168-ე მუხლს ესაპირობა შევსება № 2, გვ. 50—54.

ვ. სიმონიშვილი — პროკურორ-კრიმინალისტის მონაწილეობა შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში, № 3, გვ. 33—37.

მ. ქურდიძე — სრულყოფილ კანონმდებლობა საზოგადოებრივი ზემოქმედების განხორციელების მიზნით პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესახებ, № 3, გვ. 27—32.

რ. ყავლაშვილი — კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია — საბჭოური კრიმინალისტიკის სამეცნიერო-ტექნიკური მეთოდაი, № 1, გვ. 32—41.

ვ. შანიძე — სხეულის ზოგიერთი არასასიკვდილო დაზიანების საკითხების სწორად გაგებისათვის, № 5, გვ. 46—53.

ბ. ჩხეიძე — განზრახ მკვლელობის გამოჩენასხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისაგან, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, № 5, გვ. 31—40.

ა. ხოშტარია — ანონიმური წერილებით ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, № 1, გვ. 26—31.

მხატვრული ნაწარმოებები, ნარკვევები და სხვ.

ა. ანასაშვილი — ღვაწლის დაფასება, № 4, გვ. 61—62.

დ. ასურაგა — ფაქტების პირისპირ, № 2, გვ. 83—87.

ქ. გაბუნია — ოცი წელი უხილავი ფრონტის მოწინავე ხაზზე, № 6, გვ. 57—58.

ლ. ისაკაძე — გრ. ერემოვის იუბილე, № 6, გვ. 55—56.

მ. კვეციელავა — დამოკლეს მხვილი, № 3, გვ. 58—67, № 5, გვ. 68—71, № 6, გვ. 67—71.

ვ. მელაძე — ვეტერანი, № 3, გვ. 51—53.

დ. ნანოზაშვილი — უხუცესი ადვოკატი, № 4, გვ. 57—58.

ვ. სიღამონიძე — დირიჟორ ს. ა. სტოლერმანის გასამართლება, № 1, გვ. 47—56.

ვ. სიღამონიძე — მებრძოლი სულის იურისტი, № 4, გვ. 59—60.

ბ. ქველიძე — მამხილებელ მტკიცებულებათა სწორი გამოყენება დანაშაულის გახსნის საფუძველია, № 3, გვ. 54—57. შინაარსიანი ცხოვრების მაგალითი, № 5, გვ. 66—67.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ბიბლიოგრაფია. ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“ 1971 წელს გამოქვეყნებული მასალების საძიებელი, № 1, გვ. 95—96, № 2, გვ. 95.

ზ. მეხენჯისერი — წიგნი ვაქრობის სისტემაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, № 3, გვ. 68—69.

ბ. ტყემელიძე — ნაშრომი სამართლის ნორმის შეფარდების შესახებ, № 6, გვ. 74—80.

ა. ფალიაშვილი, ზ. წულაია — სასარგებლო სახელმძღვანელო საბჭოთა სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში, № 6, გვ. 81—85.

ნ. წერეთელი — გამოკვლევა საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ფუნქციის შესახებ, № 6, გვ. 83—85.

ოფიციალური მასალა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევის შესახებ, № 6, გვ. 3—10.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის შესახებ კულტურულ-ადმინისტრაციული მუშაობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით. № 4, გვ. 81—84.

კანონი საქართველოს სსრ განმრთელობის დაცვის შესახებ № 4, გვ. 63—80.

— კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა სსრ კავშირის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ. № 6, გვ. 79—84.

ვახუტ „კომუნისტის“ რედაქციას, № 1, გვ. 3. ნახევარი საუკუნე კანონიერების საღარაჯოზე, № 4, გვ. 5.

საბჭოთა ადვოკატურის 50 წლისთავი, № 4, გვ. 5.

საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოების მუშაეებს, № 4, გვ. 3.

საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსი, № 1, გვ. 59—94.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება ვახუტ „კომუნისტის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ, № 1, გვ. 3.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 28 მარტის ბრძანებულება — „საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის შემოღებისთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტების ძალადაქარგულად ცნობის შესახებ“, № 3, გვ. 70—71.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 28 აპრილის ბრძანებულება — „საქართველოს სსრ მიწის კოდექსისამოქმედოდ შემოღებისთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტების ძალადაქარგულად ცნობის შესახებ“, № 3, გვ. 71—73.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 30 მაისის ბრძანებულება — „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს შესახებ კანონების შემოღებისთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაქარგულად ცნობის შესახებ“, № 4, გვ. 85—86.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 28 ივნისის ბრძანებულება — „განმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების შესახებ“, № 5, გვ. 72.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 29 ივნისის ბრძანებულება — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 169-ე მუხლში დამატებათა შეტანის შესახებ“, № 5, გვ. 72—73.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1972 წლის 29 ივნისის ბრძანებულება „ნარკომანებისა და გამოუსწორებელი ლოთების (ალკოჰოლიკების) იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულების მეორე მუხლში ცვლილებების შეტანის თაობაზე, № 5, გვ. 73.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1972 წლის 14 სექტემბრის ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ, № 5, გვ. 74.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1972 წლის 14 სექტემბრის ბრძანებულება „ლოთებისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებათა შესახებ“, № 5, გვ. 75—78.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიაზე, № 6, გვ. 86—87.

წესები ხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრისათვის, № 3, გვ. 74—77.

ჯილოდ ღირსეულთ, № 4, გვ. 87—89; № 5, გვ. 90—92.

არბიტრაჟის პრაქტიკა, № 3, გვ. 92—94, № 6, გვ. 94—95.

ინფორმაცია, № 2, გვ. 88—90, № 4, გვ. 90—95, № 5, გვ. 93—96, № 6, გვ. 88—90.

მზაჩის ორგანოების პრაქტიკა, № 3, გვ. 95—96.

მოკლე ცნობები, № 2, გვ. 91—94, № 6, გვ. 91—93.

სასამართლო პრაქტიკა, № 3, გვ. 86—91.

საპროკურორო ზედამხედველობის პრაქტიკა, № 3, გვ. 95—96.

ნეკროლოგები

ვ. ბ. კეკელია, № 4, გვ. 96.

გ. ი. ლომიძე, № 2, გვ. 96.

ბ. ა. მამულია, № 2, გვ. 96.

ი. ნ. სიქინავა, № 6, გვ. 96.

უფრნ. „საბჭოთა სამართლის“ 1972 წლის მე-6 ნომერში შემჩნეული

 შეცდომების გასწორება

გვერდი	სტრიქონი	არის	უნდა იყოს
13	მე-19 ქვემოდან	შემდგენლობაში	შემადგენლობაში
14	მე-5 ქვემოდან	ეროვნებათა	ეროვნებათა
15	მე-3 ზემოდან	საბჭოთა	საბჭოთა
16	სათაურში	ამიერკავკასიის	ამიერკავკასიის
17	მე-14 ქვემოდან	ჩვენს	ჩვენს
19	მე-14 ქვემოდან	ცენტრალურ	ცენტრალური
43	მე-19 ქვემოდან	დაკარგვიდან	დაკარგვიდან
47	მე-12 ქვემოდან	241-ე მუხლში	241—1 მუხლში
48	მე-4 ზემოდან	”	”
48	მე-13 ზემოდან	”	”
80	26-ე ზემოდან	XX	XIX
80	მე-14 ქვემოდან	der Logik Dei...	der Logik Bei...
86	სათაურში	საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიაზე	საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო- ში

1973 წლის პირველი ნომრის შინაარსში უნდა იყოს:

ა. ლაბარტაშვა — ქართველი მეწვევიების აგრარული პოლიტიკის კრახი 59



8 22/87

ფაგო 50 663.

ИНДЕКС 76185

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 1

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Министерства Юстиции Грузинской ССР